ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა
შაბათი-კვირა

„ახალი თაობა“+
ახალგაზრდა სტალინი
8 ლარი
14 დეკემბრიდან




17 — 18 დეკემბერი, 2011 №299 (5679) ფასი: 30 თეთრი

# გიორგი ტუღუში ხათუნა კალმახელიძის წინააღმდეგ



გვ.7

„მცემეს და შიშველი 7 საათით „ბოქსში“ ჩამკეტეს“



## ალეკო შალამბერიძე: „არჩევნების გასაყალბებლად ხელისუფლება ახალ-ახალ გეგმებს ადგენს“

რას ნიშნავს ჯონ ბასის განცხადება



გვ.4

## როგორ ახშობს სიტყვის თავისუფლებას სააკაშვილის ხელისუფლება?



გვ.5

საფრანგეთის ხელისუფლება პრესის გავრცელებას ხელს უწყობს, საქართველოსი — ხელს უშლის

## ვერა ქობალია: „ქუთაისის აეროპორტის მშენებლობა 24-საათიან რეჟიმში მიმდინარეობს“



გვ.6



გვ.12

## მამა გიორგი: „უფალი არ მოგვცემს ცუდის გაკეთების ნებას“



გვ.3

## ზვიად ძიძიგური: „ბიძინა ივანიშვილს ჯერ შეცდომა არ დაუშვია“

## ჯემალ ბაღაშვილი: „ჩვენი პაროდიები არც პოლიტიკოსებს და არც ხელოვანებს არ სწყინთ“

რა სიურპრიზებს ამზადებს „იუმორინა“



გვ.13

## კვირის ქრონიკა



გვ.2

ISSN 1987-9385

## სალომე ზურაბიშვილი ქართულ პოლიტიკაში დაბრუნებას არ ჩქარობს

ბოლო ხანებში ქართულ პოლიტიკაში ბევრი რამე შეიცვალა. ამ ცვლილებებმა ხალხსა და პოლიტიკოსებში სერიოზული მოლოდინი გააჩინა. როგორც ამბობენ, პოლიტიკაში ბევრი ცნობილი სახე აპირებს წასვლას. პოლიტიკაში დაბრუნებას ვილაცებსაც უწინასწარმეტყველებენ.

მათ შორის არის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი სალომე ზურაბიშვილი. გავრცელებული ცნობით, ის პოლიტიკაში ბრუნდება და ბიძინა ივანიშვილის ახალ გუნდში დაიმკვიდრებს ადგილს.

ამ ინფორმაციას თავად სალომე ზურაბიშვილი კატეგორიულად უარყოფს. „საქართველოს გზის" ექს-ლიდერ სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, ჯერჯერობით ქართულ პოლიტიკაში მისი დაბრუნების დრო არ დამდგარა.


სალომე ზურაბიშვილი

როგორც ზურაბიშვილმა „მედიანიუსს" განუცხადა, იგი საქართველოში თავისი პოლიტიკური გეგმების შესახებ მხოლოდ თბილისში დაბრუნების შემდეგ ისაუბრებს.

– როცა გადავწყვეტ საქართველოში დაბრუნებას და კონკრეტულ თარიღსაც დავაზუსტებ, მერწმუნეთ, ამის შესახებ ქართველ საზოგადოებას საქმის კურსში აუცილებლად ჩავაყენებ. ჯერჯერობით ეს დრო არ დამდგარა, – განაცხადა ზურაბიშვილმა და დასძინა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა კომენტარის გაკეთებისაგან თავს შეიკავებს.

შეგახსენებთ, რომ საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების" დაფუძნებისას ზურაბიშვილის თანაგუნდელმა, საკრებულოს წევრმა ნათელა მაჭავარიანმა „საქართველოს გზის" ექს-ლიდერის ქართულ პოლიტიკაში დაბრუნების შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეს, სავარაუდოდ, 2012 წლის გაზაფხულზე მოხდება.

ზურაბიშვილი ამჟამად გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ შექმნილ სპეციალურ ჯგუფს ხელმძღვანელობს, რომელიც ირანის საკითხებზე მუშაობს.

## კოკოითიმ ოპოზიცია გადააგდო

მიმდინარე წლის 12 დეკემბერს სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტ ედუარდ კოკოითის უფლებამოსილების ვადა ეწურებოდა. ვადის გასვლამდე 2 დღით ადრე მან თანამდებობა დატოვა. პოსტიდან წასვლასთან დაკავშირებით დიდი ლოთისძიება მოაწყო, რომელიც მერე ღვინისძიებაში გადაიზარდა. მისი წასვლის გამო ოსი ქალების ნაწილი ცრემლად დაიღვარა. რამდენიმე კურცხალი ცრემლი კოკოითმაც გადმოაგდო.

ოსი ქალების მეორე ნაწილი ალა ჯიოევას თამადობით კი მისი გადადგომის ამბავს ზეიმობდა. ზეიმი ნაადრევი გამოუვიდათ. რამდენიმე დღეში მიხვდნენ, რომ კოკოითიმ ისინი გადააგდო. ვადას კოკოითიმ გასვლა იმიტომ არ აცალა, რომ ალა ჯიოევასთვის ინაუგურაცია ჩაეშალა.


კოკოითი

ეს ქალი, მოგეხსენებათ, საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულია. მას გამარჯვება უზენაესმა სასამართლომ გაუუქმა. ამის მიუხედავად, ის თავს მაინც პრეზიდენტად მიიჩნევდა და ინაუგურაციის მოწყობასაც აპირებდა. მას მომხრეებიც მრავლად გამოუჩნდა. კოკოითიმ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და გადადგა, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად კი პრემიერი ვადიმ ბროვცევი დანიშნა, რომელიც ოპოზიციას თავის კაცად მიაჩნდა. მაგრამ მალევე მიხვდნენ, რომ ეს ასე არ იყო.

იმედები ოპოებს კოკოითიმაც გაუცრუა. წასვლამდე მან თანამდებობიდან გაათავისუფლა ადგილობრივი გენპროკურორი და უზენაესის თავმჯდომარე. პარლამენტმა კი ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. ამაზე გამწარებული ოპოზიცია ისევ აქციებით იმუქრება. ჯიოევა ამბობს, რომ ხელისუფლებამ ის მოატყუა. ამხელა ქალს, წესით, უნდა სცოდნოდა, რომ კოკოითის იმ ვეებერთელა თავში მისი მოსატყუებელი ტვინი ნამდვილად ექნებოდა.

## ჯონ ბასი საქართველოში არჩევნების გაყალბებას აღარ შეეგუება

ამერიკის შეერთებული შტატები აღშფოთებული და შეშფოთებულია რუსეთში ჩატარებული არჩევნების შედეგებით. ვაშინგტონი რუსეთში მიმდინარე გამოსვლებსაც შეეხო. არჩევნების გაყალბების გამო გამოსვლები საქართველოშიც იყო, რასაც აშშ-მ ყურადღება წესიერად არც კი მიაქცია.


ჯონ ბასი

ახლა აშშ ქართული არჩევნების მიმართ მეტი ყურადღების გამოჩენას აპირებს. ამერიკის ხელისუფლების წარმომადგენლებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ მათთვის დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოში დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას. დემოკრატიული არჩევნების აუცილებლობაზე განცხადებები ნატოს მაღალჩინოსნებსაც არაერთხელ გაუკეთებიათ, თუმცა, ამაოდ. ჩვენთან დემოკრატიული არჩევნები ჯერ ვერ ჩატარებულა.

ამ მხრივ საკმაოდ მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ჯონ ბასმა.

– თუ საარჩევნოდ იქნება აშკარა დარღვევები ან აშკარად ხელისშემშლელი ფაქტები, რაც ხელს შეუშლის არჩევნების ღიად და კონკურენტულ გარემოში ჩატარებას, ჩვენ ამაზე გვექნება ძალიან მკაფიო პოზიცია, – განაცხადა 14 დეკემბერს ამერიკის ელჩმა ჯონ ბასმა.

მან ეს განცხადება თელავში, რეგიონული მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრისას გააკეთა.

ელჩმა არჩევნების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებაზეც ისაუბრა.

მისი თქმით, მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებას არჩევნებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ ნდობა ჰქონდეს.

– განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ამომრჩეველთა სიაზე. უბანში ხმის მისაცემად მისული ამომრჩეველი უკან არ უნდა გაბრუნდეს. დაცული უნდა იყოს პროცედურები წინასაარჩევნო პერიოდშიც და არჩევნების დღესაც, ეს იქნება ხმის მიცემის, ბიულეტენებისა და ხმების დათვლის თუ ა.შ., – აღნიშნა ბასმა.

აშშ-ის ელჩი საარჩევნო კოდექსთან მიმართებით ვენეციის კომისიის რეკომენდაციებსაც შეეხო. ელჩის განმარტებით, კარგია, რომ საზოგადოებაში რეკომენდაციებთან დაკავშირებით დისკუსია მიმდინარეობს.

## ნიკა გილაური: „2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ერთ-ერთი ჯანსაღი ბიუჯეტია"

პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს ერთ-ერთ ჯანსაღ ბიუჯეტად აფასებს. როგორც მან მთავრობის სხდომაზე აღნიშნა, მომავალი წლის ბიუჯეტი საკმაოდ დაბალანსებულია. ქვეყნის მთავარი ფინანსური დოკუმენტი 2003 წლის ანალოგიურ დოკუმენტს 10-11-ჯერ აღემატება.


ნიკა გილაური

გილაურის თქმით, სახელმწიფო ბიუჯეტი 7 მილიარდ 940 მილიონი ლარია, რომლის დეფიციტი 3,5 პროცენტით არის განსაზღვრული, რაც რეგიონში ერთ-ერთი დაბალი მაჩვენებელია. მთავრობის მიზანია, 2013 წლისათვის დეფიციტის მაჩვენებელი 3 პროცენტზე დაბლა დაეცეს. ეს კი, მისი თქმით, ეკონომიკას გააჯანსაღებს.

– 2012 წლის ბიუჯეტში მთლიანი შიდა პროდუქტის 5-პროცენტიანი ზრდაა გათვალისწინებული. რაც შეეხება დანახარჯებს, აქ მთავარ პრიორიტეტად სოციალური ხარჯები, ჯანდაცვა, განათლება და სოფლის მეურნეობაა განსაზღვრული, – განაცხადა ნიკა გილაურმა.

მისი თქმით, საგრძნობლად არის გაზრდილი განათლების, სოფლის მეურნეობისა და ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება.

საგზაო ინფრასტრუქტურის, წყალმომარაგებისა და ენერგეტიკული პროექტების დაფინანსება მილიარდ ლარამდე გაიზრდება.

პრემიერ-მინისტრმა აქვე კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მომავალი წლის სექტემბრიდან სადაზღვევო ვაუჩერები დარიგდება და მას აბსოლუტურად ყველა პენსიონერი და 5 წლამდე ასაკის ყველა ბავშვი მიიღებს, რაც „ჯანდაცვაში სერიოზული გარღვევა იქნება".

ცნობისათვის, 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი პარლამენტმა 9 დეკემბერს დაამტკიცა. მას მხარი საპარლამენტო ოპოზიციამ არ დაუჭირა. ოპოზიციონერების განმარტებით, ეს ბიუჯეტი ყველაზე გაუმჭვირვალეა.

ბიუჯეტთან პრეტენზიები არასაპარლამენტო ოპოზიციასაც აქვს. ისინი იმას აპროტესტებენ, რომ სოციალური პროგრამების დაფინანსება არ გაზრდილა.

## დეპუტატ ცაგარეიშვილის შვილს თავს დაესხნენ

პოლიტიკური პარტია „თავისუფალი დემოკრატების" წევრი, ოპოზიციური საპარლამენტო ფრაქციის – „ერთობა სამართლიანობისათვის" – თავმჯდომარე გიორგი ცაგარეიშვილი მის ვაჟზე წუხელ მომხდარ თავდასხმას პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირებს. როგორც მან „მედიანიუსს" განუცხადა, თუ ეს ასე არ არის, მაშინ შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილს „აქვს ძალიან კარგი შესაძლებლობა, თავდამსხმელები დააკავოს და დანაშაული გახსნას".


გიორგი ცაგარეიშვილი

მისი თქმით, საკუთარი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე სხვადასხვა ორგანიზაციის შენობაზე 10 სათვალთვალო კამერაა დამონტაჟებული და, სურვილის შემთხვევაში, სამართალდამცავებს თავდასხმის ამსახველი ფირების ამოღება არ გაუჭირდებათ. როგორც ცნობილია, შემთხვევა რამდენიმე დღის წინ სწორედ ცაგარეიშვილის საცხოვრებელი სახლის სადარბაზოსთან მოხდა.

– ჩვენ, როგორც კანონმორჩილი მოქალაქეები, გამოძიებასთან ვთანამშრომლობთ. გამოძახებული გვყავდა საპატრულო პოლიცია და სასწრაფო დახმარება. ვაკის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა ბავშვი უკვე დაკითხეს. საგამოძიებო მოქმედებები დღესაც გაგრძელდება. ეს ჩემი ოჯახის წინააღმდეგ არც პირველი თარეშია და არც უკანასკნელი, მაგრამ ბავშვზე განხორციელებული თავდასხმა უკვე ყოველგვარ ზღვარს სცილდება, – აღნიშნა გიორგი ცაგარეიშვილმა.

გიორგი ცაგარეიშვილის შვილზე თავდასხმის ფაქტს ოპოზიციური პარტიებიც გამოეხმაურნენ. მათი შეფასებით, ეს თავდასხმა ცაგარეიშვილის პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირდება. მომხდარის გამოძიებას ისინიც კატეგორიულად ითხოვენ, ხელისუფლება კი დუმს. საინტერესოა, რას იზამდნენ, თავს რომელიმე ნაციონალის შვილს რომ დასხმოდნენ.

## თინა ხიდაშელი 2008 წლის ეთნოწმენდის მომწყობების დასჯას ითხოვს

რესპუბლიკური პარტიის ლიდერი თინა ხიდაშელი გაეროში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მე-10 კონგრესს ესწრება.

ხიდაშელმა სხდომაზე ევროკავშირის ქვეყნების ელჩებსა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წარმომადგენლებს სიტყვით მიმართა.


თინა ხიდაშელი

თინა ხიდაშელმა საკუთარ გამოსვლაში განაცხადა, რომ აგვისტოს ომის დამნაშავეების დასჯას ითხოვს.

– არ შეიძლება, საერთაშორისო სამართალი შერჩევით სჯიდეს დამნაშავეებს იმის მიხედვით, ქვეყანა დიდია თუ პატარა ან როგორია მისი გავლენა მსოფლიოში. 2008 წელს საქართველოში ეთნოწმენდა მოხდა და ეს საერთაშორისო დანაშაულია. დამნაშავეები უნდა წარდგნენ საერთაშორისო მართლმსაჯულების წინაშე, – განაცხადა ქართველმა რესპუბლიკელმა.

## ალასანიას სააკაშვილის შეცვლის იმედი გაუჩნდა

თავისუფალი დემოკრატების ლიდერ ირაკლი ალასანიას განცხადებით, ქართულ პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის გამოჩენა საქართველოს გარემოებების შეცვლაში დაეხმარება და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური ძალის მონოპოლია არჩევნების მეშვეობით მოსახლეობის მთავრობაზე მონოპოლიით შეიცვლება.

როგორც ალასანიამ უცხოური პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, მთავრობა მოსახლეობას უნდა ეკუთვნოდეს და არა ცალკეულ პირებს – ხალხი.


ირაკლი ალასანია

– ივანიშვილი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარ კაცია და საქართველოს მთავრობას – ...სააკაშვილის მთავრობას, ინსტიტუციების ჩამოყალიბებაში შემოწირულობებით ეხმარებოდა. საქართველოს პოლიციისა და თავდაცვის რეფორმისთვის გაიღო თანხები, მაგრამ ახლა სააკაშვილისადმი კრიტიკული გახდა და ამჯერად გადაწყვიტა, თავად ჩაებას მოვლენებში იმისთვის, რომ მომავალ წელს სამართლიანი არჩევნები გვქონდეს. ეს ძალა დაეხმარება საქართველოს გარემოებების შეცვლაში და სააკაშვილის პოლიტიკური ძალის მონოპოლია არჩევნების მეშვეობით მოსახლეობის მთავრობაზე მონოპოლიით შეიცვლება. მთავრობა მოსახლეობას უნდა ეკუთვნოდეს, იმის ნაცვლად, რომ ცალკეულმა პირებმა მთავრობაში მთელი მოსახლეობა დაიმორჩილონ. სწორედ ამით განსხვავდება ჩვენი ფილოსოფია სააკაშვილის პოზიციისგან, – განაცხადა ალასანიამ.

ამავე გამოცემასთან საუბარში ალასანიამ ერთი საინტერესო ინფორმაცია გააჟღერა. მისი თქმით, ძალიან მალე საქართველოს აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი ეწვევა. ალასანიას სჯერა, რომ ეს ვიზიტი მნიშვნელოვანი იქნება.

## ევროპარლამენტმა რუსეთს საპარლამენტო არჩევნების ხელახლა ჩატარებისკენ მოუწოდა

ევროპარლამენტმა რუსეთში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით რეზოლუცია მიიღო და კრემლს ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნისაკენ მოუწოდა.

რეზოლუციის ტექსტის მიხედვით, სახელმწიფო დუმის არჩევნების პროცესმა აჩვენა, რომ რუსეთმა ეუთოს საარჩევნო რეკომენდაციები და სტანდარტები არ გაითვალისწინა.

ევროპარლამენტარები აფიქსირებენ, რომ ხმის მიცემის პროცესში ადგილი ჰქონდა რამდენიმე სახის დარღვევას, მათ შორის ე.წ. საარჩევნო კარუსელს, ოპოზიციის აქტივისტების დაკავებას, საარჩევნო ყუთებში ყალბი ბიულეტენების ჩაყრას და სხვა.

ევროპარლამენტი ასევე მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, რომ საარჩევნო კანონმდებლობა ევროსაბჭოს სტანდარტებს შეუსაბამოს.

შორენა მარსაგიშვილი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ახალგორის რაიონში ფორმა 9-ის გარეშე მიმოსვლა აიკრძალა

„სამხრეთ ოსეთის“ მარიონეტულმა რეჟიმმა ახალგორის რაიონში ფორმა N9-ის გარეშე მიმოსვლა აკრძალეს. მგზავრებს, ვისაც ფორმა N9 არ აქვთ, რუსული გამშვები პუნქტიდან (ახალგორის რაიონის სოფელ ახმაჯაში), ასევე ოსური ბლოკ – საგუშაგოდან (ახალგორის რაიონის სოფელ მოსაბრუნში) უკან აბრუნებენ, – იუწყება მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი.

როგორც დე ფაქტო სამიგრაციო სამსახურის წარმოადგენელი აცხადებს „დღეიდან ვისაც ფორმა N9 არ ექნება, ის ვერც აქედან წავა და ვეღარც შემოვა“. დე ფაქტო საზღვრის გადაკვეთის უფლებას აღარც იმ მგზავრებს აძლევენ, რომელთა ფორმასაც მოქმედების ვადა გაუვიდა.

ცნობისათვის, ფორმა N9 არის დოკუმენტი, რომელმაც ქსნის ხეობაში ოსური პასპორტიზაცია ჩაანაცვლა. ამ დროისთვის ფორმა 9 დაახლოებით 4 000 ახალგორელს აქვს აღებული.

ახალგორის რაიონში ფორმა N9-ის ისტორია 2009 წლის მაისში დაიწყო, თუმცა იმ დროს პროცესმა ისე სწრაფად ჩაიარა, ბევრმა აღნიშნული დოკუმენტის აღება ვერც მოასწრო. სწორედ ფორმა 9-ით მიიღეს ახალგორელებმა ჯერ 2009 წლის 31 მაისს დე ფაქტო საპარლამენტო არჩევნებში, მიმდინარე წელს კი დე ფაქტო პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობა.

მეორედ ფორმა N9-ის გაცემის პროცესმა სტარტი გასული წლის ნოემბერში აიღო. ამჯერად, დე ფაქტო მმართველები უფრო მომთხოვნები იყვნენ. ახალგორის ოსურ ბლოკ-პოსტზე გადაადგილებისას, ოსური მილიციისა და სამიგრაციო სამსახურის წარმომადგენლები მგზავრებს ფორმა N9-ის არქონის შემთხვევაში გადაადგილების საშუალებას აღარ აძლევდნენ და უკან აბრუნებდნენ. იმის გამო, რომ ახალგორელთა დიდ ნაწილს აღნიშნული დოკუმენტი არ ჰქონდა, დე ფაქტო სამიგრაციო სამსახურმა შეზღუდვები დროებით მოხსნა. ეს ვადა კი ჯერ გასული წლის დეკემბრამდე გაგრძელდა, შემდეგ 2011 წლის იანვრამდე, შემდეგ მარტამდე და ასე იყო დე ფაქტო პრეზიდენტის არჩევნებამდე (13 ნოემბრამდე).

ამ პერიოდში, ოსურ გამშვებ პუნქტზე მგზავრებს პერიოდულად ახსენებდნენ ხოლმე, რომ ფორმა N9 აუცილებლად უნდა აეღოთ. შეხსენება სხვადასხვა ფორმით ხდებოდა, მგზავრებს ხან სიტყვიერად აფრთხილებდნენ, ხან უკან აბრუნებდნენ.

ფორმა N9 საცხოვრებელი ადგილის ცნობის მსგავსი დოკუმენტია. მასში აღნიშნულია დოკუმენტის მფლობელის გვარი, სახელი, მამის სახელი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და ფოტოსურათიც არის ზედ დაკრული. ფორმის ასაღებად საჭიროა დაბადებისა და პირადობის მოწმობების ასლების რუსული თარგმანები, რომლებიც ახალგორში კეთდება და ცხინვალელი ნოტარიუსის მიერ უნდა იყოს დამოწმებული; ასევე, საცხოვრებელი ადგილის ცნობა ახალგორის დე ფაქტო საბჭოდან და 4 ფოტოსურათი.

დაბადებისა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობების ასლები დე ფაქტო ადმინისტრაციის შენობაში კეთდება. აქ აღნიშნული დოკუმენტების დედნებს ასკანერებენ, რუსულ თარგმანს ურთავენ და შემდეგ ნოტარიუსი ბეჭდით ამოწმებს. ამ ასლების დამზადებაში ცხინვალელი ნოტარიუსი ადრე, ვიდრე ახალგორს დატოვებდა, 150 რუბლს იღებდა, ახლა კი ოფიციალური გადასახადი ადგილობრივ ბანკში 80 რუბლია. ასლების გაკეთების შემდეგ, საბჭოს შენობაში საცხოვრებელი ადგილის ცნობა უნდა აიღო, შემდეგ კი დე ფაქტო მილიციაში უნდა წახვიდე, სადაც 4 ფოტოსურათს გადაგიღებენ და ყველა ეს საბუთი იქვე უნდა ჩააბარო. დაახლოებით 10 დღის ვადაში, მილიციის განყოფილებაში ფორმა N9 მზად არის, რისთვისაც 50 რუბლი უნდა გადაიხადო.

ეს ერთი შეხედვით ადვილი პროცედურა, მთლად მარტივი არ არის, რადგან რაიონს ნოტარიუსი აღარ ჰყავს. ნოტარიუსი გასული წლის ნოემბრის დასაწყისში რაიონიდან წავიდა. მისი წასვლის ზუსტი მიზეზი დღემდე უცნობია. ნოტარიუსის არყოფნის გამო ფორმა 9-ის აღება ბევრს უჭიანურდებოდა და შესაბამისად, გზაზეც პრობლემები ექმნებოდათ.

მედიანიუსი

# ზვიად ძიძიგური: „ბიძინა ივანიშვილს ჯერ შეცდომა არ დაუშვია“


ზვიად ძიძიგური

## ვისთან და რატომ არ გაიმართება პოლიტიკური კონსულტაციები

ნათია ხურცილავა

ზვიად ძიძიგური აცხადებს, რომ ოპოზიციური სპექტრი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური ალტერნატივის გარშემო უნდა გაერთიანდეს.

ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ კონსერვატორების ლიდერ ზვიად ძიძიგურთან გათავაზობთ ინტერვიუს:

***– ბატონო ზვიად, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები გადამწყვეტი მნიშვნელობის იქნება ქვეყნის მომავალი განვითარებისთვის. ექსპერტები აცხადებენ, რომ სწორედ ეს არჩევნები გადაწყვეტს, რა პოლიტიკური სქემა იქნება. მოსალოდნელი არის ვადამდელი არჩევნები?***

– თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ ქვეყანაში არჩევნების დანიშვნა კანონით კი არ არის განსაზღვრული, არამედ ერთი კაცის ხასიათის მიხედვით წყდება, როგორც წესი, არაფერი არ არის გამორიცხული. თუმცა, ამ წუთის გადასახედიდან არ შეინიშნება მსგავსი მცდელობები ხელისუფლების მხრიდან. ამას თავისი ახსნა აქვს.

***– რა ახსნა აქვს?***

– ხელისუფლება ფიქრობს, რომ ბიძინა ივანიშვილი და მისი მომავალი პოლიტიკური ალტერნატივა, რომელსაც ის აყალიბებს, დაუშვებს შეცდომებს, ვერ მოახერხებს ნაწილობრივ მაინც ამ ძალის, რომელიც უკვე ალტერნატივად შეფასდა, რეალიზებას. ასეთი ტაქტიკა აქვს არჩეული. აქიდან გამომდინარე ვფიქრობ, ამ ეტაპზე, სააკაშვილი სანამ ამ ჭკუაზეა, არჩევნები შემოდგომაზე დაინიშნება. თუ ხვალ დილით სააკაშვილს გაეღვიძა სხვა ჭკუაზე, რა თქმა უნდა, მე არაფრის თქმა არ შემიძლია გადაწყვეტით.

***– ივანიშვილს ახსენეთ, ხელისუფლება აცხადებს, რომ შევარდნაძის დროინდელი მივიწყებული სახეების დაბრუნება ხდება. რას იტყვით?***

– ამ ადამიანებს ერთხელ სააკაშვილმა ჩარეცხილები უწოდა. ეს ადამიანები ერთგვარი ტიტულით შეამკო და შემდეგ ძალიან ცუდი სიტყვებით მოიხსენია. ძალიან ცუდად მოექცა მეცნიერებათა აკადემიას, რომელსაც ასეთივე წარმატებით შეიძლება შევარდნაძის დროინდელი მეცნიერებათა აკადემია ვუწოდოთ. ასევე ცუდად მოექცა უნივერსიტეტის პროფესორებს, მასწავლებლებს, დიპლომატებს, მაშინდელ მოღვაწე ადამიანებს. ჩემი აზრით, საზოგადოების პოლარიზაცია, რომელსაც ხელისუფლება ახდენს, მათვე გამოუთხრის ძირს. ეს ცალსახაა. იმის შემდეგ, რაც ხელისუფლებამ ისაუბრა დარბაზში შეკრებილი პატივსაცემი საზოგადოების მიმართ, მინდა დაგარწმუნოთ, რომ იმ საზოგადოების ასივე პროცენტი ხელისუფლებამ პოლიტიკურ პროცესებში ჩართო. ასე ნამდვილად არ იყო დიდ საკონცერტო დარბაზში მისვლამდე. იყვნენ ადამიანები, რომლებიც ბატონ ბიძინას ხათრით მივიდნენ იქ, რადგან ბატონმა ბიძინამ ის ადამიანები შიმშილით სიკვდილისაგან გადაარჩინა გარკვეული დროის განმავლობაში. მას შემდეგ, რაც მსგავსი ფრაზეოლოგია ინტენსიურად გაისმა ხელისუფლების წარმომადგენლების მაძღარი პატრიოტების მხრიდან, ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, უკვე ეს ხალხი სრულიად სხვაგვარად ჩაერთვება ამ პროცესში. ხელისუფლება პიარულადაც, ორგანიზაციულადაც და ჭკუის თვალსაზრისითაც სერიოზულ შეცდომებს უშვებს, რაც ადასტურებს იმას, რომ ისინი სერიოზულ დეკვალიფიკაციას განიცდიან ბოლო წლების განმავლობაში.

***– ხელისუფლება რეალურ საფრთხეს ხედავს და ამით არის შეცდომები გამოწვეული?***

– ასეთ შეცდომებს უშვებდნენ ისინი მაშინ, როდესაც 2007-2008 წლებში ოპოზიცია ძალიან ძლიერი იყო. მათ თანაბარი დონისა და ძალის მოწინააღმდეგესთან არ შეუძლით ისეთი ყოჩაღები იყვნენ, როგორი ყოჩაღებიც არიან სხვა სიტუაციაში, მაგალითად, მათ ძალიან კარგად შეეძლოთ იმ მოედანზე თამაში, სადაც ოპოზიციას პრაქტიკულად ჰქონდა ძალიან სუსტი პოზიციები. თუ ოპოზიციას ძლიერი პოზიციები აქვს, ამ დროს ხელისუფლება ნერვიულობს, ღელავს, ეწყება ცანცარი, აქედან გამომდინარე ხდება ის, რაც ხდება.

***– ივანიშვილის გამოჩენას თან ახლდა ეიფორია, ახლა არის მოლოდინები. რას იტყვით, მიდის ეს პროცესი მოლოდინების გამართლებისკენ?***

– ამ პოლიტიკური მოვლენის ლოგიკა, რა თქმა უნდა, სავსებით გასაგებია. თავიდან ეიფორია ჩნდება, როდესაც ერთი მხრივ წარმოუდგენლად კარგი რამ ხდება, ასეთი რამ მოხდა ოპოზიციონერი ამომრჩევლისათვის. შემდეგ ეს ეიფორია, რა თქმა უნდა, გადადის უფრო პრაგმატილ ჭრილში და ყველას აინტერესებს რა იქნება. ახლა დაკვირვების ეტაპია. მომავალი წარმატებები მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სწორ პოლიტიკურ გათვლებსა და სწორ პოლიტიკურ პროექტებზე. მე ვფიქრობ, რომ ბურთი და მოედანი გვიჩვენებს, როგორი იქნება მომავალი პოლიტიკური ალტერნატივის წარმატების შანსი.

***– თქვენი განწყობა როგორია?***

– მე ძალიან ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. მიმაჩნია, რომ ნაბიჯები, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი და მის ირგვლივ მყოფი ადამიანები დგამენ, ჯერჯერობით უშეცდომოა. შეცდომებს ძირითადად ხელისუფლება უშვებს. ამის ფონზე ბიძინა ივანიშვილი და მისი მოძრაობა ადვილად გადის. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს ბოლომდე ასე არ გაგრძელდება. პოლიტიკურ მოძრაობას მხარდაჭერა მაშინ ექნება თუ პოლიტიკური გუნდი და ხელმძღვანელი ისაუბრებს პოლიტიკურ ინიციატივებზე, პოლიტიკურ პროექტებზე, პრობლემების მოგვარების გზებზე, თუ მოსახლეობა დაინახავს ამ პრობლემების გადაჭრის რეალურ გზებს. ივანიშვილი რომ კარგი კაცია, ეს იცის მოსახლეობამ, მაგრამ მხოლოდ ამიტომ ხმას ბევრი არ მისცემს, თუმცა ბევრი მისცემს. არის მოსახლეობის კატეგორია, რაც სავსებით გასაგებია, რომელიც კითხვას ასე სვამს: ჩემთვის რა შეიცვლება უკეთესობისკენ თუ ეს ძალა მოვა ხელისუფლებაში? ამ კატეგორიისთვის არის პასუხი გასაცემი. თან ძალიან კონკრეტული პასუხი არის გასაცემი.

***– თქვენ ამბობთ პროგრამებზე, ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრის ხედვაზე?***

– დიახ. ზოგ სოფელს ხიდი არა აქვს, ზოგ სოფელს წყალი არა აქვს, ზოგან მოსახლეობა სხვა ტიპის პრობლემებით არის დატვირთული. მასობრივი პრობლემა არის უმუშევრობის. კახეთში ყურძნის ჩაბარების პრობლემაა. დასავლეთში ციტრუსისა და ხილის. პრობლემებს რა გამოლევს. ბევრი პრობლემა ამ ხელისუფლების მოსვლის შემდეგ უფრო მეტად გამძაფრად და გამწვავდა. ამ პრობლემის დაძლევის გზებზე, რა თქმა უნდა, პოლიტიკურმა ძალამ არა მხოლოდ უნდა ისაუბროს, არამედ უნდა უჩვენოს პირდაპირ მოსახლეობას, რომ ისინი ამ პრობლემისგან განთავისუფლდებიან ხელისუფლების ცვლილების შემთხვევაში. ეს არის საკითხი, რომელზედაც ექნება მომავალ პოლიტიკურ ალტერნატივას ძალიან დეტალურად და სერიოზულად სამუშაო.

***– რეიტინგებზე მინდა გკითხოთ, ორი ორგანიზაციის მიერ დადებული რეიტინგების შედეგები დიდად არ განსხვავდება. რას იტყვით?***

– ამ რეიტინგებში, აირაისა და იაგო კაჭკაჭიშვილის მიერ დადებულ ორივე რეიტინგში ერთი ციფრი იყო საერთო. ძალიან მაღალი მაჩვენებელი იყო ადამიანებისა, რომლებიც აპირებენ არჩევნებზე მოსვლას. რაც ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ხელისუფლება ყოველთვის ახერხებდა თავისი ამომრჩევლის მიყვანას არჩევნებზე ორგანიზაციული თუ ფინანსური რესურსის გამოყენებით. ამას ოპოზიცია ვერასდროს ვერ ახერხებდა. ოპოზიციის ამომრჩეველი, რომელსაც არ უნდოდა ამ ხელისუფლების კიდევ ერთხელ ხელისუფლებაში დარჩენა იმის გამო, რომ არჩევნებზე გული ჰქონდა გატეხილი, არ მიდიოდა არჩევნებზე. აქედან ხეირობდა ხელისუფლება. მეტსაც გეტყვით, ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ მოსახლეობის საკმაოდ აქტიური და პატრიოტულად განწყობილი ნაწილი სწორედ გულგატეხილ მდგომარეობაში ყოფილიყო და არ გამოსულიყო არჩევნებზე. ამ შემთხვევაში მე ცოტა რაოდენობის ხალხზე არ ვსაუბრობ. საუბარია უამრავ ადამიანზე, 300 ათასზე და უფრო ზევით. ეს არის სულ ოპოზიციის ამომრჩეველი, რომელიც აქამდე არ თვლიდა თავს ვალდებულად, რომ არჩევნების გზით ეცადა ხელისუფლების შეცვლა. დღეს ეს სიტუაცია შეცვლილია.

***– რამ გამოიწვია?***

– იმედის გაჩენამ.

***– თუ პირიქით, ქუჩის აქციებისა და ე.წ. დაანონსებული რევოლუციების მიმართ ნიჰილიზმმა?***

– ეს ერთი და იგივეა. იმედი გაჩნდა, რომ არსებობს ძალა, რომელსაც შეუძლია არჩევნების გზით ხელისუფლება დაამარცხოს. ეს ძალა და ეს პერსონა, თავად ბიძინა ივანიშვილის სახით ამბობს, რომ არჩევნები არის ერთადერთი გზა, რომლითაც ის აპირებს ხელისუფლების პოლიტიკურად დამარცხებას. გაჩნდა იმედი. ბიძინა ივანიშვილის ფიგურა არის იმდენად წონადი, რომ მის სიტყვას საქართველოს მოქალაქებში დიდი ფასი ჰქონდეს. აქედან გამომდინარეობს ეს იმედი. ამ იმედის წყალობით არის ის ციფრები, რომელიც უპრეცედენტოდ მაღალია. არასდროს ასეთ გამოკითხვებში არჩევნებზე მიმსვლელთა რიცხვი ასეთი მაღალი არ ყოფილა.

***– ბატონო ზვიად, ოპოზიციური ბლოკი უნდა შეიქმნას წინასაარჩევნოდ?***

– პოლიტიკური ალტერნატივის ირგვლივ უნდა მოხდეს ამა თუ იმ ფორმით მთელი ოპოზიციური რესურსის გაერთანება. ერთი ბლოკის სახე უნდა ჰქონდეს ამას. ბლოკს როდესაც ვამბობ, არ ვგულისხმობ ყველას, ვინც ოპოზიციურ ფლანგზეა, ოპოზიციური ოცი პარტია ამ ბლოკში იყოს დამფუძნებელი თუ გადაწყვეტილების მიმღები. ვისაც ამ ხელისუფლების შეცვლა უნდა, ყველასთვის გამოიძებნება საქმე ამ ბლოკში. რაც შეეხება იმას, რომ სხვადასხვა ბლოკში გაწევრიანდეს ოპოზიცია და რამდენიმე ცენტრი შეიქმნას, ეს სააკაშვილის წისქვილზე დაასხამს წყალს. ეს სააკაშვილის ინტერესში შედის. სააკაშვილი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ეს ასე მოხდეს და ამას ყველანი ვნახავთ შეუიარაღებელი თვალით.

***– ფიქრობთ, რომ არჩევნების წინ რამდენიმე ოპოზიციური ბლოკი ხელისუფლების ძალისხმევით შეიქმნება?***

– სააკაშვილი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ რამდენიმე ოპოზიციური ცენტრი შეიქმნას. ჩვენ ასეთი მაგალითები ნანახი გვაქვს 2007-2008 წლების საპრეზიდენტო არჩევნებისა და საპარლამენტო არჩევნების წინ. არაფერი გამოუცნობი სააკაშვილის მომავალ ტაქტიკაში არ არის არც ჩემთვის და არც პოლიტიკაში ჩახედული ადამიანებისათვის. ასეთი მცდელობა იქნება მისი მხრიდან, მაგრამ ეს მცდელობა რამდენად იქნება წარმატებული, რამდენად მოახერხებენ ასეთი ოპოზიციური დაჯგუფების წარმომადგენლები რეალური შედეგის მოპოვებას, ეს ცალკე საკითხია. ტრადიციულად ამ ქვეყანაში ორი პოლუსი არსებობს და მთელი ძალების მიმართვა ან ერთ მხარეს ხდება, ან მეორე მხარეს. მესამე და მეოთხე ოპოზიციურ ცენტრებს დიდი იმედები არ უნდა ჰქონდეთ. ყველა ოპოზიციური ძალა უნდა გაერთიანდეს. ცალ-ცალკე გასვლის შემთხვევაში დიდი შანსია, რომ ოპოზიციური ამომრჩეველი დაიბნეს. ხმები გადანაწილდეს სხვადასხვა ძალებს შორის და აქ „გაძვრეს“ ხელისუფლება. მაგალითად, 2008 წლის არჩევნების დროს საბურთალოს არჩევნებში მელაძემ გაიმარჯვა, მაშინ როდესაც მასზე მაღალი რეიტინგი ჰქონდა თინა ხიდაშელსა და რეზო შავიშვილსაც. ოპოზიციონერი კანდიდატების მხარდამჭერების ხმები ორად გაიყო. დაახლოებით იგივე შეიძლება მოხდეს თუ ანალოგიური მდგომარეობა იქნება.

***– ბიძინა ივანიშვილთან თქვენი პარტია და ხალხის პარტია, როგორც ვიცი, კონსულტაციების რეჟიმში ხართ. რა დონეზე არის კონსულტაციები?***

– კონსულტაციები არის ბატონ ბიძინასთან, რესპუბლიკურ პარტიასტან და ირაკლი ალასანიასთან. გარკვეული შეთანხმება არის, დაახლოებით როგორი იქნება ჩვენი მომავალი თანამშრომლობა.

***– როგორი იქნება?***

– გაერთიანებაში რაც შეიძლება მეტი ოპოზიციური ლიდერი და საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანი უნდა იყოს ჩართული.

***– ამ კონსულტაციებში არის ვინმე – მინუს?***

– ამის შესახებ ინფორმაცია არ მაქვს. ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა თქვა, ვისთან წარმოუდგენია მას მინუსი. სხვა არ გამიგონია კიდევ ვინმე იყოს ე.წ. შავ სიაში.


ბიძინა ივანიშვილი

# ალეკო შალამბერიძე: „არჩევნების გასაყალბებლად ხელისუფლება ახალ-ახალ გეგმებს ადგენს“

თეა მარხვაიძე

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ალეკო შალამბერიძე თანამოაზრეებს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის ბრძოლისკენ მოუწოდებს. ყოფილი დეპუტატის აზრით, მხოლოდ ერთიანი ძალებით შეძლებს ოპოზიცია წარმატებების მიღწევას. ერთიანობა, მისი აზრით, საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღების მიპყრობისთვისაც არის საჭირო.

რა ორმაგი სტანდარტებით მოქმედებს ამერიკა, რას ნიშნავს ჯონ ბასის განცხადება, რა ძალა აქვს რეფერენდუმს, რატომ არ უნდა გაიზარდოს დეპუტატების რაოდენობა, ამ თემებზე ყოფილი დეპუტატი ალეკო შალამბერიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

***— საქართველოში აშშ-ის ელჩმა ჯონ ბასმა 14 დეკემბერს საინტერესო განცხადება გააკეთა. მისი თქმით, აშშ-ს საქართველოში არჩევნების გაყალბებაზე მკვეთრი რეაქცია ექნება. რას უნდა მივაწეროთ ელჩის ასეთი განცხადება?***

— აშშ-ის ელჩებისგან, მათ შორის ჯონ ბასისგანაც ხშირად მოგვისმენია ისეთი განცხადებები, რომლებიც სააკაშვილის ხელისუფლების წისქვილზე ასხამდა წყალს. ამ მხრივ ეს განცხადება ნამდვილად გამორჩეულია. ბასმა, როგორც იქნა, თქვა ის, რაზეც ამდენი ხანია მთელი საქართველო საუბრობს.

***— მხედველობაში რა გაქვთ?***

— ის, რომ სააკაშვილს ამერიკაც აღარ უცხადებს მხარდაჭერას.

***— ჯონ ბასის განცხადება ამას ნიშნავს? ელჩს არსად უთქვამს, რომ ხელისუფლებას არ ენდობა.***

— ელჩის განცხადება საკმაოდ ნათელია. აქედან ჩანს, რომ ვაშინგტონი აღარ ენდობა სააკაშვილის მმართველობას. ამერიკას უნდა, რომ საქართველოში დემოკრატიული არჩევნები ჩატარდეს. სააკაშვილს კი ასეთი არჩევნები არ აწყობს.

***— ჩვენს ხელისუფლებას უყვარს ხოლმე ამერიკის მითითებების შესრულება. რადგან აშშ-ს დემოკრატიული არჩევნები სურს, წავლენ ამ მსხვერპლზე ნაციონალები?***

— არა მგონია. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ სააკაშვილს დემოკრატიული არჩევნები არ აწყობს. კარგია, ელჩმა ამ თემაზე ყურადღება რომ გაამახვილა. ოპოზიცია უნდა ეცადოს, რომ აშშ-მ ყურადღება სხვა საკითხზე არ გადაიტანოს.

***— რა უნდა გააკეთოთ ამისთვის?***

— საზოგადოებასთან ერთად ამერიკას უნდა ვაგრძნობინოთ, რომ დემოკრატიული ქვეყანა გვინდა. ამისთვის კი დემოკრატიული არჩევნებია საჭირო.

***— იმისთვის, რომ დემოკრატიული არჩევნები ჩატარდეს, სხვა ბევრი რამეა საჭირო, იგივე საარჩევნო გარემოს გაჯანსაღება, რომელზეც ოპოზიციის ერთი ნაწილი ბევრს საუბრობდა. ეს საკითხი დღეს თამაშგარეთ არის დარჩენილი, ვინ ზრუნავს გარემოს გაუმჯობესებაზე?***

— სამწუხაროდ, საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე არავინ ზრუნავს. ეს მიმართულება მიგდებულია. გარემოს გაუმჯობესებისთვის თავიდან უნდა დავიწყოთ ბრძოლა.

***— თავიდან რატომ? რაღაცა შედეგებს ხომ მიაღწია ოპოზიციამ.***

— რა შედეგებს მიაღწია. რამდენიმე პარტია გაურიგდა ხელისუფლებას, მათ რაღაც-რაღაცებზე მოაწერეს ხელი. თავიდან ნაციონალები თანახმა იყვნენ მათი პირობების შესრულებაზე, ახლა კი ყველაფერზე უარს ეუბნებიან. ეს ფსევდოოპოზიცია გადაგდებული აღმოჩნდა. ახლა მიდის საუბარი, რომ პარლამენტი დარჩება ისევ 150– კაციანი, ოღონდ მაჟორიტარი დეპუტატების რიცხვი გაიზრდება 83-მდე. არადა, აქამდე 75 მაჟორიტარი გვყავდა.

***— დეპუტატების რაოდენობასთან დაკავშირებით პირადად თქვენ რას ფიქრობთ, საჭიროა მათი ოდენობის გაზრდა?***

— დეპუტატების რაოდენობის გაზრდა საჭირო არ არის. როცა ხელისუფლებასთან ოპოზიციური რვიანი მოლაპარაკებებს აწარმოებდა, ეს არავის მოუთხოვია. საუბარი იყო 150-კაციან პარლამენტზე, საიდანაც 100 კაცი აირჩეოდა პროპორციული წესით, 50 კაცი კი – რეგიონული პროპორციული წესით. სააკაშვილმა შემოგვითვალა, მაჟორიტარებს არ დავთმობო. ამის გამო წავედით კომპრომისზე.

***— რა იყო ეს კომპრომისი?***

— დავაყენეთ გერმანული ვარიანტი. მაჟორიტარული კანდიდატები რჩებოდნენ. ოღონდ პროპორცია ამომრჩევლების მიერ მიღებული ხმების რაოდენობისა არ ირღვეოდა. რამდენ პროცენტსაც აიღებდა ესა თუ ის პარტია, იმდენი ადგილი ექნებოდა პარლამენტში. ხელისუფლება ამაზე არ წამოვიდა. მათ 190-კაციანი პარლამენტის ვარიანტი წარმოადგინეს.

***— ხელისუფლება იფიცება, რომ ეს ვარიანტი მათი კი არა, ოპოზიციის იყო.***







## რას ნიშნავს ჯონ ბასის განცხადება

— ხელისუფლების ფიცი ვის სჯერა ნეტავი? მათი განმარტებით, დეპუტატების რიცხოვნობის გაზრდის ინიციატორები ქრისტიან-დემოკრატები იყვნენ. მე ეგენი თავის დროზე ვამხილე. ამის გამო ხალხის პარტიიდან მომიწია წამოსვლა, რომელიც იმ მომენტისთვის ოპოზიციურ რვიანში იყო. ოპოზიციას დეპუტატების რაოდენობის გაზრდა არ მოუთხოვია. სააკაშვილი თაღლითი და ვირეშმაკა ადამიანია. ის ყველაფერს გააკეთებს, რომ ქდმ-ს წინადადება ოპოზიციის მოთხოვნად გასაღდეს.

***— ქდმ-მ, თავის მხრივ, გააკეთა განცხადება. მათ თქვეს, რომ დეპუტატების გაზრდას აღარ ითხოვენ.***

— ახლა უკვე გაირკვა ყველაფერი, მაგრამ ამან დიდი დრო დაგვაკარგვინა.

***— დეპუტატების შემცირების საკითხი რეფერენდუმზე იყო დაყენებული, მოსახლეობამ რეფერენდუმზე შემცირებას დაუჭირა მხარი. ნაციონალი აკო მინაშვილი და რამდენიმე ოპოზიციონერი ამბობენ, რომ რეფერენდუმი არაფერი არ არის. ამასთან დაკავშირებით რას იტყვით?***

— არაფერს არ წარმოადგენენ აკო მინაშვილი და ის ოპოზიციონერები, რომლებიც რეფერენდუმზე ასე საუბრობენ. რეფერენდუმზე გადაწყვეტილება ხალხმა მიიღო. რეფერენდუმის შედეგების დაცვა ყოველი ჩვენგანის მოვალეობაა.

***— ამბობთ, მოვალეობააო, თუმცა, მის დაცვას არავინ აპირებს.***

— ეს ძალიან ცუდია. განსაკუთრებით ცუდი ისაა, რომ ამ შედეგებს პატივს კანონმდებლები არ სცემენ, რომლებმაც შიგნით რაღაცები გაიყვეს და მოსახლეობის დაბრმავებას აპირებდნენ. ეს არ გამოუვიდათ. ახლა იმისთვის უნდა ვიბრძოლოთ, რომ არჩევნები ნორმალურად ჩატარდეს.

***— ამბობთ, უნდა ვიბრძოლოთო. სხვებს რომ მოუწოდებთ, პირადად თქვენ რას აკეთებთ იმისათვის, რომ არჩევნები ნორმალურად და სამართლიანად ჩატარდეს?***

— ამ მიმართულებით მეც ბევრი რამე მაქვს გასაკეთებელი. ახლა უმუშევართა კავშირთან ერთად ვაპირებ ამ მიმართულებით ბრძოლას. ეს მოითხოვეს თავად უმუშევართა კავშირის წევრებმა. ისინი კარგად აცნობიერებენ, რომ მათი პრობლემა არ მოგვარდება, თუ აქ სამართლიანი და თავისუფალი არჩევნები არ ჩატარდა. ჩვენ სააკაშვილს არჩევნებამდე უნდა მოვუგოთ არჩევნები. სამწუხაროდ, ამისთვის ოპოზიცია არაფერს ვაკეთებთ. ხელისუფლება კი ახალ-ახალ ხრიკს იგონებს. ამასთან გამკლავებას დიდი ძალისხმევა სჭირდება. ხალხის დახმარება ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

***— ექსპერტების ნაწილი ვარაუდობს, რომ რუსეთსა და ცხინვალში ჩატარებული არჩევნები აუცილებლად იქონიებს გავლენას ჩვენს ამომრჩეველზე. თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?***

— რუსეთი ჩვენი ახლო მეზობელია და შეუძლებელია, იქ განვითარებულმა მოვლენებმა ჩვენზე გავლენა არ მოახდინოს. იქ ძალიან საინტერესო პროცესები მიმდინარეობს. არჩევნებში „ედინაია რასიამ“ 49,72 % მიიღო. დანარჩენი ხმები კომუნისტებზე, „ელდეპეერსა“ და „სპრავედლივაია რასიაზე“ გადანაწილდა. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ რუსეთში არჩევნები მეტ-ნაკლებად დემოკრატიულად ჩატარდა. იქაური მოსახლეობა ამ შედეგებს მაინც აპროტესტებს. აშშ ამ პროცესებს სერიოზულად ეხმაურება, რაც პირადად ჩემში გაღიზიანებას იწვევს.

***— თქვენ რატომ ღიზიანდებით?***

— არჩევნების გაყალბების გამო თავის დროზე თბილისში 200 ათასი ადამიანი გამოვიდა ქუჩაში. ამაზე აშშ-მ თქვა, რომ ეს ხალხის ნაწილია. მოსკოვში, 15-მილიონიან ქალაქში, 80 ათასი კაცი გამოვიდა და ეს ხალხის ნებად გამოაცხადეს. ეს გახლავთ ორმაგი სტანდარტი. სწორედ ეს მაღიზიანებს მე. ვიდრე აშშ ორმაგ სტანდარტებს თავს არ დაანებებს, ჩვენ მათთან ყოველთვის კონფრონტაციაში ვიქნებით. ამდენი წელია პოლიტიკაში ვარ. 20 წელია ჩემი თვალით ვუყურებ, როგორ ინგრევა საქართველო. ამის მოთმენას აღარ ვაპირებ. აღარ მინდა, ჩემმა ქვეყანამ ამერიკის ხუშტურებზე იაროს. რუსი ამომრჩევლის აქტიურობა ჩვენს ამომრჩეველზე აუცილებლად იქონიებს გავლენას. შეუძლებელია, ჩვენზე გავლენა არ იქონიოს იმ პროცესებმა, რაც ცხინვალში ხდება. აქ ნორმალური სიტუაცია რომ იყოს, იქ მიმდინარე პროცესებს ჩვენ სასარგებლოდ გამოვიყენებდით. მაგრამ ამისთვის ვის სცალია. კაცი ჭაობშია გაქცეული და ქალაქის აშენებას აპირებს.

***— ვინ კაცია ჭაობში გაქცეული?***

— ვინ და ჩვენი მაღალი სააკაშვილი. რა დროს ლაზიკა და მსგავსი გართობაა. ეგ რომ ნორმალურად იქცეოდეს, ცხინვალში ბევრი რამის შეცვლა შეიძლებოდა. იქ მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი რამ ხდება. მე ამ ხალხით აღფრთოვანებული ვარ.

***— კონკრეტულად ვისით ხართ აღფრთოვანებული?***

— ოპოზიციითა და ხალხით. ოსები ღირსეულად დგანან, იცავენ თავიანთ ხმებს და რუსეთის მითითებებს არ ასრულებენ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი რუსებზე იმაზე მეტად არიან დამოკიდებული, ვიდრე ჩვენ ამერიკაზე. ამით როგორ არ ჰგვანან ისინი ჩვენს პრეზიდენტს, რომელიც მზადაა, ამერიკელი სენატორების ნებისმიერი მითითება შეასრულოს.

***— ამერიკის ყველა მითითებას ასრულებს სააკაშვილი და ვითომ დემოკრატიულად ჩაატარებს არჩევნებს, ამერიკა ხომ ამას ითხოვს ჩვენგან.***

— ბასმა ასეთი რამე რომ თქვა, ძალიან კარგია. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ჩვენ მივეჩვიეთ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საელჩოებზე აპელირებას. ჩვენ მხოლოდ ჩვენი თავის იმედად უნდა ვიყოთ. ბასმა ეს განცხადება შემთხვევით არ გააკეთა. ეს ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია შეცვლილია.

***— რამ ან ვინ შეცვალა ეს სიტუაცია?***

— ბიძინა ივანიშვილმა. პოლიტიკაში მისმა გამოჩენამ ძალიან საინტერესო ცვლილებები მოიტანა. აქამდე პოლიტიკური და საზოგადოებრივი აზრი ორად იყო გაყოფილი. ხალხისა და პოლიტიკოსების ნაწილი მიიჩნევდა, რომ ხელისუფლება არჩევნების გზით უნდა შეიცვალოს, მეორე ნაწილი კი რევოლუციას უჭერდა მხარს. ივანიშვილის მოსვლის შემდეგ სასწორი ცივილიზებული მეთოდის მხარეს გადაიხარა, მოსახლეობისა და ოპოზიციის აბსოლუტური უმრავლესობა მხარს არჩევნებს უჭერს. თუნდაც ამიტომ იყო ივანიშვილის გამოჩენა კარგი პოლიტიკურ ასპარეზზე.

***— სამაგიეროდ თავად ივანიშვილს არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვს.***

— არაფერია. ამას ეშველება. ახლა მთავარი საქართველოს მოსახლეობის განწყობაა. ხალხმა არჩევნების ისევ ირწმუნა. ხალხი მიხვდა, რომ რევოლუცია ქვეყანას სიკეთეს არ მოუტანს.

***— მოსახლეობისა და ოპოზიციის ნაწილი არჩევნებს უნდობლად ეკიდება და თვალი ისევ რევოლუციისკენ უჭირავს.***

— საბედნიეროდ, მათი რაოდენობა ძალიან მცირეა. მალე ისინიც არჩევნების მხარეს გადმოვლენ. ხელისუფლება არჩევნების გზით უნდა შეიცვალოს.

***— არჩევნები ძალიან კარგია, მაგრამ თავად ოპოზიცია ამბობთ, რომ არაფერს ვაკეთებთ გარემოს გასაუმჯობესებლად და ხელისუფლება გაყალბებისთვის ემზადება. „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ვახტანგ ყოლბაიამ თქვა, რომ მიცვალებულებს პირადობის მოწმობები გამოუწერს, რათა ისინი საარჩევნოდ გამოიყენონ.***

— ამ ხელისუფლებისგან არაფერი გამიკვირდება. ისინი ყველაფერს გააკეთებენ არჩევნების გასაყალბებლად. ამ მიზნისთვის ამ საუკუნეში გარდაცვლილებს კი არა, მზიას და ზეზვასაც გამოიყენებენ. საუბარი მაქვს პირველ ევროპელ მზიასა და ზეზვაზე. ისინი დმანისში იპოვეს და დიდი შანსია, სადმე იქ იყვნენ საარჩევნო სიაში. ნაციონალები იდეების ნაკლებობას არ უჩივიან და ათას ხრიკს მოიფიქრებენ, მით უმეტეს ახლა, როცა პანიკაში არიან.

***— პანიკაში არიან ვითომ?***

— ძალიან სერიოზულ პანიკაში არიან. მათ თავში ახლა მხოლოდ ერთი აზრი ტრიალებს. ისინი მხოლოდ არჩევნების გაყალბებაზე ფიქრობენ. მათ არჩევნების მოგება მხოლოდ ამ გზით შეუძლიათ. ჩვენ კი ამ პროცესს წინ უნდა აღვუდგეთ. თუ გვინდა, რომ შედეგს მივაღწიოთ, ერთად უნდა დავდგეთ.

***— ერთად დგომის აუცილებლობაზე თქვენ და სხვებსაც ბევრჯერ გაქვთ გაკეთებული განცხადებები. ამის მიუხედავად, ოპოზიცია ერთად დადგომას ვერ ახერხებთ.***

— მართლაც ვერ ვახერხებდით. ახლა ამის უფლება უკვე აღარ გვაქვს. ახლა საქართველოსთვის გადამწყვეტი დრო დადგა. კეთილი უნდა ვინებოთ და ერთად ვიზრუნოთ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე. სააკაშვილს მხოლოდ ერთიანი ფრონტით თუ მოვერევით. როცა ვამბობ ფრონტს, მხედველობაში მშვიდობიანი ფორმები მაქვს. ახლა ამისთვის კარგი დროა. სააკაშვილს არჩევნების მოგება ისე მარტივად აღარ შეუძლია, როგორც ეს თუნდაც 3 თვის წინ შეეძლო. ამის მიუხედავად, მას უზარმაზარი ძალა აქვს.

***— რით გამოიხატება ეს ძალა?***

— მის ხელშია ბიუჯეტი, რომელსაც ისე ხარჯავს, როგორც მოისურვებს. მის ხელშია ჯარი და პოლიცია. მას ძალიან დიდი ძალაუფლება და ფული აქვს. ამ ძალას მხოლოდ ერთიანი ფრონტით უნდა დავუპირისპირდეთ. ჩვენ მას ძალით ვერ ვაჯობებთ. სააკაშვილს ხერხი უნდა დავუპირისპიროთ. ხერხი კი, თუ კარგად მოგონილია, ყოველთვის სჯობია ღონეს.

***— ხერხსაც ხომ გააჩნია.***

— რა თქმა უნდა. როცა საქმე ვერაგ სააკაშვილთან გაქვს, მასთან საბრძოლველი ხერხები ათასჯერ უნდა მოიფიქრო. ნათქვამია, კამათში იბადება ჭეშმარიტებაო. კამათში შეიძლება კარგი ხერხიც ვიპოვოთ. ამიტომ ვიკამათოთ და ერთად მოვძებნოთ ის ხერხი, რომელიც სააკაშვილს ხელისუფლებას ჩამოაცილებს.

## მარტში თბილისს ევროკავშირის საგანგებო მისია ეწვევა

ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო რეჟიმის დაწესების შესახებ საქართველოს მოლაპარაკებებით ევროკომისიის პრეზიდენტი ჟოზე მანუელ ბაროზუ დაინტერესდა.

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და ბაროზუს შეხვედრის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ამ უკანასკნელის ინიციატივით, ზემოხსენებულ საკითხზე სასაუბროდ მომდევნო წლის მარტში, საქართველოს ევროკავშირის საგანგებო მისია ეწვევა.

„ევროკავშირსა და საქართველოს აქვთ კარგი ურთიერთობა, რომელიც მნიშვნელოვან პროგრესს განიცდის“, – განაცხადა ბაროზუმ.

ვარშავაში გამართულ შეხვედრაზე სააკაშვილმა და ბაროზუმ რეგიონული საკითხებიც განიხილეს.

მედიანიუსი

## ეროსი კიწმარიშვილი — „მაესტრო“ ფუნქციონირებას 30 იანვრიდან დაიწყებს

„რუსთავის მედიის მართვის კომპანიის“ ხელმძღვანელ ეროსი კიწმარიშვილის განცხადებით, 30 იანვრიდან ტელეკომპანია „მაესტრო“ ძველი თუ ახალი შემადგენლობით, ფუნქციონირებას დაიწყებს.




ეს განცხადება ეროსი კიწმარიშვილმა ტრიბუნა.გე-ს ოფისში ჟურნალისტებთან შეხვედრისას გააკეთა. მან „მაესტროს“ ჟურნალისტებს და „მაესტროს“ თანამშრომლებს მოუწოდა, შეხვდნენ სახალხო დამცველთან ერთად და პირადად მისგან, დახურულ კარს მიღმა მოისმინონ ყველა პასუხები ყველა იმ შეკითხვებზე, რომლებიც ჟურნალისტებსა და „მაესტროს“ თანამშრომლებს აწუხებთ და გაეცნონ მის პოზიციას ტელეკომპანიაში დღეს არსებულ სიტუაციასთან და სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით.

როგორც ეროსი კიწმარიშვილმა აღნიშნა, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე თანამშრომლის კითხვა პასუხგაუცემელი დარჩება, მზად არის, საკუთარ გეგმებზე უარი თქვას, თუმცა „რუსთავის მედიის მართვის კომპანიის“ ხელმძღვანელი ირწმუნება, რომ ეს არავითარ შემთხვევაში არ მოხდება.

გარდა ამისა, დღევანდელ პრესკონფერენციაზე ეროსი კიწმარიშვილმა განაცხადა, რომ „მაესტროს“ კარი იკეტება და შესაძლოა, რომელიმე თანამშრომელი, სურვილის არქონის შემთხვევაში, ამ კარს მიღმა დარჩეს.

ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც კიწმარიშვილი ირწმუნება, ძველი თუ ახალი ძალებით, „მაესტრო“ ფუნქციონირებას 30 იანვრიდან გააგრძელებს და აღარ იქნება, ე.წ. ბომჟატნიკის, ჯიხურის ტიპის ტელევიზია, რომელიც შექმნეს ღლონტმა, გოგელიამ და დანარჩენებმა.

ინტერპრესნიუსი

## სალარო აპარატების შეძენა უქმე დღეებშიც იქნება შესაძლებელი

შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილებით, 31 დეკემბრამდე სერვის-ცენტრები მუშაობის სპეციალური რეჟიმზე გადადიან.

როგორც შემოსავლების სამსახურების დეპარტამენტის უფროსმა, ვასილ გედევანიშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, ჯიპიარეს სისტემის საკონტროლო სალარო აპარატების შეძენა დასვენების დღეებშიც იქნება შესაძლებელი.

გედევანიშვილის თქმით, შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილებით სერვის-ცენტრები მთელი საქართველოს მასშტაბით შაბათ-კვირასაც იმუშავებენ, თუმცა ამ დღეებში მხოლოდ სალარო აპარატების გაცემა იქნება შესაძლებელი. როგორც გედევანიშვილმა განმარტა, ძველი სალარო აპარატები ახალი ჯიპიარეს სისტემის საკონტროლო სალარო აპარატებით 2011 წლის 31 დეკემბრამდე უნდა ჩანაცვლდეს.

შემოსავლების სამსახურების ინფორმაციით, უკვე დარეგისტრირებულია 60 000 ჯიპიარეს სალარო აპარატი. ახალი მოდელის საკონტროლო სალარო აპარატების დარიგება აგვისტოდან დაიწყო. საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების შედეგად გადამხდელთა ერთი ნაწილი საერთოდ თავისუფლდება სალარო აპარატის ქონების ვალდებულებისაგან. საქმე ეხება მიკრობიზნესის სტატუსის მქონე გადამხდელებს. მეწარმეთა დიდი ნაწილს კი შემოსავლების სამსახურების გადაწყვეტილებით ახალი აპარატები უსასყიდლოდ გადაეცემა. ჯიპიარეს სალარო აპარატები უფასოდ დაურიგდება მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე გადამხდელებს, ჯიპიარეს სისტემის საკონტროლო სალარო აპარატის ღირებულება 290 ლარია, ნებისმიერ გადამხდელს შეუძლია ისარგებლოს ბანკის განვადებით და შეიძინოს სალარო აპარატი.

როგორც გედევანიშვილმა განაცხადა, თუკი პირველ იანვრამდე არ მოხდება სალარო აპარატის შეძენა, მეწარმეებზე საჯარიმო სანქციები გატარდება.

**ინტერპრესნიუსი**

## ზაზა გოროზია 30-ლარიან ვაუჩერებს იცავს

სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა გოროზია იმ ექსპერტებს, რომლებიც 30-ლარიან საგაზაფხულო ვაუჩერს პიარკამპანიად მიიჩნევენ, რეგიონებში ჩასვლას და გლეხების სოციალური მდგომარეობით დაინტერესებას ურჩევს.

– ეს ექსპერტები თბილისში სხედან. უმჯობესია, ჩავიდნენ სოფლებში და დაინახავენ, რას ნიშნავს თითოეული ოჯახისთვის 30-ლარიანი ვაუჩერი. მე გეტყვით, რომ ეს არის ,,მთავარი დახმარება“ იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც არ აქვთ საშუალება ტრაქტორისტს მიწის დამუშავებისთვის ფული გადაუხადონ. ექსპერტებისთვის კი მთავარი ლაპარაკია, – განუცხადა გოროზიამ ,,ინტერპრესნიუსს“.

მისივე განმარტებით, ვაუჩერით გლეხები 35 კილოგრამი სასუქის ყიდვას შეძლებენ, რაც დაახლოებით 1200-1400 მეტრი მიწის ფართობისთვის არის საკმარისი. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩასატარებლად განკუთვნილი 30-ლარიანი ვაუჩერის დარიგება უკვე დაიწყო. მისი გამოყენება შესაძლებელი იქნება, როგორც მიწის საგაზაფხულო სამუშაოებისთვის, ასევე სასუქის შესაძენად. ქვეყნის მასშტაბით 3400 სოფელში 800 000-მდე ვაუჩერი გაიცემა, რომლის მოქმედების ვადა 2011 წლის 20 დეკემბრიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე იქნება. ექსპერტების ნაწილი აღნიშნულ პროგრამას მხოლოდ ხელისუფლების პიარკამპანიის ნაწილად აფასებენ.

**ინტერპრესნიუსი**

თამარ ნინიძე


გურამ ჩახვაძე

# როგორ ახშობს სიტყვის თავისუფლებას სააკაშვილის ხელისუფლება?

ხელისუფლებამ პრესის ჯიხურების აღების პროცესი განაგრძო, მიუხედავად იმისა, რომ მედიასაშუალებები საფუძვლიან ეჭვს გამოთქვამდნენ არათანაბარ პირობებზე, რომელიც დღეს არსებობს სახელისუფლებო პრესასა და თავისუფალ პრესას შორის. ,,ახალი თაობა“ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის წევრსა და პარლამენტის დეპუტატს გურამ ჩახვაძეს ესაუბრა.

***– როგორ რეგულირდება დღეს პრესის გადასახადების საკითხი?***

– როგორც მოგეხსენებათ, პრესის იგივე ბეჭდვითი მედიის წარმომადგენლები დარეგისტრირებულნი არიან მეწარმეთა შესახებ კანონით განსაზღვრული ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმით. ამდენად, იურიდიულად ისინი ითვლებიან რა მეწარმე სუბიექტებად და მათი საქმიანობა გათვლილია რა მოგებაზე, ვალდებულნი არიან გადაიხადონ საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადები სრულად, თუ არ არის რომელიმე მათგანზე შეღავათი დაწესებული. აქვე განვმარტავ, ჟურნალ-გაზეთების დაბეჭდვა, რეალიზაცია და სარეკლამო მომსახურება განთავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადის გადახდისგან. თუმცა, თუ გვერდზე გადავდებთ იურიდიულ მხარეს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისთვის პრესა, ისევე, როგორც მთლიანად მედია, სხვა დატვირთვის მატარებელია. კერძოდ, ჩვენთვის მრავალფეროვანი და ფინანსურად სტაბილური პრესის არსებობა აუცილებელია ინფორმაციის პლურალიზმისთვის, რაც დემოკრატიის შემადგენელი ნაწილია. პრესის სიკეთეს პირველ რიგში ხელისუფლება უნდა აცნობიერებდეს. უფრო მეტიც, პრესისადმი ხელისუფლების დამოკიდებულება კარგად აჩენს მის ნამდვილ სახეს და ამ მხრივ ჩვენ ხელისუფლებას სათქმელი ნამდვილად არ აქვს.

***– იმის გათვალისწინებით, რომ პრესა მომგებიანი ბიზნესი არ არის, რა მექანიზმით შეიძლება დარეგულირდეს გადასახადების აკრეფა პრესისგან, რომ ამ ბიზნესმა არ იზარალოს? რა შეღავათებია დღეს და რა შეიძლება სამომავლოდ გაკეთდეს?***

– გეთანხმებით, ჩვენს პირობებში პრესა ვერ იქნება მომგებიანი, არა იმიტომ, რომ მასზე მოთხოვნილება არ არის, არამედ იმიტომ, რომ ეს მოთხოვნა გადახდის უუნაროა. მარტივად რომ ვთქვათ, ბევრი ჩვენი მოქალაქე შეიძენდა გაზეთებს, არაერთს და ყოველდღიურად, ოჯახის ბიუჯეტი რომ აძლევდეს ამის საშუალებას. საგადასახადო შეღავათების არსებულ რეჟიმზე ზემოთ მოგახსენეთ. რა შეიძლება კიდევ გაკეთდეს, რომ პრესამ გააიაფოს თავისი პროდუქტი. შესაძლებელია ქაღალდის იმპორტზე მოვხსნათ საიმპორტო გადასახადი, ასევე შესაძლებელია მოგების გადასახადის განულება, ან როგორც სამედიცინო დაწესებულებებზეა, ისეთი პრაქტიკა შემოვიღოთ. საავადმყოფოები თუ მოგების რეინვესტირებას ახდენენ, განთავისუფლებული არიან გადასახადისაგან. თუ საერთაშორისო პრაქტიკას გადავხედავთ, აქაც შეიძლება პრესისთვის ბევრი სასიკეთო გამოცდილება გავიზიაროთ. არა თუ ჩვენნაირ, არამედ განვითარებულ ქვეყნებში ხელისუფლება მუდმივად ცდილობს მხარი დაუჭიროს ბეჭდვით მედიას, მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე. ეს მხარდაჭერა ძირითადად ორი მიმართულებისაა: საგადასახადო შეღავათები და საბიუჯეტო ან ადმინისტრაციული დახმარებები. მაგალითად, საფრანგეთში მოქმედებს როგორც საგადასახადო შეღავათები, ასევე ბიუჯეტიდან პირდაპირი დახმარება ინვესტიციების სახით. სოციალური რეკლამების განთავსების კუთხით, პრესა მუდმივად ჩართულია სახელმწიფო შეკვეთებში. ასევე საფრანგეთის მთავრობა ხელს უწყობს პრესის დისტრიბუციას, ჯიხურებისა და პრესის გაყიდვის სპეციალური მაღაზიების რაოდენობის გაზრდისა და მათი განთავსების პროცედურების გამარტივებით და, ალბათ, ხვდებით, ფრანგული გამოცდილება როგორი კონტრასტია ბოლოდროინდელი ქართული პრაქტიკის. და ასეთი მაგალითები შეიძლება ძალიან ბევრი მოვიყვანოთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების გამოცდილებიდან. ერთი საერთო ყველა მათგანს ის აქვს ჩვენგან განსხვავებით, რომ განვითარებულ და დემოკრატიულ ქვეყნებში მედიას აღიარებენ მეოთხე ხელისუფლებად არა მარტო სიტყვით, არამედ ამ სიტყვას რეალურად საქმით ადასტურებენ.

**საფრანგეთის ხელისუფლება პრესის გავრცელებას ხელს უწყობს, საქართველოსი — ხელს უშლის**

***– როგორ და რომელ უწყებაში რეგულირდება დღეს სადავო საკითხები ბიზნესმენებსა და სახელმწიფოს შორის?***

– თუ მეწარმე არ ეთანხმება შემოსავლების სამსახურს, მოქმედი კანონმდებლობით რამდენიმე დონე არსებობს საკითხის განხილვის. სასამართლომდე ასეთი ბოლო ინსტანცია დავების განმხილველი საბჭოა. ასევე ახალი საგადასახადო კოდექსით შემოვიდა ახალი ინსტიტუტი მეწარმეთა უფლებების დამცველის სახით, საგადასახადო ომბუდსმენი.

***– ანტიმონოპოლიური სამსახური ვარდების რევოლუციის შემდეგ მალევე გაუქმდა, თუ არ მეშლება. ამჟამად აღდგენილი თუ არის და თქვენი აზრით, რამდენად ეფექტურად მუშაობს?***

– რევოლუციურმა ხელისუფლებამ უარი თქვა ანტიმონოპოლიურ რეგულირებაზე და, შესაბამისად, ქვეყანაში კონკურენტულ ეკონომიკურ გარემოზე. შედეგი რაც გვაქვს, ყველა ვხედავთ. საქართველო ჩამოყალიბდა მცირერიცხოვანი მდიდრებისა და მრავალრიცხოვანი ღარიბების ქვეყანად, სტაბილური საშუალო კლასის გარეშე. ბუნებრივია, როცა ქვეყანაში არ არსებობს ყოვლისმომცველი კანონმდებლობა კონკურენციის შესახებ და ანტიმონოპოლიური სამსახური ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი 6–კაციანი სამმართველოა, რაიმე ეფექტურ სისტემაზე საუბარი ზედმეტია. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის რეიტინგით საქართველო ანტიმონოპოლიური რეგულაციის მიხედვით დაახლოებით 140 ქვეყანას შორის ბოლო პოზიციაზეა. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას ხელისუფლება ამის გამო მუდმივად კრიტიკაში ჰყავდა. სიტუაცია შეიცვალა ევროკავშირის დაჟინებული მოთხოვნით, რადგან ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობისა და ასოცირებული წევრობის შეთანხმება ასეთი კანონმდებლობისა და დამოუკიდებელი ანტიმონოპოლიური სააგენტოს დაარსების გარეშე ვერ მოხერხდებოდა. ამ ეტაპზე ასეთი კანონპროექტი პარლამენტში შემოვიდა, თუმცა მთავრობასთან ბევრი საკითხი კვლავ სადავოა.

***– მინდა გკითხოთ ბიზნესომბუდსმენის ინსტიტუტზე. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს პოსტი ფორმალურად არის შექმნილი, ვინაიდან ჯერ არ გავრცელებულა არც ერთი ინფორმაცია რაიმე კონკრეტული დარღვევის შესახებ, რომელიც ბიზნესომბუდსმენმა გაახმაურა და დაიცვა ბიზნესმენის უფლებები?***

– გეთანხმებით, რომ მედიის საშუალებით მეწარმის უფლებების შემლახველი რაიმე გახმაურებული ინფორმაცია არ მახსენდება, ალბათ იმიტომ, რომ ასეთი რამ საგადასახადო ომბუდსმენს არც გაუკეთებია. მაგრამ მე ვიცი, რომ ბატონი გიორგი პერტაია მუშაობს როგორც ბიზნესის წარმომადგენლებთან, ასევე ხელისუფლებასთან მეწარმეთა პრობლემებზე. საგადასახადო ომბუდსმენი ვალდებულია წელიწადში ერთხელ პარლამენტში წარმოადგინოს ანგარიში გადასახადის გადამხდელთა უფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ. ჩვენ დაველოდებით მის პირველ ანგარიშს და შემდგომ უკვე ფაქტებზე დაყრდნობით შევაფასებთ ამ ინსტიტუტის ერთწლიანი მუშაობის შედეგს. უნდა ითქვას, რომ საგადასახადო ომბუდსმენის სტრუქტურის შემოღებასთან დაკავშირებით პარლამენტში თანხმობა იყო, გარდა მისი დამოუკიდებლობის საკითხისა. პირადად ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის ნამდვილად გაუგებარი იყო, მეწარმეს, მისი უფლებების შესაძლო დამრღვევი მთავრობისგან, ამავე მთავრობის დანიშნული კაცი როგორ დაიცავდა და დღესაც ამ პოზიციაზე ვართ. ეს ჩემი ეჭვი კიდევ უფრო გამყარდა, როცა გადავხედე მთავრობის დადგენილებას №92(23.02.2011), რომლითაც განსაზღვრულია საგადასახადო ომბუდსმენის უფლებამოსილება. ამ დადგენილებით საგადასახადო ომბუდსმენი არა გადამხდელის დამცველი გამოდის, რაზეც ამ ინსტიტუტის სახელი და, რაც მთავარია, საგადასახადო კოდექსი მიგვანიშნებს, არამედ ნეიტრალური მხარე, რომელიც ცდილობს ინტერესთა ბალანსით მიაღწიოს კონსენსუსს.

***– იქნება განმარტოთ, რას ისახავს მიზნად 30-ლარიანი ვაუჩერების დარიგება სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის? არის თუ არა ეს რეალური დახმარება და თუ არა, ეროვნულ–დემოკრატებს როგორი რეფორმის განხორციელება მიაჩნიათ სწორად ამ სფეროში?***

– როგორც ამბობენ, ნაჩუქარ ცხენს კბილებს არ უსინჯავენო, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ასეთი სახის აქციები უფრო პოლიტიკურ პროპაგანდაზეა გათვლილი, ვიდრე ეკონომიკურ შედეგზე. დიდი გათვლები არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ ამ ოდენობის დახმარება სოფლისთვის ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რასაც ის რეალურად საჭიროებს. მთავრობას არ აქვს სისტემური ხედვა აგრარულ სფეროში და მისი პოლიტიკა არარეფორმისტულია. ასეთი ერთჯერადი აქციებით ჩვენ სოფელს ფეხზე ვერ დავაყენებთ და ჩვენი მოქალაქეების სასურსათო უსაფრთხოებაც ყოველთვის კითხვის ნიშნის ქვეშ იქნება. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, რა თქმა უნდა, გააჩნია თავისი ხედვა, რაც გულისხმობს რეფორმების განხორციელების აუცილებლობას. რეფორმა ითვალისწინებს სოფლად კოოპერაციული სისტემის ეკონომიკურ წახალისებას, გრძელვადიან და დაბალპროცენტიან კრედიტებზე ხელმისაწვდომობის მექანიზმის შემუშავებას, კომერციული სახელმწიფო ბანკის დაარსების სახით, ასევე ფერმერის მიერ მოწეული პროდუქციის სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდირებასა და აგროდაზღვევის ინსტიტუტის შემოღებას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ ესაა თანამედროვე მიდგომა – სოფლის მეურნეობის მოწინავე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული განვითარება.

## საია შრომითი ტრავმისთვის დანიშნული ყოველთვიური სარჩოს გაუქმებას ასაჩივრებს

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია შრომითი ტრამვისათვის დანიშნული ყოველთვიური სარჩოს გაუქმებას ასაჩივრებს.

სარჩელში, რომელითაც ასოციაცია საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავს ,,შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის №53-ე დადგენილების ცალკეული ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობაა მოთხოვნილი. საია-ს მიაჩნია, რომ მთავრობის დადგენილება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ და მეორე პუნქტს, 39-ე მუხლს და 42-ე მუხლის მე-9 პუნქტს, კერძოდ სადავო ნორმატიული აქტით იმის ნაცვლად, რომ ფულადი დახმარების გონივრულ ოდენობამდე შემცირება მომხდარიყო, რაც აუცილებელი იქნებოდა საბიუჯეტო სახსრების დაზოგვისათვის, ყოველთვიური სარჩო ტოტალურად გაუქმდა. საია-ს განცხადებით, სახელმწიფო არ იყო უფლებამოსილი, სრულად უარეყო ადამიანის უფლება – მიეღო ყოველთვიური სარჩო, ვინაიდან ეს მოთხოვნა ეფუძნებოდა სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ადმინისტრაციული აქტით წარმოშობილ კანონიერ მოლოდინს. ასოციაციის განცხადებით, სადავო ნორმები შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფოს, თავი დააღწიოს დაქირავებულის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის პასუხისმგებლობისაგან, იმ სამინისტროს, საქვეუწყებო დაწესებულების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ლიკვიდაციის გზით, სადაც დაზარალებულმა შრომითი ტრავმა განიცადა. საია-ს სარჩელში აღნიშნულია, რომ კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის მიზნებისათვის ადამიანისთვის მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებელია არა ის სახელმწიფო ორგანო ან მოსამსახურე, რომელმაც დაქირავებულს ზიანი მიაყენა, არამედ სახელმწიფო მთლიანობაში. პასუხისმგებლობაზე კი არანაირ გავლენას არ შეიძლება ახდენდეს სახელმწიფოს იმ სტრუქტურული ერთეულის ლიკვიდაცია, რომლის ბრალეული ქმედებითაც მუშაკს მიადგა საწარმოო ტრავმა.

**ინტერპრესნიუსი**

## დავით ბაქრაძე: რუსეთის ხელმძღვანელობამ დასავლეთთან დაპირისპირება საფირმო სტილად აირჩია


დავით ბაქრაძე

პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძის შეფასებით, ბოლო პერიოდში რუსეთის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ დასავლეთთან დაპირისპირება საფირმო სტილად აირჩია.

ამის შესახებ ბაქრაძემ ჟურნალისტებს რუსეთის პირველი პირების მხრიდან დასავლეთის მიმართ გაკეთებული განცხადებების კომენტირებისას განუცხადა.

– ბოლო პერიოდში რუსულმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ საფირმო სტილად აირჩია დასვლეთთან დაპირისპირება, ანტიამერიკული, ანტიევროპული განცხადებების გაკეთება, – განაცხადა ბაქრაძემ, რომელსაც მიაჩნია, რომ ეს რუსეთისთვის კარგი არა არის.

მისი თქმით, ასეთი განცხადებები რუსეთს სწორი მიმართულებით არ წაყვანს და ეს რუსეთის ხელისუფლებაში არსებულ შიშსა და ღელვაზე მიუთითებს.

– არ ვფიქრობ, რომ ეს რუსეთისთვის კარგია და ქვეყანას სწორი მიმართულებით წაიყვანს. ყველა ასეთი განცხადება მიუთითებს იმ შიშზე და ღელვაზე, რომელიც არსებობს რუსულ ხელისუფლებაში, – განაცხადა ბაქრაძემ.

პარლამენტის თავმჯდომარის აზრით, რუსეთი დღეს მოძრაობს მსოფლიო პოლიტიკური დინების წინააღმდეგ არა მხოლოდ შიდა დემოკრატიის კუთხით, არამედ საქართველოსთან მიმართებაში, რადგან ოკუპაციიას და ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების თემები არის საკითხები, რომლებთან დაკავშირებითაც რუსეთს რეგულარულად უხდება კონფრონტანცია დასავლეთთან.

მისივე განცხადებით, ეს ყველაფერი არ ემსახურება რუსეთის ინტერესს და რაც უფრო მეტად ანტიდასავლური იქნება რუსეთის ხელისუფლება, მით უფრო ღრმა კრიზისში შეიყვანს საკუთარ ქვაყნას.

**ინტერპრესნიუსი**

# ვერა ქობალია: „ქუთაისის აეროპორტის მშენებლობა 24-საათიან რეჟიმში მიმდინარეობს“

შალვა ჯოხაძე

ქუთაისის, იგივე კოპიტნარის ახალი საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობა ცოტა ხნის წინ დაიწყო. უკვე ცნობილია პროექტიც, თუ როგორი იქნება მომავალი აეროპორტი. თავდაპირველად, აეროპორტის მაკეტი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ვერა ქობალიამ „ფეისბუქში“ საკუთარ გვერდზე დადო. გაირკვა, რომ ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი „უნ სტუდიოს“ არქიტექტორებმა დააპროექტეს.



ვერა ქობალია

სამინისტროს ინფორმაციით, ქუთაისში კოპიტნარის აეროპორტის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის პროექტის მართვის ჯგუფის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრა ახლად გახსნილ მთავრობის სახლში ჩატარდა და მასში მონაწილეობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ვერა ქობალიამ მიიღო. მართვის ჯგუფის შეხვედრა პირველად ჩატარდა და მისი მიზანი კოპიტნარის აეროპორტის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის მხრივ არსებული მდგომარეობის გაცნობა, პროექტის განხორციელების კოორდინაციის გაწევა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება იყო. კონკრეტულად, შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს იმ ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესახებ, რომლებიც მომდევნო რამდენიმე თვეში განხორციელდება.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა და პროექტის მართვის ჯგუფის წევრებმა ასევე დაათვალიერეს კოპიტნარის აეროპორტში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები და პირადად გაეცნენ იქ არსებულ მდგომარეობას. ვერა ქობალიამ მედიისთვის კომენტარი გააკეთა. მისი განცხადებით, მუშაობა 24-საათიან რეჟიმში მიდის, მიმდინარეობს როგორც ასაფრენი ზოლის რეაბილიტაცია, ასევე აეროპორტის ახალი ტერმინალის სამშენებლო სამუშაოები.

– ადგილობრივი მოსახლეობა მშენებლობის პროცესში აქტიურადაა ჩაბმული. ეს აეროპორტი მნიშვნელოვანი იქნება როგორც დასაქმების, ისე ტურიზმისა და ბიზნესის განვითარების კუთხით, – აღნიშნა ვერა ქობალიამ.

პროექტის მართვის უწყებათაშორისი ჯგუფი საქართველოს მთავრობის 2011 წლის 1 ივლისის განკარგულების საფუძველზე შეიქმნა და მასში შედიან საქართველოს პარლამენტის, მთავრობის კანცელარიის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს, შპს „საქაერონავიგაციის“, შპს „საქართველოს რკინიგზის“, შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს, იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულის ადმინისტრაციისა და ქუთაისის მერიის წარმომადგენლები.

– 2012 წელს დაგეგმილია ქუთაისის კოპიტნარის საერთაშორისო აეროპორტის რეკონსტრუქციის დასრულება, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს ავიაბაზარზე დაბალტარიფიანი ავიაკომპანიების მოზიდვას. ფრენები განხორცილედება როგორც რეგიონის, ასევე ევროპისა და აზიის მიმართულებით. ქუთაისის აეროპორტში ინერგება ახალი სანავიგაციო სისტემები, ასევე მიმდინარეობს ახალი სამეთვალყურეო კოშკურის მშენებლობა, – აცხადებენ ეკონომიკის სამინისტროში.




გავრცელებული ინფორმაციით, აეროპორტი როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო რეისებს მოემსახურება. ის გათვლილია ტურისტების დიდი რაოდენობის მომსახურებაზე. თბილისიდან ქუთაისში პარლამენტის გადატანის ფაქტთან დაკავშირებით ქუთაისის აეროპორტით ისარგებლებენ ასევე პოლიტიკოსები და დიპლომატები. აეროპორტის ტერმინალს სამი ასაფრენ-დასაფრენი ბილიკი ექნება. აეროპორტში იქნება ასევე გალერეა, სადაც თანამედროვე ხელოვნების ნიმუშები გამოიფინება. პროექტის დასრულება კონკრეტულად მომავალი წლის სექტემბრისთვის არის დაგეგმილი.

შეგახსენებთ, რომ კოპიტნარის აეროპორტის სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიხეილ სააკაშვილმა გახსნა. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ქუთაისის აეროპორტის გახსნა ბილეთების ფასებს გააიაფებს. მთავარი მიზანია, დაბალი ტარიფები იყოს, რათა დაბალბიუჯეტიანი კომპანიები შემოვიდნენ.

– თბილისის საერთაშორისო აეროპორტს ოპერირებს თურქული კომპანია „ტავი“ და ფასები საკმაოდ არამოქნილია. იმის გამო, რომ თბილისის აეროპორტში მომსახურება მაღალია, ბილეთის ფასი უფრო მაღალია, ვიდრე უნდა იყოს, უჭირთ შემოსვლა დაბალბიუჯეტიან კომპანიებს. როცა ეს აეროპორტი გაიხსნება, თბილისის აეროპორტს მოუწევს ტარიფების დაწევა, რათა ხალხმა იაფად იფრინოს, – განაცხადა სააკაშვილმა.

რაც შეეხება „ტავს“, რომელიც პრეზიდენტმა ასე გააკრიტიკა, ამ დღეებში თბილისის საერთაშორისო აეროპორტმა 2011 წლის მემილიონე მგზავრს უმასპინძლა.

იღბლიანი მემილიონე მგზავრი აღმოჩნდა დავით ქათამაძე, რომელიც კიევის მიმართულებით მიემგზავრებოდა. ოპერატორმა კომპანია „ტავ ჯორჯიამ“ მემილიონე მგზავრს გამგზავრების დარბაზში საზეიმო გაცილება მოუწყო და აეროპორტის სერვისების ერთწლიანი ვაუჩერით დაასაჩუქრა, რომლითაც მას შეუძლია ისარგებლოს თბილისის ან ბათუმის აეროპორტების მაღაზიებსა და კაფე-რესტორნებში. მას გადაეცა აგრეთვე სამახსოვრო საჩუქარი.

მემილიონე მგზავრის მიღებასთან დაკავშირებით „ტავ ჯორჯიას“ გენერალურმა მენეჯერმა მეთე ერქალმა განაცხადა:

– სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ 2011 წლის მემილიონე მგზავრის მიღება მთელი აეროპორტისთვის სასიხარულო მოვლენაა. ეს ნიშნავს, რომ გაიზარდა როგორც საქართველოს მიმართ ინტერესი, ასევე რეისებისა და მგზავრთა რაოდენობა, რამაც წელს რეკორდულ ციფრს მიაღწია და დღეს უკვე მემილიონე მგზავრის დახვედრის მომსწრენი ვართ. ჩვენ საუკეთესო მომსახურებაზე ვართ ორიენტირებული და ვცდილობთ აეროპორტში ყველა სტუმარმა თავი კომფორტულად იგრძნოს.

# ჩამოგაწერენ თუ არა ბანკებიდან აღებულ სესხებს

## რა კომენტარს აკეთებენ ექსპერტები პატრიარქის მოწოდებაზე



შალვა ჯოხაძე

რამდენიმე დღის წინ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II თავის ქადაგებაში ისეთ მნიშვნელოვან თემას შეეხო, როგორიც ბანკებისა და მათი კლიენტების ურთიერთობაა. სამწუხაროდ, ბანკებიდან აღებული სესხების გამო გაუბედურებული ოჯახების რიცხვი იზრდება. პატრიარქმა ბანკების ხელმძღვანელებს მოსახლეობისათვის შეღავათის გაკეთებისკენ მოუწოდა. მან ბრძანა, რომ ერთ-ერთი მოვლენა, რაც უარყოფითად აისახება მოსახლეობაზე, ეს არის ბანკის კრედიტები. არის მრავალი შემთხვევა, როდესაც ადამიანი კრედიტის სანაცვლოდ სახლს დებს, შემდეგ ამ კრედიტს პროცენტები ემატება და ბანკები მას ბინას უყიდიან.

– მინდა მივმართო ჩვენი ბანკის მფლობელებს, რომ ასეთი დამოკიდებულება არ უნდა გქონდეთ ჩვენი მოსახლეობის მიმართ. არ კმარა მხოლოდ კანონი, არის სხვა კანონი – გულის კანონი. შენ რომ გამოგასახლონ სახლიდან და დაგატოვებინონ სახლი, გესიამოვნება? რა უნდა გააკეთო? – ბრძანა პატრიარქმა.

უწმინდესის თქმით, ბანკს უნდა ჰქონდეს სპეციალური ფონდი მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

– უნდა არსებობდეს ასეთი ფონდი, როდესაც ადამიანს, ამა თუ იმ ოჯახს ასეთი გამოუვალი მდგომარეობა აქვს, დაეხმაროს, შეღავათი მისცეს და გადაარჩინოს, – ბრძანა პატრიარქმა.

ეკონომიკის ექსპერტ ირაკლი ლექვინაძის თქმით, ქადაგებაში გამოთქმული მოსაზრება ილია II-ის მხრიდან საბანკო სისტემისადმი მოწოდებაა, შეარბილონ მკაცრი მიდგომები გადახდისუუნარო კლიენტებისადმი.

– ვფიქრობ, ესაა მოწოდება ბანკებისადმი, იყვნენ სოლიდარულნი იმ ადამიანებისადმი, რომლებსაც მათ მიმართ დავალიანება აქვთ და საკმაოდ მძიმე სიტუაციაში იმყოფებიან. ჩემი აზრით, ფონდის შექმნის იდეაც სწორედ სოლიდარობის პრინციპს გამოხატავს და არ ნიშნავს, რომ ბანკებმა უარი უნდა თქვან თავიანთ ძირითად საქმიანობაზე, – განაცხადა ირაკლი ლექვინაძემ.

ლექვინაძის აზრით, მომხმარებლისადმი არასოლიდარობის ერთ-ერთი ყველაზე ცუდი მაგალითი აღსრულების სამსახურების ქმედებებია, რომლებსაც ბანკები უიმედო საქმეებს გადასცემენ.

– აღსრულების სამსახურების მეთოდები ხშირ შემთხვევაში ძალიან მკაცრი და არაჰუმანურიცაა, – აღნიშნა ლექვინაძემ.

„ეკონომიკური პოლიტიკის ინსტიტუტის“ აღმასრულებელი დირექტორის, გიორგი აბაშიშვილის შეფასებით, კომერციული ბანკის მიერ გაცემული სესხები ცალმხრივ უპირატესობაზეა გათვლილი. აბაშიშვილის თქმით, ნათელია, რომ ქართული ბანკები ამ კუთხით ზემოგებაზე არიან ორიენტირებული და კრედიტორებთან კაბალურ ხელშეკრულებებს აფორმებენ, თუმცა, სესხების გაცემაზე მკაცრი პოლიტიკის მიუხედავად, ქონების გაყიდვამდე საბანკო სექტორში დაცდის პრინციპი არსებობს.

აბაშიშვილის თქმით, იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთები უნდა გადაიხედოს, ხოლო ბანკირებმა მხოლოდ ეკონომიკური არგუმენტებით უნდა იხელმძღვანელონ.

თუკი საუბარი საერთოდ დავალიანებების ჩამოწერაზე წავა, ექსპერტების მოსაზრებით, ეს შეუძლებელი იქნება. მოქალაქეებისთვის საბანკო დავალიანების ჩამოწერას საქართველოს ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი ზურაბ გვასალიაც შეუძლებლად მიიჩნევს.

ზურაბ გვასალია აცხადებს, რომ საუბარი არ არის იმაზე, რომ საგანგებოდ შექმნილმა ფონდმა იმ ადამიანების საბანკო კრედიტები დაფაროს, რომლებიც დავალიანებას ვერ იხდიან.

– ვისაც ბანკში კრედიტი აქვს აღებული, იმან სესხი უნდა დაფაროს. აქ არ არის ლაპარაკი იმაზე, რომ ვიღაცას კრედიტი აქვს და მოდი, ეს კრედიტი ჩამოვაწეროთ. „საქართველოს ბანკში“ ეს კრედიტი შეიძლება იყოს მილიონ ლარამდე და რომელიღაც პატარა ბანკში – 10 ათასამდე. ხომ არ შეიძლება, რომ ყველას ერთნაირი ვალდებულება დააკისრო, მოდი, რადგანაც შენ დიდი ბანკი ხარ, ეს ფული ჩამოაჭერიო – ეს წარმოუდგენელია.

აღებული კრედიტების ვერდაფარვა უმეტეს შემთხვევაში იმის გამო ხდება, რომ ეს ფული კლიენტებმა არამიზნობრივად მოიხმარეს. ამის მიზეზი ის არ არის, რომ ადამიანები კრიზისში ჩაცვივდნენ და ასე შემდეგ.

ის, რომ შენ ვიღაცას სესხი მიეცი და ახლა ის გაჭირვებულ მდგომარეობაშია და მოდი, ჩამოვაწეროთ... იცით რა, გაჭირვებული ადამიანი ბანკში სესხის ასაღებად და ბიზნესის დასაწყებად არ მივიდოდა.

პატრიარქის მოწოდებაში სულ სხვა კატეგორიაზე იყო ლაპარაკი. მართლაც არის ძალიან ბევრი ადამიანი სიღარიბის ზღვარს მიღმა, რომლებსაც მუშაობა სურთ, მაგრამ სამუშაოს ვერ პოულობენ.

ზოგიერთი მათგანი გეოგრაფიულადაც ვერ მოდის თბილისში. ვინც კრედიტი აიღო, მის უკან უზრუნველყოფა იდგა. ეს რომ არ ჰქონოდა, ბანკისგან სესხსაც ვერ მიიღებდა. ის, რომ ვიღაცებმა სესხი აიღეს და მოდი, ახლა ჩვენ ფონდი შევქმნათ, ფული ჩავდოთ და ვალი ჩამოვაწეროთ, ეს წარმოუდგენელი რამ არის, მაგას არც არავინ შემოგვთავაზებდა და არც ყოფილა ასეთი შემოთავაზება, – განაცხადა გვასალიამ.

გვასალია აცხადებს, რომ საბანკო სექტორი მზადაა, პატრიარქის ინიციატივაზე იმსჯელოს.

– პატრიარქის ინიციატივის მიზანია, რეგიონებში, სოფლებში, სადაც ინფრასტრუქტურა იძლევა ამის საშუალებას, წარმოება გაიხსნას, რათა ადგილობრივმა მოსახლეობამ დამატებითი შემოსავალი მიიღოს და იქ უმუშევრობა როგორმე შემცირდეს. ამ იდეის განხორციელებაში შეუძლებელი არაფერია, საბანკო სექტორი ამასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდება, – აღნიშნა გვასალიამ.

მისი თქმით, ბანკირების, როგორც შეძლებული სექტორის ერთგვარი ვალდებულებაც კი არის, მსგავსი იდეების განხორციელებას ხელი შეუწყოს.

– ისეთი ტიპის სახელმწიფოს საბანკო სექტორი, როგორიც საქართველოა, ასეთ ინიციატივებზე უნდა ფიქრობდეს. ეს არა მარტო კონკრეტული რეგიონისა და სოფლის დახმარების აქტი იქნება, არამედ ის თავად ქვეყნის ეკონომიკას წაადგება, – ასეთია ბანკების ასოციაციის პრეზიდენტის მოსაზრება.

რაც შეეხება სახელმწიფოს მიდგომას ამ პრობლემისადმი, აქ ძალზე მძიმე მდგომარეობაა. ჩვენს ქვეყანაში სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებით მორიგი ცვლილებების შეტანას გეგმავენ. მთავარი, რასაც „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონპროექტის ახალი პუნქტი ითვალისწინებს, აღმასრულებელთა ფუნქციების გაზრდა და მესაკუთრეთა ქონების სწრაფად და იაფად გაყიდვის სისტემაა, ეს კი ექსპერტთა შეშფოთებას იწვევს. კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, აღმასრულებლის მიერ მოვალისთვის შეტყობინების გაგზავნის ვადა შემცირდება. ასევე, საგადასახადო საქმეების აღსრულებისას მოვალეს ნებაყოფლობით შესრულების ვადა აღარ მიეცემა, გადასახადის გადამხდელის ქონებას კი განმეორებით სააღსრულებო წარმოების დაწყებისას ყადაღა აღარ დაედება.

უქმდება კრედიტორის მიერ განცხადების შეტანისა და აუქციონზე გასატანი ქონების განსაზღვრის ვალდებულება, აღმასრულებელი თავად განსაზღვრავს, თუ რომელი ქონება და როგორი თანმიმდევრობით გაიტანოს აუქციონზე.

ექსპერტი ავთო სილაგაძე კანონმდებლობის ამ პუნქტს სააღსრულებო საქმეთა წარმოების უკიდურეს გამკაცრებად მიიჩნევს. მისი განცხადებით, ახალი ინიციატივა მესაკუთრეთა ქონების სწრაფად და იაფად გაყიდვის იძულებისკენაა მიმართული, რაც ამ ადამიანების მდგომარეობას უკიდურესად დაამძიმებს.

– ბევრ ადამიანს აქვს ქონება გირაოში ჩადებული, ამდენად, პროცესი ყველა მათგანს შეეხება. ისედაც მძიმე სიტუაცია იყო და მდგომარეობას უფრო მეტად დაამძიმებს. ასეთი კანონპროექტის მიღება არც ქვეყნის ეკონომიკისთვის იქნება სასარგებლო.

ფაქტობრივად, ეს არის აღმასრულებლის ფუნქციების გაზრდა. ხელოვნურად ცდილობენ, პროცესი კიდევ უფრო გაამკაცრონ. ამიტომ ამ ინიციატივაში დადებით ფაქტორს ვერ ვხედავ. მოვალეები თანხას განსაზღვრულ ვადებშიც ვერ იხდიდნენ. შედეგი იქნება ის, რომ უამრავი ადამიანი დარჩება ბინისა და თანხის გარეშე.

პერსპექტივაში კი გირავნობის სისტემა თავისთავად შენელდება. ეს, თავის მხრივ, საკრედიტო მომსახურებაზე მოთხოვნასაც შეამცირებს. ყველაზე სავალალო ისაა, რომ ადამიანების მდგომარეობა საგრძნობლად დამძიმდება, – აცხადებს სილაგაძე.

ექსპერტის განსაკუთრებულ შეშფოთებას აუქციონის საწყისი ფასის განსაზღვრა იწვევს. საქმე ისაა, რომ პირველი აუქციონის საწყისი ფასი ღირებულების 50% იქნება, ხოლო განმეორებითის – ნული. თუ სარეალიზაციო ქონების ღირებულება 5000 ლარს არ აღემატება, მხოლოდ ერთი ნულოვანი აუქციონი გაიმართება.

# გიორგი ტუღუში ხათუნა კალმახელიძის წინააღმდეგ

შალვა ჯოხაძე

სახალხო დამცველი კვლავ ციხეში არსებულ მძიმე სიტუაციაზე საუბრობს. ამ კვირაში გიორგი ტუღუშის მიერ შედგენილი კიდევ ერთი ანგარიშის შესახებ გახდა ცნობილი. აღსანიშნავია, რომ ამ დოკუმენტს სასჯელაღსრულების მინისტრი ხათუნა კალმახელიძეც გამოეხმაურა და თავის გასამართლებლად საკუთარი უწყების მიერ ჩადენილი „საგმირო საქმეები“ ჩამოთვალა. თუმცა, გიორგი ტუღუშმა მართლაც ბევრი დარღვევა აღმოაჩინა და სასჯელაღსრულების უწყების თვითპიარი აშკარად გადაჭარბებულია.

## ქუთაისის დახურული ციხის კოშმარული ყოფა

მაგალითად, სახალხო დამცველი ქუთაისის №2 დაწესებულებაში არსებული მდგომარეობის შესახებ საუბრობს. მონიტორინგის დროს დაწესებულებაში 1451 პატიმარი იყო განთავსებული.

– წინა წელთან შედარებით, დაწესებულებაში განთავსებულ პირთა მიმართ ადმინისტრაციის მოპყრობა საგრძნობლად გაუარესდა. უკანასკნელ პერიოდში პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტებმა იჩინა თავი. პატიმრები აღნიშნავენ, რომ ადმინისტრაციის თანამშრომლები მათ ხშირად უხეშად და დამამცირებლად ექცევიან. ყველაზე ხშირად არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი დისციპლინურ პასუხისმგებლობადაკისრებული და კარანტინში განთავსებული პატიმრები ხდებიან. მათი თქმით, უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში, დაწესებულების შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევაში, სამარტოო საკანში გადაყვანის ნაცვლად, როგორც ამას კანონი ითვალისწინებს, პატიმართა უმეტესობა ჯერ დაწესებულების ე.წ. ბოქსში გადაჰყავთ. „ბოქსი“ წარმოადგენს დაახლოებით 2-3 კვ.მ. ფართის მქონე საკანს, სადაც არ არის არც მაგიდა, არც სკამი, არც საწოლი და სადაც დასჯილ პატიმრებს ათავსებენ ფეხშიშველა, საცვლების ამარა, 3-დან 24 საათამდე ხანგრძლივობით. ზოგიერთმა მსჯავრდებულმა ისიც აღნიშნა, რომ მათ „ბოქსში“ ჩაყვანის შემდეგ სცემეს, თუმცა, ამის წერილობით დაფიქსირებისგან თავი შეიკავა.

პატიმართა გადმოცემით, ისინი თავს იკავებენ ყოველდღიური გასეირნებისგან, რადგან, შესაძლოა, მისი ყოველი გადაადგილება დაწესებულების თანამშრომლებთან კონფლიქტის მიზეზი გახდეს, ხოლო ისინი, ვინც მაინც სარგებლობენ ამ უფლებით, აღნიშნავენ, რომ თუ სეირნობისას ერთი პატიმარი მაინც დაარღვევს შინაგანაწესს (მაგალითად, მიესალმება სხვა პატიმარს), მთელი საკანი ისჯება და საკანშივე ბრუნდება. ამ პრაქტიკის არსებობა ქუთაისის №2 დაწესებულებაში მონახულებული პატიმრების უმრავლესობამ დაადასტურა (სულ მონახულებულ იქნა დაახლოებით 600 პატიმარი), რაც ამ ფაქტებს განსაკუთრებით დამაჯერებელს ხდის, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქუთაისის დაწესებულება დახურული ტიპისაა, სადაც სხვადასხვა საკანში განთავსებულ პატიმრებს ერთმანეთთან არანაირი კონტაქტი არ აქვთ, – აცხადებს ტუღუში.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველს ქუთაისის №2 დაწესებულებაში განთავსებულმა პატიმრებმა არაერთი კოლექტიური განცხადებით მიმართეს. ისინი მათი უფლებების უხეშ დარღვევაზე და მათ მიმართ არასათანადო მოპყრობაზე საუბრობდნენ. რთული მდგომარეობა იყო დაწესებულების კარანტინშიც, სადაც ახლად შეყვანილ პატიმრებს ათავსებენ. პატიმრების თქმით, კარის ყოველი გახმაურების დროს მათ აიძულებენ, თავზე ხელებდაწყობილები ფანჯრისკენ სახით დადგნენ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ვინმემ ვერ მოასწრო საწოლის მეორე სართულიდან დროულად ჩამოსვლა და ადმინისტრაციის მიერ მითითებულ მდგომარეობაში დადგომა, მთელი საკანი ისჯება. პატიმართა თქმით, ამ შემთხვევაში დასჯა თავზე ხელებდაწყობილ მდგომარეობაში მათ დაჩოქებას გულისხმობს, რაც 1-2 საათიც კი გაგრძელებულა.

სახალხო დამცველის ინფორმაციით, კარანტინში მყოფი პატიმრები გასეირნების უფლებით ველარ სარგებლობენ. პატიმრებმა აღნიშნეს, რომ კარანტინის საკნიდან შემოწმებაზე გასვლისას თანამშრომლები მათ მუცელში ან გვერდებში იდაყვებს ურტყამენ. პატიმრების განცხადებით, მდგომარეობის გაუარესება ივლისიდან დაიწყო, რასაც პატიმრების უმრავლესობა დირექტორის შეცვლას უკავშირებს. ყველაზე ხშირად პატიმრები არასათანადო მოპყრობის ფაქტების მონაწილედ დაწესებულების დირექტორ დიმიტრი ჯიჭონაიას ასახელებენ. ისინი იმასაც აღნიშნავენ, რომ განსაკუთრებული „აქტიურობით“ ამ მხრივ დაწესებულების სოციალური სამსახურის უფროსი ირაკლი ჯიშკარიანი გამოირჩევა, რომელზეც წინა წლებში ზუგდიდის №4 დაწესებულების პატიმრებიც მიუთითებდნენ.

## რატომ შევარდა ციხეში სპეცრაზმი და რას ყვებიან პატიმრები

დასავლეთ საქართველოს საპატიმრო დაწესებულებების, მათ შორის ქუთაისის №2 დაწესებულების მონიტორინგის შედეგების შესახებ სახალხო დამცველმა ჯერ კიდევ ზაფხულში ისაუბრა. გიორგი ტუღუშმა ხათუნა კალმახელიძეს მოუწოდა, ქუთაისის №2 კოლონიაში მყოფთა უფლებების დაცვაზე ეზრუნა და ყველა იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხი დაეყენებინა, ვინც პატიმრებს არასათანადოდ ეპყრობოდა.

– 11 სექტემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულები კვლავ შეხვდნენ და გაესაუბრნენ ქუთაისის №2 დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულებს (დაახლოებით 100 პატიმარი). უმეტესობა ზეპირსიტყვიერად აღნიშნავდა, რომ 9 სექტემბერს, დაახლოებით 21:00 საათზე, №2 დაწესებულებაში სპეციალური დანიშნულების რაზმი შევიდა, პატიმრების გარკვეული ნაწილი საკნებიდან გამოიყვანეს (ძირითადად „ცე“ და „დე“ კორპუსში განთავსებული პატიმრები), სცემეს, ზოგი საკანში დააბრუნეს და ზოგი კი სამარტოო საკანში გადაიყვანეს. მსჯავრდებულებმა დავით მ.-მ, გიორგი ს.-მ, გოგიტა ზ.-მ და იაკობ ხ.-მ ზემოაღნიშნული ფაქტი წერილობით დაადასტურეს.

მსჯავრდებულ დავით მ.-ს განმარტებით, 9 სექტემბერს, დაახლოებით 21.00 საათზე, მის საკანში ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ერთად სპეციალური დანიშნულების რაზმის დაახლოებით 10-12 თანამშრომელი შევიდა. მათ საკნის ჩხრეკა ჩაატარეს, რა დროსაც, პატიმრის თქმით, რამე უკანონო ნივთი არ ამოუღიათ. დაახლოებით 5-6 საათის შემდეგ დავით მ.-სთან კონტროლიორი, ვინმე ბესო მივიდა და დაწესებულებაში მდებარე „ბოქსებთან“ ჩაიყვანა, სადაც დაწესებულების თანამშრომელ რომან რობაქიძესთან შელაპარაკების შემდეგ, მას უცნობმა პირმა უკნიდან თავში ჩაარტყა. პატიმარმა აღნიშნა, რომ ამის შემდეგ ის შეიყვანეს ოთახში, სადაც დაწესებულების დირექტორი დიმიტრი ჯიჭონაია, აჩიკო ტაბატაძე და სხვა თანამშრომლები იმყოფებოდნენ. დიმიტრი ჯიჭონაიამ მას სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. მსჯავრდებულის თქმით, დირექტორმა მას შუბლის არეში თავი რამდენჯერმე ჩაარტყა და სასჯელის დამატებით დაემუქრა. შემდეგ ის სამარტოო საკანში გადაიყვანეს, 3 დღის შემდეგ კი ერთთვიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდეს. მსჯავრდებული აღნიშნავდა, რომ საბოლოოდ იგი გადაიყვანეს 404-ე საკანში, სადაც ადმინისტრაციის თანამშრომლები უხეშად მიმართავენ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებენ.




გიორგი ს.-ს განმარტებით, 2011 წლის 9 სექტემბერს ის „ცე“ კორპუსის თავის საკანში იმყოფებოდა. საკნის ჩხრეკის შემდეგ სპეცრაზმის თანამშრომლებმა ის საკნიდან გამოიყვანეს, ადმინისტრაციის თანამშრომელმა რომან რობაქიძემ მას ცემა დაუწყო, შემდეგ სპეცრაზმის თანამშრომლებს პატიმრის ქვედა სართულზე, „ბოქსში“ ჩაყვანა უბრძანა. „ბოქსში“ ყოფნისას მას აიძულებდნენ, მუხლებზე დამდგარიყო, ხოლო რომან რობაქიძე კი თავში ხელს ურტყამდა. მსჯავრდებულის თქმით, ამის შემდეგ ის სამარტოო საკანში გადაიყვანეს, სადაც 2 დღე იმყოფებოდა, ხოლო შემდეგ შეუფარდეს ადმინისტრაციული პატიმრობა 1 თვის ვადით.

გოგიტა ზ.-ს განმარტებით, 9 სექტემბერს მასთან საკანში სპეციალური დანიშნულების რაზმისა და ადმინისტრაციის დაახლოებით 15 თანამშრომელი შევიდა. მათ შორის, დიმიტრი ჯიჭონაია, მიშა გიგაური, რომან რობაქიძე, აჩიკო ტაბატაძე და ვინმე მამუკა. მათ ჩხრეკა ჩაატარეს, რის შემდეგაც ე.წ. კორიდორში ცემით გაატარეს. მსჯავრდებულის გადმოცემით, განსაკუთრებული სისასტიკით დაწესებულების თანამშრომლები იქცეოდნენ. მსჯავრდებულის თქმით, მასაც შეუფარდეს ადმინისტრაციული პატიმრობა 1 თვის ვადით. სასამართლოდან დაბრუნების შემდგომ ის №404 საკანში გადაიყვანეს, სადაც შესვლის დროს დიმიტრი ჯიჭონაიამ და გაგა ლიპარტელიანმა ცემა დაუწყეს, რის გამოც მსჯავრდებულმა გონება დაკარგა. გოგიტა ზ.-მ აღნიშნა, რომ მას წყალი დაასხეს, ხოლო გონზე მოსვლის შემდეგ ცემით ჩაიყვანეს „ბოქსებში“, სადაც შიშველ მდგომარეობაში 7 საათი გააჩერეს.

პატიმარ იაკობ ხ.-ს გადმოცემით, 9 სექტემბერს ის თავის საკანში იმყოფებოდა, რა დროსაც სპეციალური დანიშნულების რაზმის თანამშრომლებმა საკნის ჩხრეკა ჩაატარეს, რის შემდეგაც ის „ბოქსებში“ ჩაიყვანეს, სადაც დაახლოებით 4-5 საათი გააჩერეს. მსჯავრდებულის თქმით, ამ დროის განმავლობაში სპეცრაზმისა და დაწესებულების თანამშრომლებს პატიმრები ჩაჰყავდათ და იქვე განლაგებულ „ბოქსებში“ ცემით ათავსებდნენ. მსჯავრდებულმა აღნიშნა, რომ ისინი პატიმრებს დაჩოქებას აიძულებდნენ. იაკობ ხ.-საც 60 დღით ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა.

20 სექტემბერს სახალხო დამცველმა ქუთაისის №2 დაწესებულებაში პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიების დაწყების წინადადებით საქართველოს მთავარ პროკურორს მიმართა. 18 ოქტომბერს საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული პასუხის თანახმად, დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება სს საქმეზე – ქუთაისის №2 დაწესებულების თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე.

სასამართლო გადაწყვეტილებების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ 26-მა მსჯავრდებულმა ერთი და იმავე სახის გადაცდომა ჩაიდინა. კერძოდ, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ მსჯავრდებული დავით ხ. იმყოფებოდა რა №2 დაწესებულების „ცე“ კორპუსში, უკანონო გადაძახილით ცდილობდა, სხვა საკნებში მყოფი მსჯავრდებულებისათვის აკრძალული ინფორმაცია მიეწოდებინა, რის გამოც მორიგე თანამშრომელმა შენიშვნა მისცა, რაზეც ყვირილი და უმისამართო ლანძღვა-გინება დაიწყო, რითაც სხვა მსჯავრდებულები აიყოლია და რასაც მსჯავრდებულების მხრიდან ხმაური მოჰყვა. აღსანიშნავია, რომ სასამართლოს დანარჩენ 25 გადაწყვეტილებაშიც სიტყვასიტყვით იგივეა მითითებული. ერთადერთ განსხვავებას წარმოადგენს ის, რომ ზოგან „ლანძღვა-გინების“ მაგივრად აღნიშნულია, რომ მსჯავრდებულმა „გამოხატა აგრესია“.

## როგორ სჯიან პატიმრებს ქუთაისის ციხეში

– სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა ქუთაისის №2 დაწესებულებაში განთავსებულმა მსჯავრდებულმა ახმედ ა.-მ. განმცხადებლის განმარტებით, 25 ივლისს იგი გაიყვანეს დაწესებულების „დე“ კორპუსის მე-3 სართულზე განლაგებულ სამორიგეო ნაწილში, სადაც დაწესებულების თანამშრომლებმა, ვინმე ანზორმა და ირაკლიმ, მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. აღნიშნულის მიზეზი, პატიმრის თქმით, გახდა მის მიერ კანონით კუთვნილი გასეირნების მოთხოვნა და ადმინისტრაციისგან უარის მიღების შემდგომ შიმშილობის დაწყების სურვილის გაცხადება.

მსჯავრდებულის განმარტებით, დაწესებულების თანამშრომლები ასევე შეეხნენ მის ეთნიკურ წარმომავლობასაც და ამ ნიადაგზეც მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა.

შემდეგ იგი გადაიყვანეს ამავე დაწესებულების სამარტოო საკანში, სადაც დაადეს ხელბორკილები, ხოლო რეჟიმის უფროსი გაგა ლიპარტელიანი და კიდევ ერთი თანამშრომელი (რომლის სახელი და გვარიც არ იცის) აიძულებდნენ დაჩოქებას, რაზეც მსჯავრდებულმა უარი განაცხადა. მისი გადმოცემით, მას კვლავ სცემეს და მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა, შემდეგ კი გადაიყვანეს დაწესებულების ე.წ. ბოქსში, შიშველი და ხელებზე ბორკილდადებული, სადაც გააჩერეს დაახლოებით 2 საათი. ამის შემდეგ იგი საკანში დააბრუნეს. მსჯავრდებულის გადმოცემით, მას საკანში დაეწყო თავის ტკივილები, გულისრევის შეგრძნება. ამის გამო მან მოითხოვა ექიმთან შეხვედრა, რაც არ დაკმაყოფილდა. 27 ივლისს სახალხო დამცველის რწმუნებულები შეხვდნენ და გაესაუბრნენ ახმედ ა.-ს თანასაკნელებს. პატიმართა გადმოცემით, მათი თანასაკნელი ახმედ ა. 25 ივლისს დაწესებულების თანამშრომლებმა საკნიდან გაიყვანეს და სცემეს. ახმედ ა.-ს თანასაკნელები ადასტურებდნენ იმ ფაქტს, რომ მსჯავრდებული 25 ივლისს, დაახლოებით 11 საათზე, დაწესებულების თანამშრომლებმა გაიყვანეს საკნიდან და დაახლოებით 15 საათზე შეიყვანეს ნაცემ მდგომარეობაში.

სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ ვიზუალური დათვალიერებისას მსჯავრდებულს სხეულზე აღენიშნებოდა შემდეგი დაზიანებები: ზურგის არეში – დაახლოებით 10-15 სმ-ის სამი სისხლნაჟღენთი, გულმკერდისა და კისრის მიდამოებში – მრავლობითი სისხლნაჟღენთები და ექსკორიაციები, ორივე ფეხის მუხლზე – ფუფხით დაფარული ნაჭდევები, ორივე ხელის მაჯაზე – ჰიპერემია, ნაჭდევი და შეშუპება თავის არეში, – აღნიშნავს ტუღუში.

1 აგვისტოს სახალხო დამცველმა მთავარ პროკურორს ამ ფაქტის გამოძიებაც მოსთხოვა. სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარესაც, უმოკლეს ვადებში უზრუნველეყო ახმედ ა.-ს გადაყვანა სასჯელაღსრულების სხვა დაწესებულებაში, ასევე – მისი უსაფრთხოება, რადგან სახალხო დამცველისადმი გაგზავნილ განცხადებაში მსჯავრდებული შესაძლებლად მიიჩნევდა, რომ ამ განცხადების გაკეთების შემდეგ მას დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან საფრთხე დაემუქრებოდა.

– საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული პასუხით გვეცნობა, რომ 9 აგვისტოს დაიწყო წინასწარი გამოძიება – დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის მუხლით.

9 აგვისტოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან მიღებული პასუხის თანახმად, მსჯავრდებულ ახმედ ა.-ს უსაფრთხოება აყვანილი იყო კონტროლზე. რაც შეეხება მის გადაყვანას სასჯელაღსრულების სხვა დაწესებულებაში, ეს მოთხოვნა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მხრიდან არ დაკმაყოფილდა.


ხათუნა კალმახელიძე

## რას ამბობს მინისტრი კალმახელიძე

სასჯელაღსრულების სამინისტრო ამ და სხვა მწვავე ფაქტების შესახებ ხშირად სიტყვაძუნწობით გამოირჩევა, თუმცა, რატომღაც, სახალხო დამცველის მიერ დადებულ მორიგ ფაქტებს მინისტრი განცხადებით გამოეხმაურა.

– სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო მიესალმება სახალხო დამცველის აპარატის განსაკუთრებულ დაინტერესებას პენიტენციური სისტემის მიმართ, რაც პირველ რიგში ცხადყოფს, რომ საქართველოში შეუფერხებლად მოქმედებენ დემოკრატიული ინსტიტუტები...

სამინისტრო ყოველთვის დეტალურად ეცნობა სახალხო დამცველის ყველა ანგარიშს და მოკვლევის საფუძველზე ახდენს მდგომარეობის გადამოწმებასა და რეაგირებას შესაბამისი რეფორმების სახით.

მიუხედავად უკვე დაწყებული მრავალმხრივი და ყოვლისმომცველი რეფორმებისა, სამინისტრო მიიჩნევს, რომ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. სწორედ რეფორმების მიმდინარეობა ცხადყოფს, რომ სამინისტრო თავად აცნობიერებს ამ რეფორმების აუცილებლობას. ამის ნათელი დასტურია აგრეთვე სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციის დაუყოვნებლივ შესრულება, რაც შესაძლებელი გახდა პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პირობებში.

მისასალმებელია ასევე, რომ ხშირ შემთხვევაში სახალხო დამცველი და მისი წარმომადგენლები თავადვე აღნიშნავენ პენიტენციურ სისტემაში გატარებულ წარმატებულ რეფორმებსა და სხვადასხვა აქტივობის დადებით შედეგებს, მათ შორის სამედიცინო კუთხით, თუმცა, სამწუხაროა, რომ სპეციალური ანგარიშის ფორმატი არ იძლევა საშუალებას, აისახოს ასევე ის პოზიტიური ცვლილებები, რაც ძალიან მოკლე დროში განხორციელდა პენიტენციური სისტემის რეფორმის ფარგლებში, კერძოდ: თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ინიცირება, რომელიც ღია ტიპის დაწესებულების ანალოგი იქნება; დაინერგა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების ეფექტური მექანიზმები; პატიმრობის კოდექსი სულ უფრო და უფრო ლიბერალურ მიდგომებს აყალიბებს ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა მიმართ; დაინერგა სასჯელისგან გათავისუფლების მოქნილი მექანიზმები; ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უკვე 80% განთავსებულია ახალ, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის ინფრასტრუქტურაში; დაინერგა ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა პროფესიული სწავლებისა და დასაქმების კონკრეტული პროგრამები; დაინერგა ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროგრამები; დაინერგა ხანგრძლივი პაემნის ინსტიტუტი; დაინერგა ვიდეო-პაემნის ინსტიტუტი;

10. დაინერგა ამანათის საფოსტო გზავნილის შესაძლებლობა; დაინერგა სამოქალაქო სექტორის აფთიაქები; გაუმჯობესდა პენიტენციური სისტემის ჯანდაცვის ხარისხი და ხელმისაწვდომობა; ხდება სისტემაში არსებული სამედიცინო სერვისების მაქსიმალური ინტეგრაცია სამოქალაქო სექტორში არსებულ სერვისებთან; მუდმივად ხდება სისტემის თანამშრომლების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება სხვადასხვა სასწავლო პროგრამის მიხედვით, მათ შორის ძალის მინიმალური გამოყენების კუთხით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, სამინისტრო მიიჩნევს, რომ პენიტენციურ სისტემაში გასაკეთებელი კიდევ ბევრია და ყველა დაწყებული რეფორმის წარმატებით დასასრულებლად სამინისტრო გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა რესურსს, რათა მოხდეს სამინისტროს უმთავრესი პრიორიტეტის რეალიზაცია – საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემა, – ასეთია ხათუნა კალმახელიძის უწყების კომენტარი.

# სააკაშვილს კავკასიის კონფედერაციის პრეზიდენტობა სურს



თამარ ნინიძე

## ინტერვიუ საზოგადოებრივი მოძრაობის „ქართული ოცნების" წევრ დავით კუპრეიშვილთან

***– „ქართული ოცნების" პრეზენტაციას თუ დაესწარით და როგორი იყო თქვენი შთაბეჭდილებები?***

– დიახ, დავესწარი და ძალიან კმაყოფილი ვიყავი, ვინაიდან ძალიან კარგად იყო ორგანიზებული და ეტყობა, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაცია პოლიტიკურ პარტიად გარდაიქმნება და სერიოზულად აპირებს მუშაობის დაწყებას. შემდეგში, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია საპარლამენტო არჩევნებშიც მიიღებს მონაწილეობას და სერიოზული განაცხადი უნდა გააკეთოს. რაც შეეხება „ქართული ოცნების" დაფუძნებას, ჩვენს ინტერვიუში თქვენს გაზეთთან 3 ნოემბერს ვთქვი, რომ სასწრაფოდ უნდა დაიწყოს მუშაობა და ვინაიდან ბიძინა ივანიშვილს არა აქვს მოქალაქეობა და უფლება არა აქვს პოლიტიკური ორგანიზაციის ჩამოყალიბებისა, ამიტომ ჯერ საზოგადოებრივი ორგანიზაცია უნდა ჩამოაყალიბოს. ეს მართლაც განხორციელდა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ტემპი მოსამატებელია. ჩემი აზრით, სააკაშვილს უკვე აქვს დაწყებული წინასაარჩევნო კამპანია და ასევე ჩემს წინა ინტერვიუში გამოთქმული ეჭვი, რომ სავსებით შესაძლებელია სააკაშვილმა გაზაფხულზე დანიშნოს არჩევნები, ამ ეჭვს მიძლიერებს ის ფაქტი, რომ ჯერ ერთი, ის აქტიურ წინასაარჩევნო კამპანიას ეწევა და მეორეც, ქუთაისში მთავრობის სახლის გახსნის დღეს მან უკვე მეორედ ოფიციალურად განაცხადა, რომ 2012 წლის 26 მაისს ახალ შენობაში მუშაობა უნდა დაიწყოს ახალი მოწვევის პარლამენტმა.

***– რას ნიშნავს ეს განცხადება?***

ეს იმას ნიშნავს, რომ საპარლამენტო არჩევნები უნდა გაიმართოს არა უგვიანეს 2012 წლის 6 მაისისა, ხოლო უნდა დაინიშნოს არა უგვიანეს 6 მარტისა. ეს ჯერ ვარაუდებია, მაგრამ ჩემი აზრით, სააკაშვილი ემზადება, მას არ განუმარტავს ჟურნალისტებისთვის, რას ნიშნავდა მისი ეს სიტყვები. მისმა თანაგუნდელებმა, კერძოდ, გიგი წერეთელმა ბრძანა, ნუ ნერვიულობთ, არჩევნები ჩატარდება ისე, რომ კონსტიტუცია არ დაირღვევაო. კონსტიტუციაში ორაზროვნებაა, მისი 50–ე მუხლის ორი პრიმა მუხლში წერია, რომ პარლამენტის მორიგი არჩევნები ტარდება პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში, მაგრამ ამ დროს ამ მოწვევის პარლამენტის არჩევნები ჩატარდა 2008 წლის 21 მაისს, მას ვადა სწორედ ამ დროს გაუდის. „ქართული ოცნების" საზოგადოებრივ მოძრაობას, რომლის წევრიც მე გავხდი, ძალიან ბევრი სამუშაო აქვს ჩასატარებელი. ბიძინა ივანიშვილმა და მისმა გუნდმა აუცილებელია მოაგროვოს მომავალ პარლამენტში მანდატების 60%, რათა მოახერხოს ამ კონსტიტუციის შეცვლა. 59%–იც რომ აიღოს, საკმარისი არ იქნება, ვინაიდან მოქმედი კონსტიტუციით სააკაშვილს, როგორც მოქმედ პრეზიდენტს, აქვს იმდენი შესაძლებლობები, რომ ქვეყანაში შექმნას მართვადი ქაოსი, დაბეჯითებით მინდა ვთქვა, რომ სააკაშვილს ქვეყანა მიჰყავს სწორედ მართვადი ქაოსისკენ. თუკი მომავალ პარლამენტში ოპოზიციამ ვერ შეძლო იმდენი ხმის აღება, რომ მან შეძლოს კონსტიტუციის შეცვლა, ეს იქნება ქაოსის მომტანი. მე–80 მუხლი კონსტიტუციისა ამბობს: პარლამენტი საქართველოს პრეზიდენტის მიერ მთავრობის შემადგენლობის წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში განიხილავს მთავრობის შემადგენლობისა და სამთავრობო პროგრამისათვის ნდობის გამოცხადების საკითხს. პარლამენტის ნდობის მისაღებად საჭიროა პარლამენტის სრული შემადგენლობის მხარდაჭერა. პრეზიდენტი ნიშნავს მოქმედი კონსტიტუციით პრემიერ–მინისტრს, მთავრობის შემადგენლობას პრემიერ–მინისტრის წარდგინებით პრეზიდენტი. პარლამენტში კი არ ხდება მთავრობის წევრთა დამტკიცება, არამედ საკითხი უნდა შეიტანოს პრეზიდენტმა და თუ ვერ მიიღო ნდობა, ერთი კვირის განმავლობაში წარუდგენს მთავრობის იმავე ან ახალ შემადგენლობას პარლამენტს. თუ ზედიზედ სამჯერ ვერ მიიღო ნდობა მთავრობამ, ხუთი დღის ვადაში წარადგენს პრეზიდენტი პრემიერ–მინისტრის ახალ კანდიდატურას და პარლამენტის თანხმობის გარეშე ნიშნავს პრემიერ–მინისტრს, ხოლო პრემიერ–მინისტრი ხუთი დღის ვადაში დანიშნავს მთავრობის წევრებს. ამ შემთხვევაში პრეზიდენტი დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს. სააკაშვილი ყველაფერს გააკეთებს, რომ ივანიშვილმა ვერ მიიღოს საკონსტიტუციო უმრავლესობა. შექმნის ქვეყანაში მართვად ქაოსს ანუ დაპირისპირებას პარლამენტსა და მთავრობას შორის, რაც დასრულდება პარლამენტის დათხოვნით. ამ ქმედებების პარალელურად კონსტიტუციის მიხედვით დაუშვებელია პრეზიდენტის იმპიჩმენტის მოთხოვნის აღძვრა. სააკაშვილი ივანიშვილის გუნდს არ აძლევს საშუალებას, რომ ფართოდ გაშალოს საქმიანობა.

***– ივანიშვილის ამ ღონისძიებას ესწრებოდნენ შევარდნაძის მთავრობის ყოფილი თანამდებობის პირები, კერძოდ, ვაჟა ლორთქიფანიძე, დავით თევზაძე, გია ყარყარაშვილი. საზოგადოებაში გაჩნდა ეჭვი, ხომ არ არის ეს მოძრაობა ე.წ. რევანშისტული ძალების მიზიდვის არეალი?***

– მე არ ვეთანხმები ამ აზრს, ვინაიდან ფილარმონიაში იყო საზოგადოების შეკრება. ბატონმა ბიძინამ დაუძახა საზოგადოების იმ წევრებს, რომლებიც ცნობადი სახეები არიან, ასევე დამსახურება აქვთ ქვეყნის წინაშე, თუ ვილაპარაკებთ შევარდნაძის დროინდელ მთავრობაზე, სასაცილოა დღევანდელმა ხელისუფლებამ ამაზე რომ ილაპარაკოს. დღევანდელი ხელისუფლების უმრავლესობა შევარდნაძის ხელისუფლებიდან მოდის. მოქკავშირს ჰყავდა ოთხი გენერალური მდივანი, ზურაბ ჟვანია, გია ბარამიძე, მიხეილ მაჭავარიანი და ედვარდ სურმანიძე. ვინც შევარდნაძის რეჟიმს საძირკველში ბეტონს უსხამდა და აძლიერებდა, ამ ხალხმა როგორ შეიძლება ილაპარაკოს გია ყარყარაშვილზე, რომელმაც ლამის თავისი სიცოცხლე შესწირა საქართველოს ინტერესებს. იქ ბევრი იყო ინტელიგენციის წარმომადგენელი, რომელთაც ყელში ამოუვიდათ ეს გაძაღლებული ცხოვრება, მათ სურთ უკეთესი მომავალი საქართველოსთვის. ბატონმა ბიძინამ ბრძანა თავის გამოსვლაში, რომ ჩვენ უნდა აღვადგინოთ კავშირი წარსულსა და მომავალს შორის. ვის აქვს უფლება ვინმეს აუკრძალოს მონაწილეობა ამ საზოგადოებრივი მოძრაობის მუშაობაში?

***– იქ ყურადღებას იქცევდა ვალერი კვარაცხელიას ყოფნა, რომელსაც საბჭოთა კავშირის ნოსტალგია აქვს, ამაზე არაერთხელ თავად უსაუბრია. თქვენი აზრით, რას ნიშნავს მისი იქ დასწრება?***

– ყოფნა არაფერს ნიშნავს. პრორუსული ორიენტაციისაა და არც მალავს ამას. შეიძლება ბევრი იყო იქ ისეთი ადამიანი, რომელსაც მიაჩნია, რომ საქართველოსთვის უფრო დიდი სიკეთის მოტანა რუსეთის იმპერიას შეუძლია, მაგრამ იმათი იქ ყოფნა იმას არ ნიშნავს, რომ ბიძინა ივანიშვილის საზოგადოებრივი მოძრაობა იმათ ორიენტაციაზე გაივლის. თუ ვალერი კვარაცხელია და მისი ორიენტაციის ხალხი იქნებიან ივანიშვილის პოლიტიკური პარტიის წამყვანი ფიგურები, მაშინ უნდა ვილაპარაკოთ. მე ჩემს თავს ვთვლი დასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსად და მიმაჩნია, რომ ბიძინა ივანიშვილი ასეთი ორიენტაციის პარტიას შექმნის, ამიტომ გავწევრიანდი ამ მოძრაობაში.

***– ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ის დასავლურ ღირებულებებს პატივს სცემს, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მხარს დაუჭერს საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებას. ივანიშვილთან თანამშრომლობა დაიწყეს ზვიად ძიძიგურმა და კობა დავითაშვილმა, დავითაშვილმა ბოლო დროს არა ერთხელ დააფიქსირა თავი, როგორც ანტიამერიკანისტმა; მაგალითად, აშშ-ს საელჩოსთან საპროტესტო აქცია გამართა. თქვენი აზრი როგორია ამაზე?***

– ბიძინა ივანიშვილმა ყველა თავის ინტერვიუში მკაფიოდ განაცხადა, რომ დასავლეთისკენ საქართველოს სვლას ალტერნატივა არა აქვს. ის ამბობს, ვისაც მიგაჩნიათ, რომ ამ პოლიტიკის მომხრე ხართ, ჩვენთან ითანამშრომლებთო. პირველ რიგში პარტნიორებად აირჩია დასავლური ორინტაციის რესპუბლიკელები და თავისუფალი დემოკრატები. ძიძიგურზე რუსის მომხრეაო ვერავინ იტყვის, მე მას ეროვნული მოძრაობიდან ვიცნობ და სიცოცხლე გაუწირია იმისათვის, რომ საქართველო გამოეგლიჯა რუსეთის იმპერიიდან და მკრეხელობაა, ძიძიგურზე პრორუსულობის დაბრალება. კობას რაც შეეხება, ისიც პიროვნულად მიიწვიეს მოძრაობის პრეზენტაციაზე, მე არ მომეწონა, როცა ის მოსკოვში ჟირინოვსკის შეხვდა, აშშ-ს საელჩოს წინ გამართული აქცია ამერიკის საწინააღმდეგო არ იყო, არამედ ის მოითხოვდა ამერიკისგან, რომ მხარი არ დაეჭირა სააკაშვილისთვის.

***– ბოლო დროს საქართველოში ცუდი ტენდენცია შეიმჩნევა, მოსახლეობის დიდი ნაწილი რუსეთისადმი ნოსტალგიითაა გატაცებული, რაც ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის შედეგია. როგორ ფიქრობთ, ივანიშვილი ხომ არ იქნება პრორუსული ძალების დასაყრდენი?***

– იაგო კაჭკაჭიშვილის ორგანიზაციის კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობის 73% მხარს უჭერს რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას. არავინ უჭერს მხარს იმას, რომ საქართველო ისევ რუსეთის გუბერნიად იქცეს. რუსეთთან ურთიერთობების დალაგება აუცილებელია. ამბობენ, რომ რუსეთი ჩვენი უშუალო მეზობელია, ეს ასე არ არის, ჩვენი უშუალო მეზობლები ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკებია. გეთანხმებით, რომ ამ ხელისუფლების უაზრო პოლიტიკის შედეგია ქართველ საზოგადოებას რუსეთთან ურთიერთობის დალაგების მოთხოვნილება რომ გაუჩნდა. წამდაუწუმ აგინებს სააკაშვილის ხელისუფლება რუსეთს, მაგრამ ამ დროს საქართველოს ეკონომიკის ყველაზე მომგებიანი სფეროები რუსეთის ხელშია. საქართველოდან ექსპორტზე გატანილი პროდუქციის 65% მოდის იმ საწარმოებზე, რომელიც რუსეთის ხელშია. ერთ–ერთი პირველია კაზრეთის მადნეულის კომბინატი.

***– ბევრი ექსპერტი საუბრობს, რომ დაძაბული ვითარებიდან გამომდინარე, რუსეთის დაშლა გარდაუვალია. როგორ გგონიათ, ფერადი რევოლუცია მოხდება იქ და ჩვენთვის რა შედეგი ექნება ამას?***

– მწყინს, როცა ზოგიერთი ოპოზიციური ლიდერი ქილიკობს იმ თემაზე, რომ რუსეთის დაშლას წინასწარმეტყველებენო. რუსეთის დაშლა გარდაუვალია და მე ამის თაობაზე წელიწადნახევრის წინ „მერაბ კოსტავას საზოგადოების" გაზეთში გამოვაქვეყნე და უამრავი მასალა მაქვს ამის დასტურად. რუსეთის დაშლის გეგმა ხორციელდება, საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე დაიდო ეს ახალი გეგმა ამერიკაში. რუსეთის ბიუჯეტს აწვება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ცნობა, ასევე ახალი შეიარაღება და მილიტარიზაცია. ოთხ მილიარდნახევარი უჯდება ყოველწლიურად კრემლის ადმინისტრაციას კადიროვის შენახვა. მოსკოვში აქციები იმართება კავკასიელებისგან რუსეთის ჩამოშორების მოთხოვნით, ასევე ჟირინოვსკიმ ერთ გამოსვლაში განაცხადა, რომ კავკასია უნდა ჩაიკეტოს. ჩვენი მომავალია ერთიანი კავკასიური კონფედერაციული სახელმწიფოს შექმნა. ამ გეგმის შესახებ სააკაშვილმა იცის. სააკაშვილს თავისი თავი საქართველოს კი არა, კავკასიის კონფედერაციის პრეზიდენტად ელანდება. საქართველოს მომავალი კავკასიის კონფედერაციის ცენტრობაა, ეს სჭირდება არა მარტო ევროპას, არამედ ამერიკასაც. კავკასიის გვერდის ავლით ვერც ერთი შევა აზიაში, ეს კარგად ესმის დასავლეთს. ეს ძალიან მალე იქნება და ამ დღისთვის უნდა მოვემზადოთ.

***– ლავროვმა ურჩია ნატოს წევრ ქვეყნებს ხელი არ შეუწყონ სააკაშვილს ახალი ავანტიურის წამოწყებაში, ისეთის, როგორიც იყო თითქოს 2008 წლის აგვისტოში. ეს ფაქტია, რომ საქართველოსადმი მიმართული მუქარაა. რას ფიქრობთ, რუსეთი შეძლებს ომის განახლებას საქართველოსთან?***

– ქართული ანდაზაა - ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო, ამას ჰგავს ლავროვის განცხადება. მე ამის არ მეშინია, ბაქი-ბუქია. ჩრდილოეთ კავკასიაში არა აქვს რუსეთს ომის თავი. თუ სერიოზული ხასიათი მიიღო რუსეთის დემოკრატიული ძალების წინსვლამ, მაშინ არ არის გამორიცხული, პუტინმა რაიმე პროვოკაცია მოაწყოს, რომ ყურადღება გადაიტანონ საგარეო პრობლემებზე. დარწმუნებული ვარ, ამას დასავლეთი არ დაუშვებს, თუკი პუტინს სააკაშვილი არ მისცემს საბაბს სულელური ქმედებით.

## საქმეზე — „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ" აღსრულების გადაწყვეტილების ფორმა შეირჩა

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტში საქმეზე – „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ" აღსრულების გადაწყვეტილების ფორმა შეირჩა.

როგორც „ინტერპრესნიუსს" გირგვლიანების ოჯახის ადვოკატმა, დავით ჯანდიერმა აცნობა, საქმის აღსრულება არ მოხდება მარტივი პროცედურის შესაბამისად და იგი არასტანდარტული წესით აღსრულდება. ადვოკატის ინფორმაციით, როგორც წესი, მინისტრთა კომიტეტის წინაშე არსებული ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება მარტივი პროცედურით მიმდინარეობს. „ეს ის შემთხვევაა, როდესაც მინისტრთა კომიტეტი მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილება სახელმწიფოს მიერ აღსრულდა მანამ, ვიდრე საქმე მინისტრთა კომიტეტს წარედგინებოდა ან მინისტრთა კომიტეტი თანახმაა იმ ღონისძიებებზე, რომლის გატარებასაც აპირებს მთავრობა გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით. ანუ ეს ის პროცედურაა, რომელის დროსაც, ორივე, მინისტრთა კომიტეტი და მთავრობას შორის გადაწყვეტილების აღსრულების საკითხთან დაკავშირებით პრობლემატური საკითხი არ არსებობს. მოცემულ შემთხვევაში კი, საქმე დაკვალიფიცირდა როგორც „კომპლექსური პრობლემა" რაც იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც ასეთი შეფასება საქმეს მისცა ევროსასამართლომ ან/და მინისტრთა კომიტეტმა. სწორედ ასეთ შემთხვევაში ხდება არასტანდარტული პროცედურის შესაბამისად გადაწყვეტილების აღსრულება. ეს პროცედურა გულისხმობს გადაწყვეტილების სრულყოფილად აღსრულების მიზნით თავად მინისტრთა კომიტეტის სამდივნოს ექსპერტების მონაწილეობით გადაწყვეტილების აღსრულების გეგმის შემუშავებას, ანუ იმ ღონისძიებების განსაზღვრას, რომელთა შესრულების შემთხვევაშიც ჩაითვლება საქმე აღსრულებულად", – აცხადებს დავით ჯანდიერი.

მისივე თქმით, ამ გადაწყვეტილების მიზეზი შეიძლება მოიძებნოს თავად ევროსასამართლოს განაჩენშიც. „განაჩენის თანახმად, „სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა განშტოებები – შინაგან საქმეთა სამინისტრო, გამოძიების საწყის სტადიაზე დაშვებული დარღვევებით; პროკურატურა, გამოძიების შემდგომ ეტაპზე დაშვებული სხვა დარღვევებით; სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, მსჯავრდებულების ერთ საკანში უკანონოდ მოთავსებით; შიდა სასამართლოები, არასრულფასოვანი სასამართლო განხილვებითა და მსჯავრდებულების ვადაზე ადრე გათავისუფლებით; საქართველოს პრეზიდენტი, მსჯავრდებულების მიმართ გაუმართლებელი ლმობიერების გამოვლენით, და ა.შ. – ყველა ერთად, ხმაშეწყობილად მოქმედებდა იმ მიზნისათვის, რომ ამ შემზარავი მკვლელობის საქმეზე როგორმე არ განხორციელებულიყო მართლმსაჯულება". ამდენად, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა არ დახურა საქმე იმის გამო, რომ იუსტიციის სამინისტრომ სანდრო გირგვლიანის მამას გურამ გირგვლიანს სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხა გადარიცხვით შემოიფარგლა",– აღნიშნავს ჯანდიერი. ოქტომბერში გირგვლიანის ოჯახმა ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტისგან ითხოვა გადაწყვეტილების სრულყოფილად აღსრულებაზე კონტროლი, რაც გულისხმობს საქმის ხელახლა გამოძიებასა და შარდენის ბარის სუფრის წევრთა კავშირის დადგენას დანაშაულის უშუალო აღმსრულებლებთან; მოსამართლეთა, გამომძიებელთა და პროკურორთა დასჯას; პრეზიდენტის მიერ შეწყალებულ პირთა სასჯელის ბოლომდე მოხდას.

ინტერპრესნიუსი

## ერიკ რუბინი: აშშ იმედოვნებს, რომ საქართველოში მიღწეული პროგრესი ნატოს ჩიკაგოს სამიტზე ღირებულად შეფასდება




აშშ მხარს უჭერს საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში და ნატო-ში ინტეგრაციის მისწრაფებას და ჩიკაგოს სამიტისთვის ნატოს წევრ ქვეყნებს შორის საქართველოსთან მიმართებაში ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბებაზე მუშაობს. ამის შესახებ საქართველოში ვიზიტით მყოფმა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილემ ერიკ რუბინმა განაცხადა, აშშ-ს საელჩოში გამართულ პრესკონფერენციაზე. მისი თქმით, ნატო-ს ჩრდილოატლანტიკური საბჭოს წარმომადგენლები საქართველოში ყოფნისას გაეცვნენ იმ პროგრესს, რომელიც მთელ რიგ საკითხებშია და აღნიშნეს, რომ ეს არის წინ გადადგმული ნაბიჯი.

„აშშ-ს იმედი აქვს, რომ ჩიკაგოს სამიტზე ეს პროგრესი ღირსებულად შეფასდება და იქ იქნება საუბარი, კონკრეტულად რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას მომავალში და რა ფორმითი გამოიხატება ეს ნაბიჯები." – აღნიშნა რუბინმა.

მან ასევე ისაუბრა იმ განსაკუთრებულ წვლილზე, რომელიც საქართველოს და ქართველ ჯარისკაცებს შეაქვთ ავღანეთის საერთაშორისო მისიაში.

პრაიმ–ნიუსი

# „ნატომ საქართველოს მიმართ დამოკიდებულება შეცვალა“

თეა მარხვაიძე

საქართველო ამ დღეებში უცხოური მედიის ყურადღების ცენტრში რამდენჯერმე მოექცა. ეს პირველ რიგში ჩვენი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დამსახურებაა, რომელიც ჩვენი გულისთვის ბევრს მოგზაურობს. სადაც ჩადის ყველგან საუბრობს. იქაური მედია ჩვენს სიტყვაუხვ პრეზიდენტზე სულ ცოტა 2 ნიუსს მაინც აცხობს.

გასაგები მიზეზების გამო უცხოური მედიის ყურადღება ახლა სხვა პერსონის მიმართ არის მიპყრობილი. ალბათ ხვდებით, რომ ეს პერსონა ბიძინა ივანიშვილია.

ერთი კვირის წინ მან თავის მოძრაობა დააფუძნა. ეს ღონისძიება უცხოურმა მედიამ აქტიურად გააშუქა. უცხოური პრესა მისი სხვა ამბებითაც ინტერესდება. აქტიურად შუქდება ის ამბავი ბიზნესმენსა და მის მეუღლეს საქართველოს ,ოქალაქეობა რომ ჩამოართვეს.

ამ თემით სხვა ავტორიტეტულ გამოცემებთან ერთად ბიბისიც დაინტერესდა. მათ საქართველოს საგარეო უწყების შეფმა აუხსნა, რომ თურმე ივანიშვილს მოქალაქეობა სრულიად კანონიერად წაართვეს.

სხვათა შორის ამ მხრივ საინტერესო განცხადება გააკეთა ევროკავშირის წარმომადგენელმა. ირკვევა, რომ ივანიშვილის საკითხს ევროკავშირი აუცილებლად განიხილავს.

ისე ძალიან საინტერესო ასახსნელია გრიგოლ ვაშაძის ამბავიც. იქნებ გაგვაგებინის ვინმემ, როგორ იყო ის საგარეო საქმეთა მინისტრი. როცა საქართველოს მოქალაქის პასპორტთან ერთად ჯიბეში რუსეთის მოქალაქის პასპორტიც ედო. მართალია ეს აპსპორტი მედვედევს კონვერტით გაუგზავნა. მაგრამ საკამოდ დააგვიანა.

ივანიშვილის გარდა უცხოურმა პრესამ ყურადღება სხვა ოპოზიციონერებსაც მიაპყრო. ჩაიწერა ინტერვიუ ირაკლი ალასანიასთან. უცხოურ მედიას ყურადღების მიღმა არც ფეხბურთელი კახა კალაძე გამორჩენია. რომელმაც ნაკრები დატოვა და პოლიტიკაში წავიდა.

უცხოელ ჟურნალისტებს პერსონების გარდა ყურადღება თავად ჩვენს ქვეყანაზეც აქვთ გამახვილებული. საუბარია ჩვენი ხელისუფლების სანუკვარ ოცნებაზე ნატოზე. საქართველო ნატოს ურთიერთობებზე მასალა გამოცემამ „ევრაიანეტმა“ გამოაქვეყნა. სტატიის თარგმანი საიტმა ფორეიგნპრესმა შემოგვთავაზა.



უცხოური პრესის თვალით დანახული საქართველო

## „ევრაზიანეტი“: ნატომ საქართველოს პირველად უწოდა ასპირანტი

„ნატომ პირველად უწოდა საქართველოს „ასპირანტი“, ანუ პრეტენდენტი-სახელმწიფო, რომელიც ალიანსში გაწევრიანებისკენ მიისწრაფვის. დღემდე, ამ კატეგორიაში მხოლოდ ბალკანეთის სამი სახელმწიფო შედიოდა: ბოსნია, მაკედონია და ჩერნოგორია. ამის შესახებ ბრიუსელში გამართული ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს შემაჯამებელ კომუნიკეში ნათქვამია“, – აღნიშნულია „ევრაზიანეტზე“ გამოქვეყნებულ სტატიაში.

„ჩვენ მადლობას ვუხდით ჩვენს პარტნიორ-პრეტენდენტებს: მაკედონიას, ბოსნიას და ჰერცოგოვინას, ჩერნოგორიას და საქართველოს, მნიშვნელოვანი საოპერაციო მხარდაჭერისთვის, რომელიც მათ ნატოს აღმოუჩინეს. ჩვენ ვადასტურებთ ჩვენს ერთგულებას ღია კარის პოლიტიკისა და ჩვენი პარტნიორი-პრეტენდენტების ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართ, იმ გადაწყვეტილებების თანახმად, რომელიც მანამდე ნატოს ბუქარესტის, სტრასბურგ-კელის და ლისაბონის სამიტებზე იქნა მიღებული. დემოკრატიული ფასეულობები, რეგიონალური თანამშრომლობა და კარგი კეთილმეზობლური ურთიერთობები მნისვნელოვანია მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფისთვის. ჩვენ მივესალმებით პრეტენდენტი-ქვეყნების მიერ მიღწეულ პროგრესს და მოვუწოდებტ მათ განაგრძონ აუცილებელი აუციელებელი გადაწყვეტილებებისა და რეფორმების განხორციელება, ევროატლანტიკური ინტეგრაციის საქმეში შემდგომი წარმატებების მიღწევისთვის“, – ნათქვამია სტატიაში და აღნიშნულია, რომ საქართველო, რა თქმა უნდა, ამ ნაბიჯს მიესალმა.

„საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძე მიესალმა ნატოს განცხადებაში ასეთ ფორმულირებას და აღნიშნა, რომ „საქართველოს პირველად მიენიჭა ნატოს ოფიციალურ დოკუმენტში ნატოს წევრობის კანდიდატის სტატუსი“, – ვკითხულობთ სტატიაში, სადაც აღნიშნულია, რომ რუსეთმა ეს ყველაფერი დაგმო. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე მინისტრ სერგეი ლავროვის პრესკონფერენციის ტექსტი გამოქვეყნდა. პრესკონფერენცია ნატო-რუსეთის საბჭოს სხდომის შედეგებს მიეღვნა. ფრაგმენტი ლავროვის გამოსვლიდან:

„მე აღვნიშნე, რომ გუშინ, ალიანსის საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ მიღებულ კომუნიკეში არის ტერმინი „ასპირანტ პარტნერს“, ანუ პარტნიორები, რომლებიც ნატოში გაწევრიანებისკენ მიისწრაფვიან. ამ ტერმინით მოხსენიებულ ქვეყნებს შორის არის საქართველო. მე გულწრფელად გავაფრთხილე ჩვენი კოლეგები, რომ ამით უნებლიედ არ წაახალისონ საქართველოს დღევანდელი რეჟიმი 2008 წლის აგვისტოს ავანტიურის გამეორებისკენ, რაც ნატოს ბუქარესტის სამიტიდან მალევე მოხდა და სადაც უაპელაციოდ აღინიშნა, რომ საქართველო გახდება ალიანსის წევრი. მ. სააკაშვილის ფსიქიკის გათვალისწინებით, ეჭვი არ მეპარება, რომ ამან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა შეშლილი და უგუნური გადაწყვეტილების მიღებაში. მე იმედი გამოვთქვი, რომ ნატოს წევრები პასუხისმგებლობით მიუდგებიან მსგავსი ტიპის მოვლენებს რეგიონში, რომელიც სტრატეგიულია სამხრეთ კავკასიის და რუსეთის ფედერაციისთვის. იქ ჩვენი უახლოესი მოკავშირეები და მეზობლები ცხოვრობენ. ვიმედოვნებ, რომ მათ ჩემი ნათქვამი გაიგეს“, – ამბობს ლავროვი.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ბრიფინგზე, რომელიც ასევე ნატო-რუსეთის საბჭოს სხდომის შედეგებს მიეძღვნა, ოფიციალურმა პირებმა დაადასტურეს, რომ საქართველო იმ ქვეყნების ჯგუფში შევიდა, რომელიც ადრე მხოლოდ ბალკანეთის სამ პრეტენდენტ-ქვეყანას მოიცავდა.

„და ბოლოს, ჩვენ განვიხილეთ საკითხები, რომელიც ეძღვნება ალიანსის წევრობის მსურველ ოთხ ქვეყანას: მაკედონიას, ჩერნოგორიას, ბოსნიას და საქართველოს, ასევე ის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ამ სახელმწიფოებისთვის ნატოს კარი ღია გვქონდეს, და ისიც, თუ როგორ უნდა გავაგებინოთ მათ ჩიკაგოს სამიტზე ის, თუ რისი გაკეთებაა კიდევ აუცილებელი ალიანსში გაწევრიანებისთვის. საკითხთა ყველაზე ფართო სპექტრის განხილვა საღამომდე, 11 საათამდე, გაგრძელდა. აზრი გამოთქვა ყველამ“, – ნათქვამია სტატიაში.

„რა არის ეს – პოლიტიკის კარდინალური ცვლა, თუ მხოლოდ რიტორიკის ცვლა? ყველა შემთხვევაში მოვლენების განვითარებას ყურადღებით დავაკვირდებით“, – ვკითხულობთ ჯოშუა კუცერას პუბლიკაციაში.

## „კორიერა დელა სერა“: კალაძემ ბერლუსკონის სთხოვა, ვლადიმერ პუტინს დალაპარაკებოდა

იტალიურმა გამოცემამ ქართველ ფეხბურთელ კახა კალძეს სტატია მიუძღვნა. ამ მხრივ ნაკრების ექს-კაპიტანი სხვა მედია-საშუალებებმაც გაანებივრეს. მისტვის ყურადღება არც ქართულ მედიას დაუკლია. შეფასებები არც ქართველ პოლიტიკოსებს დანანებიათ. ოპოზიცია მის ნაბიჯს იწონებს, ხელისუფლება კი ქოქოლას აურის. ისე საინტერესოა რას იტყოდნენ კალაძეს რომ ეთქვა ნაციონალები მიყვარსო.

მოდით ისევ იტალიურ პრესაში გამოქვეყნებულ სტატიას მივუბრუნდეთ.

„დოლარები და ფეხბურთის ბურთი. ყველაზე მდიდარი ადამიანი საქართველოში და საქართველოს ყველაზე ცნობილი ფეხბურთელი. ახალი პოლიტიკური მოძრაობა „ქართული ოცნება“, რომლის მიზანიც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის რეჟიმისგან გათავისუფლებაა, ოფიციალურად კვირას, თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში დაფუძნდა. 2500 სტუმარი, ვივალდის მუსიკა და ადგილობრივი რეპი – ეს ყველაფერი თავმოყრილი ბიძინა ივანიშვილისა და კახაბერ „კახა“ კალაძის გარშემო“, – ნათქვამია „კორიერა დელა სერას“ სტატიაში, რომელიც საქართველოში ბიძინა ივანიშვილის მოძრაობა „ქართული ოცნების“ დაფუძნებასა და კახა კალაძის ამ პროცესში მონაწილეობას ეძღვნება.

„ივანიშვილს შეუძლია საკუთარი ქონების იმედი ჰქონდეს, რომელიც ხუთნახევარი მილიარდით განისაზღვრება და რომლის მეშვეობით ის ჟურნალ „ფორბსის“ მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანების რეიტინგში 185-ე ადგილზე მოხვდა. მეორე, ძლიერი მცველი, რომელმაც, კარლო ანჩელოტის „მილანში“ თამაშის ათი წლის მანძილზე ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა: გახდა იტალიის ჩემპიონი (2004), იტალიის თასის მფლობელი (2003), ევროპის სუპერთასის მფლობელი (2007), მსოფლიოს ჩემპიონი კლუბურ ჯგუფებს შორის (2007), ჩემპიონთა ლიგის ორგზის გამარჯვებული (2003 და 2007). ახლა ის „ჯენოაში“ თამაშობს, კვირას კი საჯაროდ განაცხადა, რომ ემშვიდობება ეროვნულ ნაკრებს, რომლის კაპიტანიც იყო („15 წლიანი თამაშისა და 83 მატჩის შემდეგ ფეხბურთს დიდი სინანულით ვტოვებ“). სინამდვილეში ეს არჩევანი მომავალი პოლიტიკური კარიერისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია. ფეხბურთი მისი ტრაგიკული ცხოვრების მთავარი ნაწილი იყო (2001 წელს კრიმინალურმა ბანდამ გამოსასყიდის გამოძალვის მიზნით, მისი ძმა ლევანი გაიტაცა, რომლის ნეშტიც წლების შემდეგ იპოვეს), „ჯენოასთან“ მისი კონტრაქტი 2013 წელს იწურება, მაგრამ კახა თანაგუნდელებს ერთი წლით ადრე, ჩემპიონატის დასასრულს დაემშვიდობება“, – წერს ჟურნალისტი ალბერტო კოსტა და დასძენს, რომ საქართველოში შექმნილ სიტუაციას იმედისმომცემს ვერ უწოდებს.



„პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2008 წლის აგვისტოში თავისი უგუნური დაპირისპირების შემდეგ რუსეთთან, რამაც პუტინის ტანკები ქვეყნის დედაქალაქიდან 30 კილომეტრში განათავსა, ავტორიტარული კურსი განამტკიცა. იმ 2008 წლის ცხელ ზაფხულს სწორედ კალაძეს მოუწია საკუთარი ქვეყნისთვის უფრო დიდი დანაკარგები აერიდებინა: მან, როგორც „მილანელმა“ „მილანელს“ სთხოვა, სილვიო ბერლუსკონის თავის მეგობარ ვლადიმერ პუტინს დალაპარაკებოდა. 48 საათში, საერთაშორისო თანამეგობრობის ზეწოლით, რუსებმა თბილისისკენ სვლა შეწყვიტეს, თუმცა ამ არანორმალური აქტის შედეგები (საქართველო 4,3 მილიონიანი ქვეყანაა, რუსეთის ფედერაცია კი 142 მილიონიანი) ქვეყანას დღემდე ვერ მოუნელებია. ივანიშვილის ნაბიჯმა, რომელიც მშვიდ და გაწონასწორებულ ადგილობრივ ექიმს მოგაგონებთ, რომელიც ბერლუსკონის მსგავსად, „მილანის“ გულშემატკივარია („მას მერე, რაც კალაძემ „მილანის“ შავ-წითელი მაისური ჩაიცვა, „მილანი“ ჩემს საყვარელ გუნდად იქცა“), აშკარა შოკი გამოიწვია გარეგნულად ბედსშეგუებულ ქვეყანაში:

„სინამდვილეში მე ყველაფერს ვაკეთებდი იმისთვის, რომ პოლიტიკაში არ მოვსულიყავი, მაგრამ სააკაშვილმა ნამდვილი დიქტატურა დაამყარა. ის ვერ იტანს ისეთ თავისუფალ ადამიანებს, როგორიც მე ვარ. მას მხოლოდ ისეთი ადამიანები მოსწონს, რომლებიც ყველაფერზე კვერს უკრავენ. მე კი თავის დახრა არ მსურდა“, – ნათქვამია სტატიაში.

„და აი ისიც, აღფრთოვანებული აუდიტორიის წინ, მაშინ როდესაც დარბაზის გარეთ ასობით ადამიანი ცდილობს მისი და მისი მემკვიდრის, მილანელი კახი კალაძის სიტყვის მოსმენას („ქართველი გულშემატკივრებისთვის მისი ამგვარი „ჯენოას ეპოპეა“ მათი კერპის მხოლოდ და მხოლოდ ვირტუალური გამოცდილებაა), რომლის პოლიტიკური სვლა მომავალი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისა და 2013 წლის შემოდგომის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ უკვე გამოიკვეთა „დიდი ბოსის“ გვერდით: „ ფეხბურთს ნაადრევად ვტოვებ, რადგანაც გული მტკივა, როცა ვხედავ, თუ რა სილატაკეში ცხოვრობს ჩემი ხალხი“. ამიტომ პირველი ნაბიჯი რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებაა. „არ აქვს მნიშვნელობა იმას, რასაც პროპაგანდა ამტკიცებს, თითქოს მე პუტინის მეგობარი ვარ“ – ამბობს ივანიშვილი, „ხალხს ვერ მოატყუებ, მიუხედავად იმისა, რომ ხალხი, რომელსაც რეჟიმი უთვალთვალებს და აკონტროლებს, დაშინებულია. ახლა ამერიკელებიც და მთელი ევროპაც, დარწმუნდნენ რა იმაში, რომ ჩემი ნდობა შეიძლება, ჩვენთან ურთიერთობას ამყარებენ“, – ნათქვამია სტატიაში და აღნიშნულია, რომ თბილისის საკონცერტო დარბაზში უკრაინელი ანდრეი შევჩენკოც იმყოფება, ანჩელოტის გუნდის კიდევ ერთი დიდი ფეხბურთელი, რომელსაც „მილანში“ თამაშისას 175 გოლი აქვს გატანილი.

„ის კიევიდან თავისი დიდი ხნის მეგობრის მხარდასაჭერად ჩავიდა და ტაშით შეხვდა კახას მგზნებარე გამოსვლას: „მისი ნათქვამიდან არაფერი მესმოდა, მაგრამ ხალხის ენთუზიაზმით მივხვდი, რომ ის გულით საუბრობდა“. ეს ის ენთუზიაზმია, რომელმაც აიძულა კახა კალაძე, ხელი ჩამოერთვა, სანამ ბერლუსკონის რომელიმე თვითმფრინავზე ფეხს ხელახლა შედგამდა. დღეს პელიში, გენუის მთავარ უბანში, წრთვნაა, კახაბერ კალაძის პირველი წრთვნა“, – ვკითხულობთ სტატიაში.

## „სააკაშვილი ჯორჯ ვაშინგტონივით უნდა მოიქცეს“

უცხოურმა გამოცემებმა ყურადღების მიღმა არც ირაკლი ალასანია დატოვეს. გამოცემა ვაშინგტონ ტაიმსი მასთან დაკავშირებით სტატიას აქვეყნებს. ამ სტატიის თარგმანს საიტი ფორეიგნპრესი გვთავაზობს.

აი რას წერს ავტორიტეტული გამოცემა:

საქართველოს ოპოზიციური პარტიის ლიდერი ქვეყნის პრეზიდენტს მოუწოდებს „ჯორჯ ვაშინგტონივით მოიქცეს“ და მეორე საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ პოლიტიკიდან წავიდეს.

ყოფილ საბჭოთა ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნები მომავალ ოქტომბერშის, ხოლო საპრეზიდენტო არჩევნები ერთი წლის თავზე ჩატარდება. ბევრი დამკვირვებელი ვარაუდობს, რომ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა შეიძლება რუსეთის და ვლადიმერ პუტინის მაგალითს მიბაძოს – პრეზიდენტის პოსტი დატოვოს, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ პრემიერ-მინისტრი გახდეს.

ახალმა შესწორებამ კონსტიტუციაში, რომლის თანახმადაც პრემიერ-მინისტრის ძალაუფლება პრეზიდენტისას აღემატება, სპეკულაცია წამოჭრა იმასთან დაკავშირებით, რომ სააკაშვილს პრემიერის პოსტზეც თვალი უჭირავს.

„ჩემი აზრით, საქართველოსთვის არამომგებიანი იქნება თუკი ის (სააკაშვილი) ხელისუფლებაში დარჩება“, – განაცხადა ოპოზიციური პარტიის „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ ინტერვიუში.

„ჩემი აზრით, მან გათვალა და ეს ცვლილება ძალაში 2013 წელს იმიტომ შევა, რომ მას არჩევანი ჰქონდეს. თუმცა, მე მწამს, რომ მისი პოლიტიკური კარიერისთვისაც და საქართველოსთვისაც აჯობებს თუ სააკაშვილი ჯორჯ ვაშნგტონივით მოიქცევა, მეორე ვადის ამოწურვის შემდეგ წავა და საქართველოს მოსახლეობას ახალი ლიდერის არჩევის საშუალებას მისცემს.“

ვაშინგტონი პოლიტიკიდან 1797 წელს, მეორე ვადის დასრულების შემდეგ წავიდა.

სააკაშვილმა საპრეზიდენტო ვადის ლიმიტით საკუთარი თავის შეზღუდვაზე უარი განაცხადა, იმ მიზეზით, რომ ეს შეზღუდვა მის პოზიციას პოლიტიკაში, ვადის ამოწურვამდე ორი წლით ადრე, დაასუსტებდა.

2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, სააკაშვილის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ქვეყნის პოლიტიკას მართავს. პარლამენტის 150 წევრიდან 119 ამ პარტიას ეკუთვნის. ალასანია მათ „მორჩილ პარლამენტარებს“ უწოდებს.

2008 წელს, როდესაც საქართველოს სეპარატისტული რეგიონების სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის გამო რუსეთთან ომი ჰქონდა, 37 წლის ალასანია, საქართველოს ელჩი იყო გაეროში.

„ჩემი აზრით ომის თავიდან აცილება შეიძლებოდა“ განაცხადა მან, აჯანყებულ რეგიონებთან სერიოზული მოლაპარაკების თემაზე მსჯელობისას.

„თუ აფხაზეთთან და ოსეთთან იმაზე მოლაპარაკება გვინდა, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ საერთო საზღვრებში, დიალოგზე უნდა წავიდეთ“, – განაცხადა მან და დასძინა, რომ საქართველომ „აუცილებლად უნდა გააგებინოს მათ, რომ რუსეთის ალტერნატივა არსებობს.“ რუსეთს ამჟამად ამ პროვინციებში ათასობით „მშვიდობისმყოფელი“ ჰყავს.

საქართველოს მთავრობამ სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის ადგილობრივ ლიდერებთან მოლაპარაკებებზე უარი განაცხადა და მათ რუსეთის მარიონეტები უწოდა, რომლებიც ხელისუფლებაში უკანონო არჩევნების გზით მოვიდნენ და რომლებმაც ასი ათასობით ქართველი გამაძევეს და რეგიონში ეთნიკური წმენდა ჩაატარეს.

„რადგან იძულებით გადაადგილებული ქართველები ელექტორატში არ შედიოდნენ, ამ ლიდერებს ლეგიტიმურებს ვერ ვუწოდებთ. ასე რომ ყველა, ვინც ამბობს, რომ ეგრედწოდებულ დეფაქტო მთავრობას ლეგიტიმურობა უნდა მივანიჭოთ, ცდება“, – განაცხადა ირაკლი ფორჩხიძემ, საქართველოს მინისტრის მოადგილემ რეინტეგრაციის საკითხებში. სწორედ ეს სამინისტრო მართავს საქმეებს კონფლიქტში მონაწილე მხარეებთან.

„ალასანიას მიერ გაკეთებულ ამ ანალიზს რეალური ფაქტების გადამოწმება არ აწყენდა, რადგან რეალობა ის არის, რომ რუსეთი ზედმიწევნით აკონტროლებს ყველაფერს, რაც იქ ხდება. ასე რომ, ვერც აფხაზი და ვერც ოსი (ოფიციალური პირები) ვერასდროს მიიღებენ გადაწყვეტილებას რუსეთის მითითებების გარეშე.“

# ვალერიან გორგილაძე: „დაუნდობელი და სასტიკი ორთაბრძოლის მოწმენი გავხდებით“

**საქართველოში შექმნილ ახალ პოლიტიკურ რეალიებსა და საზოგადოებრივ აზრში მომხდარ ცვლილებებზე „ინტერპრესნიუსი“ ანალიტიკურ ჯგუფ „ტერრა-მედიას“ გენერალურ დირექტორს, სოციოლოგ ვალერიან გორგილაძეს ესაუბრა.**

*— ბატონო ვალერიან, როგორ შეაფასებდით „ქართული ოცნების“ ოფიციალურად დაფუძნების შემდეგ ქართულ პოლიტიკაში არსებულ ვითარებას?*

— ქვეყანაში გაჩნდა ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრი და ეს უდავოდ პოზიტიური მოვლენაა, თუმცა ჯერ არ ჩანს ალტერნატიული პოლიტიკური პროექტი. ვისურვებდი, რომ მოქალაქეებს მოეხდინათ არჩევანი არა მხოლოდ პოლიტიკური ძალების, პერსონალიების, არამედ იდეების, ქვეყნის განვითარების სტრატეგიებს შორის.



ვალერიან გორგილაძე

*— „ქართული ოცნების“ დაფუძნებაზე დიამეტრალურად განსხვავებული მოსაზრებები გამოითქმის. გაგვიზიარეთ თქვენი შთაბეჭდილებები ახალდაფუძნებულ მოძრაობასა და მის სავარაუდო პერსპექტივაზე?*

— ოდნავ მოსაწყენი, მაგრამ კარგად შეფუთული, ოდნავ მოულოდნელიც — მოსაწყენი იყო ის, ვისგანაც მონოტონურობას ნაკლებად ველოდებოდი, ხოლო მგზნებარე, ემოციური, ზომიერად პოპულისტური და კარგად სტრუქტურირებული გამოსვლა ჩემთვის მოულოდნელად ჰქონდა პიროვნებას, რომლის ორატორულ ნიჭში სერიოზული ეჭვი შემქონდა. ვგულისხმობ კახი კალაძეს და მის გამოსვლას. რაც შეეხება ამ მოძრაობის პერსპექტივებს ცნობილია, რომ უახლოეს პერიოდში ეს მოძრაობა ტრანსფორმირდება პოლიტიკურ ორგანიზაციად და ალბათ მომავალი საარჩევნო კოალიციის საპრეზენტაციო ბირთვად იქცევა.

*— ამას წინათ გამოქვეყნებულ სოციოლოგიურ კვლევის შედეგებზე დიამეტრალურად განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა. ბევრი აზრი კი მოვისმინეთ, მაგრამ საინტერესოა თქვენ რას იტყოდით საზოგადოებრივ აზრში მომხდარ ცვლილებებზე?*

— ძირითად ბაზისურ მაჩვენებლებში ორივე კვლევა პრაქტიკულად იდენტურ სურათს იძლევა და ამ გარემოებას, ერთ-ერთი კვლევის ავტორიც იაგო კაჭკაჭიშვილიც აღნიშნავს. თუმცა ჩემთვის გაუგებარია, რა მიზანს ემსახურებოდა გია ხუხაშვილის მიერ დაფუძნებული ინსტიტუტის ამ კვლევის პრეზენტაცია. სოციოლოგიურ კვლევას ორი ძირითადი მიზანი აქვს — კვლევიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე სტრატეგიების შემუშავება და მეორე — საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედება ან მოსახლეობაში გარკვეული განწყობების შექმნა.

არ მესმის, რის გაპიარებას და რა საზოგადოებრივი განწყობის შექმნას ითვალისწინებდა ეს პრეზენტაცია, როდესაც ამ შედეგების მიმართ არსებული მოლოდინი ბევრად აჭარბებდა იმ განწყობას, რომელიც შეიქმნა ამ პრეზენტაციის შემდეგ. ანუ, მარტივად რომ ვთქვათ — რა აზრი ჰქონდა თავისივე კვლევაში საკუთარი მეორე ადგილის გაპიარებას. ბუნებრივია, ეს პრეტენზია აბსოლუტურად არ ეხება იაგო კაჭკაჭიშვილს, რომლის პროფესიული რეპუტაცია და კვალიფიკაცია არანაირ ეჭვს არ იწვევს. ჩემი პრეტენზია მეტად ეხება იმ პერსონალიებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მოძრაობის პიარ-უზრუნველყოფაზე და საინფორმაციო მხარდაჭერაზე.

რაც შეეხება საზოგადოებაში მომხდარ ცვლილებებს, ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი რომელიც გამოაშკარავა კაჭკაჭიშვილის კვლევამ, არის უპრეცედენტოდ მაღალი აქტიურობა, რომელსაც იჩენდნენ რესპონდენტები პოლიტიკური პარტიების და ორგანიზაციების არჩევისას. ეს მნიშვნელოვანი და ძალზედ პოზიტიური ცვლილებაა. მოსახლეობა უნდა გათავისუფლდეს სხვადასხვა საფუძვლიანი თუ უსაფუძვლო ფობიებისგან.

*— პრესაში და ტელევიზიით ხშირად გაიგონებთ ივანიშვილის მისამართით კრიტიკას იმის გამო, რომ „ქართული ოცნების“ დაფუძნებას შევარდნაძის ყოფილი გუნდის ბევრი წევრი ესწრებოდა. თქვენი აზრით, რას შეიძლება ნიშნავდეს ამ თემაზე ატეხილი აჟიოტაჟი და ხმაური?*

— შეგახსენებთ, რომ ქვეყნის პრეზიდენტიც და მოძრაობა „ქართული ოცნების“ პრეზენტაციაზე მისული ისტებლიშმენტის დიდი ნაწილი, არც თუ ისე შორეულ წარსულში ასევე წარმოადგენდა შევარდნაძის გუნდს. ჩვენ არ ვართ ჰუმანოიდები, თუმცა ზოგი ნამდვილად ტოვებს ამ შთაბეჭდილებას და უნდა გვესმოდეს, რომ არსებული პოლიტიკური კლასის ძირეულ გადახალისებას ათეული წელი დასჭირდება.

*— მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილმა საგარეო ვექტორთან დაკავშირებით პოზიცია თავისივე სიტყვაში მკაფიოდ ჩამოაყალიბა, „ქართული ოცნების“ მიზნად ევროკავშირსა და ნატო-ში გაწევრიანება დაასახელა, ტელევიზიების უმრავლესობა სულ იმ აზრის დამკვიდრებას ცდილობს, რომ ივანიშვილი „რუსული პროექტია“. თქვენი აზრით, რატომ?*

— ეს არახალია და მგონია, რომ ამის გაგებაც რთული არ უნდა იყოს. პოლიტიკური რუსოფობია ჩვენს პოლიტიკურ ტრადიციად იქცა. გაიხსენეთ გამსახურდიას პოლიტიკური რიტორიკა ოპონენტების მიმართ. გაიხსენეთ, როგორ ქმნიდა მტრის ხატს შევარდნაძე და სხვათაშორის მისი იმ დროინდელი პოლიტიკური გუნდი — აბაშიძის „აღორძინების კავშირისაგან“ და ნათელი გახდება, რომ ეს არის ჩვენი პოლიტიკური დიაგნოზი. ამასთან ერთად, რუსეთში განვითარებული მოვლენების ფონზე და ამ მოვლენებიდან გამომდინარე შესაძლო რისკების შეფასება უნდა გვაძლევდეს საბაბს, რუსეთის მიმართ ფრთხილი და არაკონფრონტაციული რიტორიკის შემუშავებაში.

*— ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენის შემდეგ ბევრი საუბრობს, რომ საქართველოში ორი პოლიტიკური ცენტრი უკვე ჩამოყალიბდა — სახელისუფლო და ივანიშვილის „ქართული ოცნება“. თქვენი აზრით, რამდენად საფუძვლიანია მტკიცება, რომ მოქალაქეებს საპარლამენტო არჩევნებზე არჩევანის გაკეთება სააკაშვილსა და ივანიშვილს შორის მოუწევთ? სააკაშვილი ან ივანიშვილი, — ასეთია არჩევანი?*

— რა ქნას იმ ამომრჩეველმა, რომლის პოლიტიკურ გემოვნებას არ აკმაყოფილებს არც „ნაციონალური მოძრაობა“ და არც მომავალი კოალიცია, სხვადასხვა ფაქტორების გამო. პასუხად გაიგებთ, რომ გარდა ამ ორი პოლიტიკური ძალისა არიან „ლეიბორისტები“ ან „ქრისტიან — დემოკრატები.“ და სწორედ აქ ვაწყდებით მესამე პოლიტიკური ცენტრის დეფინიციის შექმნის აუცილებლობას. მესამე პოლიტიკური ცენტრი არ უნდა იქმნებოდეს რომელიმე პოლიტიკური ორბიტის არსებული სატელიტებიდან. ის უნდა იქმნებოდეს დამოუკიდებელი, პრინციპული, არაკომპრომიტირებული ეროვნული ძალისგან, რომელსაც შესწევს უნარი ინტელექტუალების, ნონკომფორმისტების, ჩანასახში არსებული საშუალო კლასიის წარმომადგენლების გაერთიანებისა.

მართალია, რომ მესამე ძალის ტრადიცია არ ახასიათებს ჩვენს პოლიტიკურ კულტურას, თუმცა შეგახსენებთ, რომ ბიპოლარულ პოლიტიკური სისტემას ჩვენში ერთი თავისებურება ახასიათებს — ორთაბრძოლაში ერთი გამარჯვებული ძალა იოლად და სასტიკად უსწორდება მეორეს და აცამტვერებს მას. მესამე პოლიტიკური ცენტრი უნდა წარმოადგენდეს არა ერთი რომელიმე პოლიტიკური ცენტრის მიერ მანიპულირებად აქტორს, არამედ ქვეყნის პოლიტიკური სისტემის მდგრადობის და ბალანსის მნიშვნელოვან ელემენტს. და კიდევ ერთი, თუ უახლოეს პერიოდში, ვგულისხმობ ორ— სამ თვეს, მსგავსი ცენტრი არ შეიქმნება, ჩვენ დიდი ალბათობით გავხდებით მოწმენი შემდგომი პოლარიზაციის, დაუნდობელი და სასტიკი ორთაბრძოლის, რომელმაც შესაძლოა შიდა სამოქალაქო კონფრონტაციაც კი გამოიწვიოს.

**ინტერპრესნიუსი**

# ლალი ლეკიშვილი: „ძნელად აღსაზრდელთა სკოლაში თავისი შვილები ჯერ შაშკინმა გაუშვას“

თბილისის 53-ე საჯარო სკოლიდან ორი თვის წინ გარიცხულ მიხეილ ალექსიძეს ამ დრომდე არცერთ სკოლაში არ იღებენ. მიზეზად კი განათლების სამინისტროს მიერ გაცემულ ბრძანებას ასახელებენ. 53-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებსა და დირექტორს შორის სიტყვიერი დაპირისპირების შემდეგ, დირექტორის მოთხოვნის საფუძველზე მოსწავლეების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე ჯგუფური ხულიგნობის მუხლით აღიძრა. აღნიშნულთან დაკავშირებით განათლების მინისტრმა იმ დღესვე გააკეთა განცხადება, რომ ქურდული და ქუჩური მენტალიტეტი ქართულ სკოლებში არ იქნება და თუ ვინმეს აქვს პრეტენზია, ამ პრობლემას სამართალდამცავი ორგანოები მოაგვარებენ.

საქმის დღევანდელი ვითარების გასარკვევად „მედიანიუსი“ მიხეილ ალექსიძის დედას ლალი ლეკიშვილს დაუკავშირდა.

*— ქალბატონო ლალი, რამდენმა სკოლამ თქვა უარი თქვენი შვილის მიღებაზე და რა მიზეზები დაასახელეს?*

— ბავშვი ორი თვის განმავლობაში სახლშია, რადგან ამ პერიოდში მივმართე ახლოს მდებარე ხუთ საჯარო სკოლას და არცერთმა მოგვცა თანხმობა მიღებაზე. თითით მიანიშნებენ ზევით და ამბობენ, რომ მითითება გვაქვს და თუ მოგვცემს სამინისტრო ნებართვას, მივიღებთ სასწავლებელში. სამინისტროს მიერ დირექტივაა გაცემული. ქურდული მენტალიტეტით — ასეთი ბინძური იარლიყით 15 წლის ბავშვს რომ მონათლავ, რასაკვირველია, მერე ყველა სკოლა თავს შეიკავებს მისი მიღებისაგან.

*— ხომ არ გთავაზობთ სამინისტრო, რომ თქვენი შვილი ძნელად აღსაზრდელთა გამოსასწორებელ სკოლაში გადაიყვანოთ?*

— ძნელად აღსაზრდელთა სკოლაში ჯერ შაშკინმა გაუშვას თავისი შვილები, მერე შავშიშვილმა მიაყოლოს და საყურეს და ბლანჟესაც თუ გაუკეთებენ თავიანთ შვილებს, აი, მაშინ მართლა ასეთ სკოლაში იქნებიან გადასასვლელები. შემირცხვენია ის საქართველო, სადაც ასეთი დირექტორები მართავენ სკოლას. არსებობს მეგობრების, დირექტორის, მეზობლების დახასიათებები. ძნელად აღსაზრდელი კი არა, კაცია ალექსიძე! ვაჟკაცი! ალექსიძის გულისთვის კანონი მიიღეს პარლამენტში. სამარცხვინოა! კანონი მიიღეს, რომ ძნელად აღსაზრდელი ბავშვები გადაიყვანონ სამტრედიის გამოსასწორებელ სკოლაში. შაშკინმა წაიყვანოს იქ თავისი შვილები.

მე მეგონა, რომ დავეჯახე ერთ უგუნურ დირექტორს და აღმოჩნდა, რომ დავეჯახე მთელს სისტემას. ეს არის ჩემი უბედურება. მეგონა, რომ ქვეყანა რაღაცა წინ მიდიოდა, თურმე წინ კი არ მიდის, იხრჩობა. 15 წლის ბავშვს რომ დაეჯახება სახელმწიფო, შემირცხვენია ის საქართველო! ალბათ მოვა ის დრო, როდესაც ალექსიძისნაირი „კრიმინალები“ საქართველოს სასიკეთოდ გამოადგება.

*— სახალხო დამცველის რეკომენდაციაზე თუ იყო რაიმე გამოხმაურება სამინისტროს მხრიდან?*

— სახალხო დამცველმა ძალიან ობიექტური დასკვნა დადო. მიმართა განათლების სამინისტროს რეკომენდაციით და მე მინდა მადლობა ვუთხრა სახალხო დამცველის აპარატს. დასკვნაში მითითებულია, რომ დაირღვა ბავშვთა უფლებების კონვენცია არაერთი მუხლით, რომ დაირღვა კონსტიტუცია არაერთი მუხლით და მითითებულია, რომ დირექტორმა მიიღო უკანონო გადაწყვეტილება და მთელი რიგი პროცედურებია დარღვეული. რეკომენდაციაზე კი რეაგირება არ ყოფილა.

**მედიანიუსი**

# გრიგოლ ვაშაძემ დიდ ბრიტანეთში შეხვედრები გამართა

დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში სამუშაო ვიზიტით მყოფი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძემ შეხვედრები გამართა გაერთიანებული სამეფოს საგარეო და თანამეგობრობის სახელმწიფო მდივანთან უილიამ ჰეიგთან, ევროპულ საქმეთა სახელმწიფო მინისტრთან დევიდ ლიდინგტონთან, თემთა პალატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარესთან რიჩარდ ოტავეისთან, თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარესთან ჯეიმს არბუტნოტთან, უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარესთან მალკომ რიფკინდთან, საქართველოს საკითხებზე მომუშავე ინტერპარტიული საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარესთან დენის მაკშეინთან და საგარეო საქმეთა ჩრდილოვან მდივანთან დაგლას ალექსანდერთან.



გრიგოლ ვაშაძე

საქართველოს საგარეო უწყების ცნობით, ვასაძემ მადლობა გადაუხადა გაერთიანებული სამეფოს საგარეო და თანამეგობრობის სახელმწიფო მდივანს ბრიტანეთის მთავრობის მიერ როგორც ორმხრივ, ასევე საერთაშორისო არენაზე საქართველოს მიმართ გაწეული მხარდაჭერისა და თანადგომისათვის.

თავის მხრივ, გაერთიანებული სამეფოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა კიდევ ერთხელ გამოხატა ბრიტანული მხარის ერთმნიშვნელოვანი მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი. მან ხაზი გაუსვა ავღანეთში ნატო-ს ეგიდით მიმდინარე ISAF-ის სამშვიდობო ოპერაციაში ქართული კონტინგენტის მონაწილეობის მნიშვნელობას და დადებითად შეაფასა საქართველოში ბოლო პერიოდში განხორციელებული პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები.

გაერთიანებულ სამეფოში შეხვედრებისას, მხარეებმა განიხილეს საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები, მათ შორის საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის და საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში თანამშრომლობის ძირითადი საკითხები. ბატონმა გრიგოლ ვაშაძემ ბრიტანულ მხარეს გააცნო ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების, ეკონომიკური რეფორმების, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობისა და რეგიონში ვითარების შესახებ.

ვიზიტის ფარგლებში ასევე დაგეგმილია გრიგოლ ვაშაძის სიტყვით გამოსვლა დიდი ბრიტანეთის თავდაცვისა და უსაფრთხოების სწავლებათა სამეფო ინსტიტუტში.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტის პარალელურად, 15 დეკემბერს ლონდონში გაიმართა ორმხრივი პოლიტიკური კონსულტაციები საქართველოსა და გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის, დეპარტამენტების დირექტორების დონეზე.

შეხვედრის დროს ხაზი გაესვა ორმხრივი ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავების აუცილებლობას, საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის დღის წესრიგში არსებულ ძირითად პრიორიტეტებს და შემდგომი განვითარების პერსპექტივებს, საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურაში ინტეგრაციის პროცესს. ბრიტანულ მხარეს მიეწოდა ინფორმაცია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობის შესახებ და დეტალურად იქნა განხილული საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში მიმდინარე თანამშრომლობის აქტუალური საკითხები. ყურადღება გამახვილდა მხარეებს შორის რეგულარული ორმხრივი პოლიტიკური კონსულტაციების გამართვის მნიშვნელობაზე.

**მედიანიუსი**

# პარლამენტის საშემოდგომო სესია ბიუროს სხდომით ოფიციალურად დაიხურა

პარლამენტის საშემოდგომო სესია ბიუროს სხდომით ოფიციალურად დაიხურა. როგორც პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ განაცხადა, რეგლამენტის თანახმად, საშემოდგომო სესია სწორედ დეკემბრის მესამე პარასკევს პლენარული, ან ბიუროს სხდომით იხურება. იმის გამო, რომ მიმდინარე კვირა საკომიტეტო იყო, სესია ბიუროს სხდომით დაიხურა. თუმცა, როგორც ბაქრაძე აცხადებს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ პარლამენტი მუშაობას ასრულებს.

მისი თქმით, მომავალი კვირიდან უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო რიგგარეშე სესიების ფორმატით განაგრძობს საქმიანობას და წლის ბოლომდე, სულ ცოტა, სამი რიგგარეშე სხდომა ჩატარდება.

ბიუროს მომდევნო, უკვე რიგგარეშე სხდომა მომდევნო ორშაბათის ნაცვლად, უკვე სამშაბათს გაიმართება, რის შემდეგაც პარლამენტის რიგგარეშე სხდომა ჩატარდება.

პარლამენტის საგაზაფხულო სესია კი ოფიციალურად თებერვლის პირველ სამშაბათს გაიხსნება.

**მედიანიუსი**

# „მაესტროს“ თანამშრომლებმა პოლიციის შენობასთან საპროტესტო აქცია გამართეს

თბილისში, ნუცუბიძის პირველი მიკრორაიონის პირველ კვარტალში მდებარე პოლიციის შენობასთან ტელეკომპანია „მაესტროს“ თანამშრომლებმა საპროტესტო აქცია გამართეს. მათ სოლიდარობა გამოუცხადეს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებმა. აქციაში მონაწილეობდნენ ეროვნული ფორუმის ლიდერი კახა შარტავა, პარლამენტარი დიმიტრი ლორთქიფანიძე, კონსერვატორი ლაშა ჩხარტიშვილი, წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერი სოსო მანჯავიძე, გოგა ხაინდრავა, ექსპერტი სოსო ცისკარაშვილი და რამდენიმე მედიასაშუალების ჟურნალისტი. აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორის, „მაესტროს“ დამფუძნებლის მამუკა ღლონტის განცხადებით, ისინი პოლიციას მოუწოდენენ, ნუცუბიძის ქუჩაზე მდებარე „მაესტროს“ ოფისში უკანონოდ შეჭრილი „რუსთავის მედიის მართვის კომპანიის“ ხელმძღვანელი ეროსი კიწმარიშვილი და მისი თანმხლები პირები შენობიდან გამოასახლონ. ეს სწორედ პოლიციის ფუნქციაში შედის. ღლონტის თქმით, კიწმარიშვილის უკან საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დგას.

„30 ნოემბერს „მაესტროს“ ლობეზე არა ეროსი კიწმარიშვილი, არამედ მიხეილ სააკაშვილი გადმოძვრა. სწორედ ის არის ამ ყველაფრის თავი და თავი;“ — განაცხადა ღლონტმა.

მისივე თქმით, მომდევნო საპროტესტო აქცია სამშაბათს 15.00 საათზე პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან გაიმართება. ეროსი კიწმარიშვილი ამაოდ ცდილობს, რომ „მაესტროს“ ირგვლივ განვითარებული მოვლენები ორ სუბიექტს შორის არსებულ დავად წარმოაჩინოს, რადგან ასეთ შემთხვევებში საქმე როგორც წესი სასამართლოში ირჩევა ხოლმე, ახლა კი ეროსი კიწმარიშვილს უკანონოდ აქვს სხვისი საკუთრება დაკავებული და სააკაშვილი ამის უფლებას აძლევს, შესაბამისად, ეს არის სააკაშვილის ბრძოლა „მაესტროს“ წინააღმდეგ.

**მედიანიუსი**



# რატომ ითვლიან ბიძინა ივანიშვილის 7-იანებს და რა გააკეთა სააკაშვილმა 8 წელიწადში

შალვა ჯოხაძე

ბიძინა ივანიშვილი და მიხეილ სააკაშვილი – დღეს ქართულ რეალობაში ამ ადამიანებზე აქტუალური პერსონები არ არსებობს. აქტუალობაში იმას არ ვგულისხმობთ, ვინ დადებითია და ვინ უარყოფითი, საზოგადოების რომელი ნაწილისთვის არის ან ერთი, ან მეორე მეტად მისაღები თუ მიუღებელი. ფაქტია, ლამის უთოს რომ ჩართავთ, ან სააკაშვილის ხმა ისმის, ან ბიძინა ივანიშვილის შესახებ ვრცელდება მორიგი ინფორმაცია. ქართული ინტერნეტფორუმებიც არ არის გამონაკლისი და აქაც იგივე თემები ტრიალებს, რაც საზოგადოებაში განიხილება. ჩვენ თბილისის ფორუმზე – ფორუმ.გე-ზე გახსნილი ორი თემით დავინტერესდით. ერთი თემა ბიძინა ივანიშვილს ეხება, მასში ძალიან უცნაური მოსაზრებებია გადმოცემული, მეორე კი – სააკაშვილს. ფორუმელები ბჭობენ, მაინც, რა გააკეთა ქვეყნის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა მმართველობის 8 წლის განმავლობაში.

თავდაპირველად, იმ უცნაური თემით დავიწყებთ, რომელიც თბილისის ფორუმის ერთ-ერთმა მომხმარებელმა გახსნა.

– ეს თემა წმინდა პოლიტიკურ-საზოგადოებრივია არც ჭორებზეა აგებული და მხოლოდ ჩემი დაკვირვებების შედეგად იშვა.

მოკლედ, რაც დრო გადის, სულ უფრო მიძლიერდება გრძნობა, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილი კაბალას მიმდევარია, თუმცა ამის მტკიცებას ვერ მოვყვები, მაგრამ რამდენიმე მინიშნება ამაზე, მგონია, უკვე ხელშესახებია.

მაგალითად, ამას მაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ივანიშვილებს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ ციფრი 7-ის მიმართ, რომელიც კაბალაში (შეიძლება თქვათ, რომ სხვაგანაც) განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

**მაგალითად:**

„ქართული ოცნების“ სიმბოლო არის 7 ქიმიანი (იმაზე ქვემოთ, თუ კიდევ რას განასახიერებს ეს სიმბოლო);

7 ოქტომბერს გააკეთა პირველი პოლიტიკური განცხადება, იმის მიუხედავად, რომ ადვილი მისახვედრი იყო, სარკოზის ვიზიტის ფონზე და პარასკევ დღეს ამგვარი ქმედება არაეფექტური იქნებოდა;

ბერა ივანიშვილი კლიპში „გპირდები“ ხაზს უსვამს, რომ დაიბადა მე-7 პალატაში;

11 დეკემბერს, შალვა რამიშვილის გადაცემაში „აკრედიტაციის გარეშე“ ბერა ასევე ხაზგასმით მიანიშნებს, რომ მისი ვარსკვლავი არის 7 ქიმიანი;

11 დეკემბერს, ფილარმონიაში გამართულ „ქართული ოცნების“ პრეზენტაციაზე ბიძინა ივანიშვილი დარბაზში იმ დროს შევიდა, როცა სამს აკლდა 7 წუთი (ციტატა სტატიიდან: ბიძინა ივანიშვილი მეუღლესთან, ეკატერინე ხვედელიძესთან ერთად დარბაზში რომ შემოვიდა, სამს 7 წუთი აკლდა).

ახლა კი იმაზე, თუ რა არის გამოსახული „ქართული ოცნების“ ლოგოზე:

„ქართული ოცნების“ ლოგოდ გამოყენებული 7 ქიმიანი ვარსკვლავი – ჰეპტაგრამა, კაბალას ყველაზე გავრცელებული სიმბოლოა, რომელიც მოგვიანებით ცნობილმა კაბალისტმა, მაგმა და ჯაშუშმა, ალისტერ კროულიმ მის მიერ დაარსებული „აღმოსავლეთის ტაძრის ორდენის“ სიმბოლოდ აქცია და „ბაბილონის ვარსკვლავის“ სახელწოდება მიანიჭა.

აღსანიშნავია, რომ შვიდიანს კაბალაში განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია. კროულის ყველაზე ცნობილი ნაშრომი ატარებს სახელწოდებას „777 და ალისტერ კროულის სხვა ჩანაწერები“.

ასევე, ძალიან საინტერესოა კიდევ ერთი სიმბოლო ლოგოზე – წრიული წარწერა „ქართული“ და „ოცნება“ ერთმანეთისგან გამოყოფილია ორი პატარა „ვარდის ჯვრის“ ფორმის სიმბოლოთი, რომელსაც როზენკროიცერების ორდენი იყენებდა. „ვარდის ჯვრის“ სიმბოლოს იყენებდა ალისტერ კროულიც და მის მიერ ჩამოყალიბებულ ორდენში ის მეხუთე ხარისხს – ვარდის ჯვრის პრინცი – შეესაბამება. კროულის ორდენში სულ ათი ძირითადი ხარისხია.

ამ ყველაფერს თუ დავამატებთ უცნაურ შემთხვევას, რომელიც ოკულტიზმს უკავშირდება და ბიძინას კუთვნილი ოკულტური ქვების ჩამორთმევას ეხება, მგონი რაღაც გამოკვეთილ კონტურებს მივიღებთ.

შეიძლება მავანი შემომედავოს, რომ ეს ყველაფერი კაბალიზმი არაა და რაღაც სხვასთან გვაქვს საქმე, მაგრამ საინტერესო რომაა, ალბათ, დამეთანხმებით, – წერს ფორუმ.გე-ს ერთ-ერთი იუზერი.

სანამ დანარჩენი ფორუმელების რეაქციებზე ვისაუბრებდეთ, მოდით, გავიგოთ, მაინც რა არის ეს კაბალა. ამაზე იმავე ფორუმის სულ სხვა თემაში ვკითხულობთ.

– კაბალა არის ზეპირი გადმოცემა იმ რელიგიური ცნებებისა, რომლებიც ებრაელებს გაუჩნდათ რელიგიური კანონების წერილობით გადმოცემამდე, ვიწრო გაგებით, კაბალა მისტიკური ხასიათის ჩანაწერების კრებულია.

ითვლება, რომ კაბალა ხელს უწყობს ადამიანში დადებითი ენერგიების მოზღვავებას და დაბერების პროცესის დამუხრუჭებაც კი შეუძლია.

კაბალისტებს მიაჩნიათ, რომ უარყოფითი მუხტის გასაფანტად არსებობს მრავალი სხვადასხვა მეთოდი და მეტად განსაცვიფრებელ ხერხებსაც მიმართავენ, რაც ზოგს სატანისტების რიტუალებსაც აგონებს...

ბევერლი ჰილზის ბინადრებს შორის, საიენტოლოგიასთან ერთად (რომლის მიმდევარიც გახლავთ ტომ კრუზი), კაბალიზმმაც დიდი პოპულარობა მოიპოვა, მის მიმდევართა შორის არიან: მადონა, გაი რიჩი, მიკ ჯაგერი, ნაომი კემპბელი, გოლდი ჰოუნი, ლიზ ტეილორი, ბრიტნი სპირსი, გვინეტ პელტროუ, კორტნი ლავი, დევიდ და ვიქტორია ბექჰემები, დემი მური და ეშტონ კათჩერი და სხვები.

მადონამ ბიბლიაში მოხსენიებული უძველესი დედოფლის პატივსაცემად სახელიც გადაირქვა და ესთერი დაირქვა.

მოდაში შემოვიდა კაბალისტური ქორწილებიც, მარცხენა ხელზე წითელი ძაფის მიმაგრება და მადონამ გახსნა პირველი კაბალისტური სკოლაც, სადაც მხოლოდ სექტაში გაწევრიანებულთა შვილები მოხვდებიან და ბავშვებს კაბალიზმს შეასწავლიან. თვითონ მადონა, ბევრი თანამოაზრის მსგავსად, კაბალას სამშობლოში, ისრაელის ქალაქ ცფათში აპირებს გადაბარგებას.

ცნობილი ვარსკვლავების ასეთი აქტიურობით, მათ თაყვანისმცემელთა შორისაც აქტიურადაც გავრცელდა კაბალიზმი და კონსერვატი კათოლიკების კრიტიკაც დაიმსახურა, – წერია ფორუმზე.

აი, ივანიშვილის შესახებ გამოთქმული მოსაზრებების ირგვლივ რეაქციებს რაც შეეხება, ბევრი ამ თემას ირონიით შეხვდა და ეს არც არის გასაკვირი.

– პრესკონფერენციაზე შვიდჯერ მოსვა წყალი.

სინამდვილეში შვიდი მილარდი აქვს, შვიდ ოთახში ჩაკეტილი, თითოეული მილიარდი შვიდ ტომარაში, ტომარაში შვიდ შვიდი მუთაქაა. კვირაში შვიდი დღეა!

ერთხელ ბიძინას ბავშვობაში ჰკითხეს, შვიდჯერ შვიდი გაყოფილი შვიდზე რამდენიაო, უპასუხა შვიდიო. თექვსმეტობანას ნაცვლად შვიდობანას თამაშობდა... – ხუმრობის ხასიათზე დადგა ერთ-ერთი ინტერნეტმომხმარებელი.

თუმცა ზოგიერთი ამ თემაზე სავსებით სერიოზულად ალაპარაკდა:

– ადამიანი, რომელსაც აქვს გარკვეულ სიმაღლეებზე პრეტენზია, ამბიცია, კაბალასაც უნდა გაეცნოს, სუფიზმსაც, გნოსტიციზმსაც, ეზოთერულ ქრისტიანობასაც, მორალსაც,

გათვითცნობიერებული უნდა იყოს რამას, კრიშნას, ჰერმესის, მოსეს, ოზირისის, ორფეოსის, პითაგორას, პლატონის, იესოს მოძღვრებებში.

სანამ ფორუმზე ბიძინა ივანიშვილის 7-იანებს ითვლიან, სააკაშვილის 8-წლიანი მმართველობის შეფასებას იწყებენ.

– ქართული გააკეთა რამე, ერისა და ქვეყნისთვის სასარგებლო, წინ რამით წაიყვანა ქვეყანა? გაზი, დენი და ასფალტი არ იგულისხმება, არც შადრევნები, – ასეთი კითხვა დაისვა ფორუმ.გე-ზე.

– არაფერი, გარდა იმისა, რომ მოაჯდა ქვეყანას, ტერიტორიები დაკარგა, ხალხი უკიდურესად გაალარიბა, ნაშები აყარა, ფული იშოვა, კაი ჭამა, კაი სვა, იგრიალა...

ჰო, კიდევ, შენობები შეღება და ბევრი იყვირა, დღესაც აგრძელებს და კიდევ 10 წელი გააგრძელებს იგივეს, – მიაჩნია ერთ-ერთ იუზერს.

– ქვეყნის ფასი აწია, თუმცა 2007 წლის ბოლოდან კლება მიმდინარეობს და სულ უფრო და უფრო ვკარგავთ მნიშვნელობას. ასე გაგრძელდება, სანამ ეს ხელისუფლება არ შეიცვლება დემოკრატიული არჩევნების გზით! შეეცდებიან გაყალბებას და სულ ყურებით წაათრევს ბასი ამათ და მოხდება რევოლუცია. ეს კი კიდევ 2-3 წელი შეაფერხებს ჩვენს წინსვლას, თუმცა ამათ კიდევ დარჩენას ეგ ჯობია, – მიაჩნია ფორუმის კიდევ ერთ მომხმარებელს.

– კარგიც იყო, ალბათ, ამ 8 წელიწადში, მაგრამ ახლა მთავარი ისაა, რომ სააკაშვილის ფსიქოტიპის ადამიანი წყნარად ნამდვილად ვერ შეძლებს ხელისუფლებიდან წასვლას და პენსიონერის მშვიდი ცხოვრებით ცხოვრებას, ბოლომდე იბრძოლებს ხელისუფლებაში დასარჩენად ნებისმიერი ხერხით და ალბათ, კიდევ ბევრი უბედურება დატრიალდება.

პრინციპში ის ტრაგიკული პიროვნებაა, მან უკვე თითქმის გაუშვა იმის შანსი ხელიდან, რომ დადებით პიროვნებად შესულიყო საქართველოს ისტორიაში.

შევიცოდებდი კიდეც, მაგრამ არ შემიძლია, რადგანაც არ ვიცი, კიდევ რამდენს აწყევლინებს გაჩენის დღეს და რამდენ დედას ჩააცმევს შავს, – მიაჩნია ერთ-ერთ ფორუმელს.

– ძალიან ბევრი კარგი რამე გაკეთდა, ჩამოთვლა უაზრობაა, ყოველდღიურობაში გამოიხატება ეს ყველაფერი, თუმცა დაშვებული შეცდომები ჩრდილავს ამ ყველაფერს, რაც ძალიან სამწუხაროა, – ვკითხულობთ ფორუმზე.

მსგავს მოსაზრებებს ფორუმზე კიდევ რამდენიმე მომხმარებელი პოსტავს:

– რაც კარგი გააკეთა ერთი ხელით, მაშინვე ჩაამიწა მეორეთი. მაგალითად, მოსამართლეები და პროკურორები, არც გამომძიებლები ნამდვილად აღარ იღებენ ქრთამს, წარმოუდგენელია, მაგრამ შეძლო. მაგრამ რად გინდა, ასეთი უსამართლო სასამართლო არ ყოფილა არასდროს. ასე რომ, იმხელა მინუსია, მინუსიც კი ძალიან რბილი სიტყვაა. ამ უკანონობამ დაღუპა ქვეყანა.

ძალიან დიდი ამბავია, მისაღები გამოცდები კორუფციის გარეშე.

მინუსი, სამაგიეროდ, ისეთი ჩაწყობები წავიდა უმაღლესების პროფესორ-მასწავლებელთა კონკურსებზე. ნეტავ სად მიდიან ეს თავისი ნიჭით მოწყობილი სტუდენტები. გარდა ამისა, სკოლაში აბსოლუტურად მოშლილია სასწავლო პროცესი და თუ ოჯახი არ არის შეძლებული, როგორ მოამზადოს შვილი, განსაკუთრებით უნარ-ჩვევებში, რომელიც არ ისწავლება სკოლებში. ახლა ყველა დადებით მოვლენას გვერდზე დიდ მინუსს მივუწერ, მაგრამ მთავარი მაინც უკანონობაა, ტერიტორიების დაკარგვა, განათლების და ჯანდაცვის ნახევრად დანგრეული სისტემების საბოლოო განადგურება.




– არაბებს, თურქებს, სპარსელებს, თვით მონღოლებს და მერე თვით თემურ-ლენგს, ამათზე უარეს რუსებსაც არ უქნიათ არასოდეს იმაზე საშინელება საქართველოსთვის, რაც მიშა სააკაშვილმა ამ 8 წლის განმავლობაში გააკეთა... რადგან, მაშინაც კი, როცა უცხოტომელების უღლის ქვეშ ვიყავით, ვიბრძოდით, ვჯანყდებოდით. ქვეყანას, ფასეულობებს, ღირსებას, ენას, სარწმუნოებას, თავმოყვარეობას, ქართველობას ვინარჩუნებდით. რუსებმა რომ მიგვიერთეს, მაშინაც კი, ათასობით ადამიანმა ხელში იარაღი აიღო და იბრძოდა, ომობდა, იღუპებოდა, ოღონდ თავზე ლაფი არ დაესხა... მაგრამ ამ 8 წელიწადში მიშა სააკაშვილმა რაც გააკეთა, ზუსტად ამ სულისკვეთების მოსპობა იყო... ზუსტად იმ თვისების, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში გვიხსნა და გადაგვარჩინა... ამიტომ, მიშა სააკაშვილზე დიდი მტერი საქართველოს არ ჰყოლია!!!

და ეს რომ ასეა, ამაზე ელიტარული კორუფცია, დაკარგული ტეროტორიები, გაღატაკებული ხალხი თუ მისი აღვირახსნილი ცხოვრება კი არ მეტყველებს, არამედ ის, რომ ამ ყველაფერს, რაც დღეს ქვეყანაში ხდება, ხალხი უადგილო, საზიზღრად პარადოქსული სიმშვიდით ეგუება...

საინტერესო პარალელს ავლებს ერთ-ერთი ფორუმელი და აცხადებს, რომ ედუარდ შევარდნაძეს იმდენი რესურსი რომ ჰქონოდა, რამდენიც მიხეილ სააკაშვილს აქვს, მეტს გააკეთებდა ქვეყნისათვის.

– ედიკასთვის რომ მიეცათ ვალად ის ფული, რა ფულიც მიშას დროს მისცეს, ნაკლებს გააკეთებდა ფასადურად? დარწმუნებული ვარ, უფრო მეტს გააკეთებდა. რაც მთავარია, ედიკა მარტო ერთ ტელევიზიას აკონტროლებდა 80%-ით, „რუსთავი 2“-ის ხელში ჩაგდება კი უნდოდა, მაგრამ ვერ მოახერხა და შემდეგ აღარც უცდია. პლუს ედიკას დროს ელიტკორუფცია ახლანდელთან შედარებით ნახევარზე ნაკლები იყო, ედიკას ბევრი რამის ეშინოდა და ცდილობდა, ყველაფერი არ გაეკეთებინა, რაც მას უნდოდა და ამათ უკვე ყველაფერი დაიკიდეს!

თუმცა, არ გეგონოთ, რომ ყველა ფორუმელი სააკაშვილით უკმაყოფილოა, აქ, ე.წ. მიშისტური განწყობაც უხვადაა:

– ძალიან ბევრია დადებითი. სააკაშვილმა საფუძველი ჩაუყარა ქართულ სახელმწიფოებრიობას, რაც დავით აღმაშენებლის შემდეგ არ გვქონდა, ხოლო მისი განვითარება მომავლის საქმეა. ერთ დღეში და ერთ წელში არაფერი ხდება, ყველაფერს დრო სჭირდება.

– ადამიანი ბრმა ან სულით ბოროტი უნდა იყო, რომ ვერ დაინახო ქვეყანაში რა გაკეთდა და რა კეთდება, გადახედე წინა წლებს და შეადარე! ალბათ ძველი დრო გირჩევნია, დანგრეული რომ იყო ქვეყანა და მსოფლიოს რომ ეგონა, რუსეთის მონები ვიყავით. ვინც ვერ ხედავს და არ უნდა დაინახოს, გზა თავისუფალია და შეეტენოს რუსეთს, როგორც არიან გიორგაძე, მამალაძე, აბაშიძე და ა.შ.

– რაც მე პირადად შემეხო, იმას ვიტყვი: მე ჩემით ჩავაბარე უნივერსიტეტში უფასოზე; სამსახურიც ჩემით დავიწყე; მანქანის ფარეხში დაყენების საშიშროება არ მაქვს; ნორმალურ ჯარში ვიყავი. ახლა, რაც არ შემეხო, იმას ვიტყვი: პენსია არსებობს; იმ სოფელში, სადაც სკოლა 20 კილომეტრის რადიუსში არ იყო, ახლა არის; სკოლაში გათბობაც არის; შსს.

– გაზი, დენი, გზა და სხვა ბევრი რატომ არ უნდა ჩავთვალოდ, ეს ჰაერიდან მოვიდა?! თუნდაც ის, რომ ჩაბნელებულ ქუჩაში 5 საათის მერე ვერ გამოდიოდი, არანაირი ტრანსპორტი და კომუნიკაცია თითქმის არ არსებობდა.

– ყველაფერს დანახვა უნდა, ზოგიერთი დაუნახავის საყურადღებოდ: ბავშვებს სკოლაში სახლიდან მიჰქონდათ შეშა და კლასში ფანჯარა და კარი არ ჰქონდათ, მოხუცს 14 ლარი ჰქონდა პენსია, თუ ვინმე ორ კაპიკს იშოვიდა, მიადგებოდა ვიღაც ნაძირალა და ქურდების სახელით ართმევდა ბოლო პურის ფულსაც. ვინც განსხვავებას ვერ ხედავს და ძველი დრო ურჩევნია, ის არის ქვეყნის პირველი მტერი და ასეთ ადამიანს რა უნდა ელაპარაკო, სირცხვილია.

# მამა გიორგი: „უფალი არ მოგცემს ცუდის გაკეთების ნებას“



მამა გიორგი

**„ცხოვრების გზაზე ადამიანის ხატება კი არ უნდა მიგვიძღვოდეს, არამედ — ქრისტესი. ქრისტეს გარეშე ყველაფერი მეორეხარისხოვანია, ყველაფერი ამაოებაა, ყველაფერი ქრება და მტვრად იქცევა, რადგანაც ქვეყნიერებაზე ბოროტება ბატონობს“, — აღნიშნავს წმიდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის მოძღვარი, დეკანოზი გიორგი (სხირტლაძე).**

*— მამა გიორგი, თითქოს მასობრივად ყველა ეკლესიურია, მაგრამ მრავალი ადამიანი მაინც ქრისტეს მადლის გარეშე ცხოვრობს, როგორია ასეთ ადამიანთა მდგომარეობა?*

— ადამიანი ისეთი არსებაა, რომ რწმენის გარეშე მისი ცხოვრება შეუძლებელია. ცოტათი ჯიუტია, ცოტათი ჟინიანია, აწუხებს გარკვეული სურვილები, მიზნები, იგი არ არის დამოუკიდებელი არსება. მას არ შეუძლია არსებობა ღმერთის გარეშე. როგორც ხეს არ შეუძლია წყლის გარეშე არსებობა, გახმება და მოსაჭრელი გახდება, რადგან ვერ გამოიღებს ნაყოფს, ასევეა ადამიანიც. იგი ხმება, კვდება უფლის თვინიერ. შეიძლება ხორციელად განაგრძობდეს არსებობას, მაგრამ მისი სული კვდომას ექვემდებარება. მადლს მოკლებული სული თითქმის მკვდარია, რადგან ადამიანის ღვთისგან შექმნილი სული ყოველთვის საჭიროებს უმაღლეს ავტორიტეტს, რომელსაც მან ცხონებისთვის უნდა მოუხმოს.

ჩვენ ჩვენს თავს ვერ ვაცხოვნებთ. მაცხოვნებელი ძალა სულიწმიდას აქვს. ზოგი სიმდიდრით ტრაბახობს, ზოგი — ძალაუფლებით, მაგრამ ვის შეუძლია ადამიანს სიცოცხლე მისცეს, მკვდარი გააცოცხლოს? ეს შეუძლია სულიწმიდას. რასაც ქრისტე და წმიდანები აკეთებდნენ, იმის გაკეთება ჩვენც შეგვიძლია, ოღონდ თუ ძლიერი სარწმუნოება გვექნება. რამდენი სულიერად დაჭრილი, დაცემული, თითქმის მკვდარი მოდის ეკლესიაში, აქედან კი გამთლიანებული მიდის. ვინ აკეთებს ამას? ვინ აზიარებს ადამიანს ქრისტეს ნათელს? როდესაც ჩვენ ნაკურთხ წყალს ვასხამთ, მირონს ვცხებთ, ვინ დგას ამის უკან? სულიწმიდა გვილიმის და გარდამოდის ჩვენზე. სულიწმიდა უსასყიდლოდ დაუმსახურებელ წყალობას გვაძლევს. ყველა საიდუმლოს სწორედ მისი მადლით აღვასრულებთ. სულიწმიდის გარდამოსვლით გარდაიქმნება პური და ღვინო ხორცად და სისხლად. სულიწმიდით იკურნება ადამიანი და არა — რომელიმე მოძღვრის დამსახურებით. თუმცა, ეკლესია აუცილებლად მოითხოვს სამღვდელო მსახურებას, რადგან ჰიროტონიის, ანუ მღვდლად კურთხევის დროს მოძღვარზე გადმოდის სულიწმიდის მადლი, უძლურთა მკურნალი და ნაკლულევანთა აღმავსებელი. მღვდლობა არის მეშვიდე საიდუმლო და მაინც — მოძღვრის სიწმინდით კი არა, უფლის ხელდასხმის მადლით გარდამოდის და მოქმედებს მორწმუნეებზე სულიწმიდა.

***— ხშირად ადამიანი ღმერთს გაჭირვებაში იხსენებს და სანამ რაიმე განსაცდელი არ შეემთხვევა, მანამდე არ დაფიქრდება თავისი არსებობის დანიშნულებაზე.***

— ცხოვრება გვაიძულებს, ვიფხიზლოთ, სერიოზულად და პასუხისმგებლობის გრძნობით მოვეკიდოთ ჩვენი არსებობის ფაქტს, რათა არ დავკარგოთ ქრისტიანული ღირსების გრძნობა, რათა ავიცილოთ მორალური დაცემა. ადამიანი გაჭირვებაში იხსენებს ღმერთს. არ იქნება კარგი, თუ ყველაფერი მოგეცა და უფალი დაივიწყე. მაგრამ იგივე უფალი თავადვე არ დაუშვებს ამას. იმდენს არ მოგცემს, რომ ღმერთი დაივიწყო, დაგმო იგი, შენი თავიც დაღუპო და სხვაც. ნურავინ იფიქრებს, თითქოს ღმერთს რაღაცა აკლია, ან ენანება, ძუნწია, ან იმდენი არა აქვს, რომ გვეყოს. არა, ღმერთს ყველაფერი აქვს. მისი საოცარი სიმდიდრე ყველას აქვს ნანახი გულში. ეს სიმდიდრე ყველასთვის საკმარისია, მეტიც არის. თუ არ გვაძლევს, ეს იმიტომ, რომ უფრო მეტს გვიმზადებს მომავალში. ცოტა ხნით მოიცადე, მაინცდამაინც ამქვეყნად ცხოვრების 50-70-80 წელიწადში გინდა მიიღო ყველაფერი?! დაიცადე, ამის შემდეგ ხომ მარადიულობაა, იქნებ, რას გიმზადებს მართალს უფალი. „მართალი ვითარცა ფინიკი აყვავდეს და ვითარცა ნაძვი ლიბანისანი განმრავდლეს, — ამბობს უფალი, — მართალი გაბრწყინდებაო, ვითარცა მზე“.

საერთოდ, რაც მეტად ხარ დამოკიდებული ღმერთზე, რაც უფრო ხშირად წარმოაჩენ შენს უმწეობას მისი ყოვლისშემძლეობის წინაშე, მით უფრო აფასებს უფალი შენს მასზე დამოკიდებულებას და შეგეწევა, მაგრამ თუ შენ ცდილობ, ღვთისგან დამოუკიდებლად წარმართო შენი ცხოვრება, მით უფრო სწყდები ღმერთს. რაც ახლოს მიდიხარ უფალთან, მით უფრო გიახლოვდება ისიც, მით უფრო გიახლოვდება შენი საკუთარი არსის ხედვა, რადგანაც ღმერთის გარეშე შეუძლებელია, დაინახო საკუთარი თავი. ღმერთის აღიარების გარეშე, შეუძლებელია, აღიარო საკუთარი თავის ჭეშმარიტი არსებობა. უფლის არსებობის ცნობის გარეშე შეუძლებელია, მიიღო ცოდნა საკუთარი თავის შესახებ, რადგან ადამიანისთვის საკუთარი თავი დიდი საიდუმლოა.

***— ზოგჯერ ადამიანს ღვთისგან მიტოვებულობის განცდა აქვს და ჰგონია, რომ ღმერთი მას არ სწყალობს. ამ მდგომარეობის შესახებ რას იტყვით?***

— უფალი ყველას ერთნაირად უგზავნის წყალობას ისევე, როგორც ყველას ერთნაირად აწვიმს ან ანათებს მზე. ღმერთმა დაგვიწესა ღვთაებრივი ეპიტიმია. ზოგი იტანჯება, ზოგი კვდება, ზოგი ცოცხლდება. განა სიკვდილი არ არის ცოდვაში ყოფნა? განა გაცოცხლება მკვდრეთით აღდგომა არ არის, ადამიანი რომ ცოდვას დაძლევს და მოინანიებს? ასეთი ადამიანი ხომ ახალ ცხოვრებას იწყებს ქრისტეში. ყველა ადამიანი თავის გზას გადის, თავისი ცხოვრების საფეხურებზე მიაბიჯებს. მან უნდა მოიხადოს მოსახდელი სნეულება. ავადმყოფობას ავადმყოფობა უნდა უწოდო, ცოდვას — ცოდვა. მაშინ გაგეცლება ცოდვაცა და ავადმყოფობაც.

ვისაც რა უნდა მიეცეს, იმის შესაბამისად ეძლევა ყველაფერი. ერთლიტრიან ჭურჭელში ათ ლიტრ წყალს ვერ ჩაასხამ. თუ რაიმე არ გეძლევა, არა იმიტომ, რომ ღმერთს არ ემეტება შენთვის, არამედ იმიტომ, რომ შენ არ დაისაჯო, შენ არ წახვიდე ჯოჯოხეთში, შენ არ დაგემართოს უბედურება. უფალი ზრუნავს ჩვენზე. ის გვაძლევს მხოლოდ იმდენ წყალობას, რამდენიც გვჭირდება. გვეხმარება, რომ ვიპოვოთ ჩვენი ცხოვრების საზრისი. რა არის ჩვენი ცხოვრების აზრი, თუ არა განწმენდა, მუდმივი ლოცვა? ყოველივე ამქვეყნიური გაივლის, როგორც აჩრდილი, როგორც უსისხლო მოჩვენება. ჩვენ თუ არ გვექნება ქრისტესგან დატოვებული სულიერი საუნჯე, სხვა არაფერი შეგვრჩება. როდემდე ინავარდოს ცოდვილმა?! დილამდე, საღამოს, ანუ ამქვეყნიდან განსვლის ჟამს, ხომ მაინც ღმერთის წინაშე უნდა წარსდგეს?!

***— როგორი ქცევით უნდა გამოირჩეოდეს ქრისტიანი ადამიანი?***

— ქრისტიანი თავისებური კულტურით უნდა გამოირჩეოდეს. ჭეშმარიტ სარწმუნოებას მხოლოდ ტაძარში სიარულით ვერ მოვიპოვებთ. ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას ქრისტიანულად უნდა ვიქცეოდეთ. დაუშვებელია ხმამაღლა ლაპარაკი, გინება, ფურთხება, უხეში სიტყვის მიგება, ამპარტავნება — ეს ყველაფერი უკულტურობაა. ყოველი ცოდვა, ფაქტობრივად, უკულტურობაც არის. ქრისტიანული კულტურის შრეები, საუკუნეების განმავლობაში რომ იქმნებოდა, რაღაცნაირად დაიფარა. საბედნიეროდ, დღესაც მრავლად არიან ქრისტიანული, მართლმადიდებლური კულტურის მქონე ადამიანები, მაგრამ მასობრივად ერში ეს კულტურა დაიკარგა. რას ნიშნავს ქრისტიანული კულტურა? ამ კითხვის პასუხი სახარებაშია მოცემული: მართლმადიდებლური კულტურის ადამიანს ახასიათებს მშვიდი სიტყვის მიგება, გულთბილი მადლობის თქმა, არააგრესიულობა. ჯერ კიდევ ეკლესიაში მოსვლამდე უნდა შეითვისოს ადამიანმა ცხოვრების ეს წესი. უმაღლესი კულტურის ადამიანი, სრული კაცი — მაცხოვარი იყო. ვერავინ გაიხსენებს შემთხვევას, რომ მაცხოვარს უხეშად ეპასუხოს ვინმესთვის, დაეწყევლოს ან დაესაჯოს ვინმე.

ქრისტიანი ეყრდნობა ღმერთს, მოძღვრის ლოცვა-კურთხევას. ადამიანის იმედი კი არ უნდა ჰქონდეს მორწმუნეს, არამედ — ღვთისა. უფალი ყველას მიმართ კი არ არის სულგრძელი, არამედ მხოლოდ მათ მიმართ, ვინც მას შეჰლაღადებს და არა მათ მიმართ, ვინც გაორებული ცხოვრებით ცხოვრობს. გაორებული მდგომარეობა იმას ჰგავს, ადამიანს ქვედა ტანზე ზაფხულის ტანსაცმელი ეცვას, ზედა ტანზე კი — ზამთრის. ერთ ფეხზე ზაფხულის ფეხსაცმელი ეცვას, მეორეზე — ზამთრის. გაორებული ადამიანი მასხარას ემსგავსება. ვინც დღე და ღამე უფალს შეჰღაღადებს, ის არის ღმრთის რჩეული. კითხულობს უფალი, ხართ კი თქვენ ისეთები, რომ როდესაც მოვალ, ვპოვებ თქვენ შორის წრმენას?! ვინც თავის თავში დარწმუნებულია, ვისაც თავისი თავი უცოდველი ჰგონია და სხვა ცოდვილი, ის ადამიანი ყველზე მეტად ცდება. ადამიანი, რომელიც ცდილობს თავის გამართლებას, არ არის მართალი. ასეთი ადამიანი სიკეთეს ვერ დათესავს. ქრისტიანის მთელი ცხოვრება კი სიკეთის თესვას უნდა ემსახურებოდეს. სამწუხაროდ, ზოგი თესავს ბოროტებას და სხვა რა უნდა მოიმკას, თუ არა ისევ ბოროტება. მხოლოდ ბოროტებას თუ აღმოაცენებს ბოროტი თესლი. შეუძლებელია, ყურძენმა ვარდი გამოისხას, ან მსხალმა ნაყოფად ვაშლი გამოიღოს. რასაც დათესავ, იმას მოიმკიო, — უთქვამს ბრძენ ხალხს. ბრძენი ადამიანი თავმდაბალი, ჩუმი, მორჩილი და მორიდებულია. ხშირად საჭიროა ქრისტიანული დუმილი განსაცდელების ჟამს. წმიდა მამები ამბობენ, რომ ასეთი ქრისტიანული დუმილის დროს ადამიანი ქრისტეს მიემსგავსება, რომელიც დუმდა, როდესაც პილატე ეკითხებოდა: მითხარი, ვინ ხარო? დუმილის ხელოვნება აუცილებელია ყველასათვის. ეს არის დიდი ხელოვნება, სიბრძნე, რომელიც ჩვენ უნდა შევითვისოთ. დუმილი ბევრს ფილტრს, ზღუდეს, ბევრ დამცველ საშუალებას გვაძლევს, რათა ყოველგვარი ნაგავი და ჭუჭყი არ შემოვიდეს ჩვენში. დაუცველ სულს იმორჩილებს ეშმაკი და აუძლურებს. ჩვენ ყოველთვის უნდა ვთესოთ სიკეთე, დაუფიქრებლად, უხვად, ყოველგვარი უკან დახევის, სულმოკლეობისა და ქვენა გრძნობების გარეშე. დგება ჟამი ადამიანის სულიერ ცხოვრებაში, როდესაც იგი პირისპირ აღმოჩნდება ღვთის წინაშე. ყოველთვის ვერ ვიქნებით ჩვენი ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან. ჩვენ მარტო წარვსდგებით ღვთის წინაშე გარკვეულ მომენტში. ამ დროს უნდა ვაგოთ პასუხი ჩვენი საქმეების გამო, ვუთხრათ ღმერთს ისეთი რამ, რომ არ შეგვრისხოს. ჭეშმარიტი ქრისტიანი ღვთის მორჩილია. ღვთის მცნებების მორჩილი ადამიანი გაცილებით მყარი ხდება.

***— მამაო, მაინც რას მოიცავს მორწმუნე ადამიანის ცხოვრება და რამდენად განსხვავდება იგი არაეკლესიური ადამიანისგან?***

— მორწმუნე ადამიანის ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა ღმერთთან ურთიერთობის პროცესი. მორწმუნე ადამიანი აცნობიერებს, რარიგ შეზღუდულია ღვთის სჯულით. არ შეიძლება, მორწმუნემ აკეთოს ის, რაც უნდა. სამწუხაროდ, დღევანდელი საინფორმაციო საშუალებებიდან ცრუ თავისუფლებას გვიქადაგებენ. რეკლამებით თუ ფილმებით შთააგონებენ ახალგაზრდობას, რომ მიენდონ მხოლოდ საკუთარ ინსტინქტებს, ე.ი. ადამიანი გახდეს ცხოველი. უკიჟინებენ, ნუ შეიზღუდავ თავს, არ გჭირდება არავითარი სულიერი დისციპლინა. ურწმუნო და მორწმუნე ადამიანებს შორის დიდი განსხვავებაა. ურწმუნოებს სჯერათ, რომ ცხოვრება არ შეიცავს არავითარ საფრთხეს. მათთვის, პრაქტიკულად, ყველაფერი შესაძლებელია. მორწმუნე ადამიანი ცდილობს, დაემორჩილოს არა ცხოველურ მოთხოვნებს, არამედ მაღალ, საღვთო კანონებს. მორწმუნე ადამიანის ცხოვრება მუდმივი ლოცვითი დაძაბულობაა, შინაგანი უხილავი ბრძოლაა საკუთარ თავთან, რათა მოიპოვოს ყველაზე დიდი გამარჯვება — გამარჯვება საკუთარ თავზე. ურწმუნო ადამიანი კი განცხრომისთვის ცხოვრობს. მისი სული ამღვრეულია, მისი თვალები დაბინდული, აგრესიული, სექსუალურია, ვნებითა და ანგარებითაა ალსავსე. ურწმუნოებს აქვთ ამპარტავნული, თავაწეული სიარული, დროშასავით მიაფრიალებენ თავიანთ უწრმუნოებას და ამაყობენ ცოდვებით.

***— ბოლოს, მამაო, კიდევ რას ეტყვით ჩვენს მკითხველს?***

— ადამიანს უნდა ჰქონდეს სიყვარული. უფალმა 3 უმთავრესი მცნება დაგვიტოვა: სარწმუნოება, სასოება და სიყვარული. მათგან უმთავრესი სიყვარულია. იგი დანარჩენ ორზე მაღლა დგას. ქრისტესმიერი სიყვარული აღგვამაღლებს ამა სოფელზე. ქრისტე თავისი სიყვარულით ხელისგულზე გვატარებს. მაგრამ, განა, ყველა სიყვარული ქრისტესმიერია? განა, ყველა სიმშვიდე ქრისტესმიერია? ზოგი გაყინული სიმშვიდე ეშმაკისგანაც არის. ხორციელი, ვნებითი, სხეულებრივი სიყვარული არ არის ღვთისმიერი. სიყვარული არის მხოლოდ და მხოლოდ უმანკო, ზეციური, რომელიც აბსოლუტურად მაღლა დგას. ეს არის ღვთის სიყვარული. აქედან გამოდის ყველაფერი. ეს სიყვარული არის მაცხოვნებელი. ღვთის სიყვარული მოყვასის სიყვარულს გვასწავლის. უფალი გვამცნებს, რომ მოყვასი საკუთარი თავივით უნდა გვიყვარდეს. წმიდა სერაფიმ საროველი ამბობს: გიყვარდეს ღმერთი და, რაც გინდა, ის გააკეთე. უფალი არ მოგცემს ცუდის გაკეთების ნებას.

**ეფემია წიკლაური**

**ჟურნალი „გუმბათი“ 2010 №30**

## წმიდა მამათა გამონათქვამები

* * *

ღმერთი ყოველივეს აღავსებს და ამასთან ყველაფრის მიღმა ჰგიებს. ღმერთი მთლიანად არის ყველგან, სრულიად — ყოველივეში, თანაბრად — დიდსა თუ მცირეში, და მთლიანადვე აღმატებულად ყოველივეზე.

* * *

ღმერთი განუყოფელია და იგი მთლიანად არის ყველგან, — თავისი რაღაც ნაწილით კი არ ჰგიებს ქმნილების ნაწილში, სხეულებრივად გაყოფილი და დაცალკევებული, არამედ მთლიანად ჰგიებს მთელს თავის ქმნილებაში, ყოველივეში და მთლიანადვე არის ყოველივეზე აღმატებული.

* * *

აწინდელი ცხოვრების სიხარულიც ხომ არ არის მწუხარების ელფერის გარეშე, ისევე, როგორც ნახატი არ შეიძლება იყოს ჩრდილთა გარეშე. განა რომელი ცხოვრებისეული სიტკბოება შეიძლება იყოს ისე, რომ თან არ ახლდეს მწუხარების თანაზიარობა?!

* * *

ღმერთმა შეჰქმნა ადამიანი ცოცხალ გონიერ არსებად, რომელიც აქ, ქვეყნიურ წუთიერ ცხოვრებაში, როგორღაც წარიმართება და შემდეგ სხვა ადგილას, ანუ ზეცად, მომავალ საუკუნო ცხოვრებად გადასახლდება; და შეჰქმნა იგი, — ჰოი, მიუწვდომელო საიდუმლოებავ! — აღჭურვილი ღმრთისაკენ მსწრაფველი ძალითა და უნარით, ანუ შეჰქმნა ისეთ არსებად, რომელსაც ძალუძს განღმრთოება ღვთაებრივი განათლებისა და შემოქმედ ღმერთთან ზიარების გზით, მაგრამ რომელიც არ გარდაიქმნება საღმრთო არსობრიობად.

* * *

ღმერთი ყოველივეს განმსჭვალავს, თვითონ კი, ამავე დროს, არაფერს აღერევა. ღმერთს ვერაფერი განმსჭვალავს. ყოველივე ღმერთმა თავისი მარტივი ცოდნით იცის და ყველაფერსვე მარტივად სჭვრეტს თავისი ღვთაებრივი თვალით — აწმყოსაც, წარსულსაც და მომავალსაც, და სჭვრეტს უწინარეს მათი ყოფისა. ღმერთის ბუნება უცოდველია, თვითონ კი — ცოდვათა მომტევებელი და ყოველთა მაცხოვნებელია. რასაც კი ინებებს, ღმერთი ყოველივეს იქმს, რამეთუ მას ყველაფერი ძალუძს. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ღმერთს ყოველივე როდი ნებავს, რაც ძალუძს, რამეთუ ძალუძს მთელი ქ ვეყნიერების დაღუპვა, მაგრამ არ ნებავს ეს და არასდროს იქმს ამას.

*წმიდა იოანე დამასკელი*

* * *

ღობის გარეშე დარჩენილი ბაღი გაითელება და გაჩანაგდება; ამგვარადვე დაღუპავს თავის სათნოების ნაყოფს ყველა, ვინც არ მოიზღუდავს თავის ბაგეთ.

* * *

ნურც საკუთარი წარმატებების გამო დაიწყებ თავის ქებას და ნურც სასოს წარიკვეთ შენი შეცოდებების გულისთვის.

* * *

კართა მიღმა რჩება და არ შეიწყნარება ის ლოცვები, უსიყვარულოდ რომ აღევლინება უფლისადმი, რამეთუ მხოლოდ სიყვარული გაუღებს კარს ლოცვებს.

* * *

გეშინოდეს იმავე ცოდვებით დაცემისა, რომლებიც უკვე მოუტევებია შენთვის ღმერთის მოწყალებას სინანულის საიდუმლოში, მაგრამ თუკი შენი უძლურების გამო კვლავაც დაეცემი უწინდელი შეცოდებით, მაინც ნუ წარიკვეთ სასოს! ღმერთის მოწყალება უსაზღვროა, წრფელი სინანულის ძალა კი ადამიანში განუზომელია.

*წმიდა ეფრემ ასური*

* * *

ნუ ჩაუღრმავდები ცის დიდებულებას და მისი მოძრაობის მრავალფეროვნებას, ნურც მზის ბრწყინვალებას დააკვირდები განსაკუთრებულად, ნურც მთვარის ნათელს, ნურც სხვა ციურ სხეულთა და ვარსკვლავთა ბრჭყვიალს, ნურც ჰაერის ვარგისიანობას სუნთქვისათვის და ნურც ზღვისა თუ ხმელეთის მრავალსარგებლიანობას ადამიანთათვის, და გეშინოდეს, რაიმე ღმერთად არ შერაცხო ყოველივე ამისაგან, რამეთუ ყველაფერი ეს ღმერთისთვის არსებობს, როგორც მისი ქმნილება — მისი სიტყვით არარსებობიდან არსებობად მოყვანილი.

* * *

იმაზე მეტი პატივი, ვიდრე შენს ხორციელ მშობლებს მიაგე, სულიერ მამებსა და მოძღვრებს მიაგე, რომელთაც ღმერთმა მონიჭა ძალა სულთა შეკვრისა და განხსნისა ამქვეყნად, რამეთუ ვისაც კი უფლის მღვდელმსახურნი აქ, ქვეყნიური ცხოვრების დროს შეჰკრავენ, ისინი იმქვეყნიურ მარადიულ ცხოვრებაშიც კრულნი იქნებიან, ხოლო ისინი, ვისაც აქ განხსნიან და გაათავისუფლებენ, ისინი ცათა შინაც განხსნილნი და თავისუფალნი იქნებიან სამარადისოდ... სულიერ მამათა და მოძღვართა ურჩი ადამიანი სულიწმიდას განდევნის საკუთარი არსებიდან და ამით სულს წარიწყმედს. ამიტომ ყოველთვის რჩევა ჰკითხე შენს სულიერ მამას. და ყოველივეში მისი მორჩილი იყავი ბოლომდე რათა იხსნა სული შენი და ცხოვნდე — დაიმკვიდრო ცათა სასუფევლის საუკუნო, უხრწნელი და წარუვალი სიკეთენი.

*წმიდა გრიგოლ პალამა*

# ჯემალ ბაღაშვილი: „ჩვენი პაროდიები არც პოლიტიკოსებს და არც ხელოვანებს არ სწყინთ“

## რა სიურპრიზებს ამზადებს „იუმორინა“

ეკა ირემაშვილი

27 დეკემბერს დიდ საკონცერტო დარბაზში ტრადიციული „იუმორინა“ გაიმართება. ამჯერად საკონცერტო სერიები არ იქნება – მაყურებელს კონცერტზე დასწრება მხოლოდ ერთ დღეს შეეძლება. როგორც შოუბიზნესცენტრ „ლომისის“ ხელმძღვანელი, ბატონი ჯემალ ბაღაშვილი აცხადებს, ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველ რიგში, ეს „იუმორინაში“ მონაწილე მსახიობების მოუცლელობაა. ამას ემატება ისიც, რომ ვლად არამოვი ამერიკაში წავიდა, მამუკა ონაშვილი კი გასტროლებზეა. 27 დეკემბერი აღმოჩნდა ის ერთადერთი დღე, როცა „იუმორინას“ გუნდმა გაერთიანება შეძლო. კონცერტის სცენარის ავტორსა და რეჟისორს ჯემალ ბაღაშვილს მიაჩნია, რომ წინა საახალწლოდ მაყურებელს სრულიად ახალი პროგრამით წარმოდგენილი „იუმორინა“ კიდევ უფრო ამაღლებულ და ხალისიან განწყობას შეუქმნის. კონცერტის უცვლელი წამყვანი კვლავ გივი ბერიკაშვილია. დიდ საკონცერტო დარბაზში მისულ მაყურებელს ტრადიციულად ელიან „ქუჩის მუსიკოსები“ სრულიად ახალი მუსიკალური იუმორით, პაროდიის თეატრი, რომლის შემადგენლობაშიც მამუკა ლომაშვილი, ნინაკა გელაშვილი, გურამ ჯაში, მერაბ გეგეჭკორი და ბესო ბერულაშვილი არიან. სრულიად ახალი ნომრები აქვთ ბიძინა მახარაძეს, დათო როსტომაშვილს. წლევანდელ კონცერტზე ჯემალ ბაღაშვილი საზოგადოებას პირველად წარუდგენს კახეთის კოლორიტს გეგე სულხანიშვილს, რომლის დებიუტიც სცენაზე სწორედ „იუმორინაში“ გაიმართება. მას მაყურებელს გივი ბერიკაშვილი გააცნობს.

კონცერტების ტრადიციული მუსიკალური ხელმძღვანელი გია ბაღაშვილია. წლევანდელი „იუმორინა“ იმითაც იქნება გამორჩეული, რომ მასში იუბილარი ივერიელები მიიღებენ მონაწილეობას. წელს ოთხმა ივერიელმა – თემურ წიკლაურმა, ჯემალ ბაღაშვილმა, ვახტანგ ტატიშვილმა და ნუგზარ კვაშალმა – იუბილე იზეიმეს. ჯემალ ბაღაშვილი და ვახტანგ ტატიშვილი 70 წლის გახდნენ, ნუგზარ კვაშალი – 60-ის, ხოლო თემურ წიკლაური – 65-ის. მან თავისი იუბილე და სცენაზე დგომის 45 წლის იუბილე ერთად აღნიშნა დიდი საკონცერტო დარბაზში და ამჯერადაც მის გვერდში მდგომი ბატონი ჯემალ ბაღაშვილი აღმოჩნდა, რომელმაც კონცერტის რეჟისურა საკუთარ თავზე აიღო.

„იუმორინას“ შემოქმედებითი ჯგუფისთვის კარგად არის ცნობილი, რომ მათ კონცერტებზე მოთხოვნა დიდია. ხშირად მათ საღამოებზე დასასწრებად მაყურებელი რეგიონებიდან ავტობუსებით ჩამოდის. ვინაიდან თავად „იუმორინას“ გუნდს რეგიონებში სიარული მრავალრიცხოვანი მსახიობების ჯგუფის გამო არ შეუძლია, ბატონმა ჯემალ ბაღაშვილმა მიიღო გადაწყვეტილება, ყოველი კონცერტი დაფიქსირდეს ტელეკამერით და შემდეგ მისი ნახვა მთელმა საქართველომ შეძლოს.

სწორედ ამ მიზნით 6 თვის განმავლობაში ტელეკომპანია „იმედზე“ გადიოდა ჯემალ ბაღაშვილის საავტორო პროგრამა „სტუმრად იუმორინასთან“. ყოველ გადაცემას „იუმორინას“ ერთი მსახიობი სტუმრობდა და მის წამყვანთან ერთად ყველაზე სახალისო ისტორიებს იხსენებდა. ტელეკომპანია „იმედმა“ გადაცემას 6-თვიანი კონტრაქტი გაუფორმა, მისი ამოწურვის შემდეგ კი გადაცემის ჩაწერებიც შეჩერდა. როგორც ბატონი ჯემალი ამბობს, თუკი „იმედის“ ხელმძღვანელობის სურვილი იქნება, მუშაობისთვის „იუმორინას“ მთელი გუნდი ისევ მზად არის. ფაქტი ერთია, მაყურებელში გადაცემა დიდი პოპულარობით სარგებლობდა და მის ჩაწერაზე მსურველთა რიცხვიც მრავლად იყო.

ამჯერად „იუმორინას“ გუნდი მთლიანად 27 დეკემბრის კონცერტზეა ორიენტირებული. შოუბიზნესცენტრ „ლომისში“ უწყვეტი რეპეტიციები მიმდინარეობს. ჯემალ ბაღაშვილი ახალ-ახალ დავალებებს აძლევს პაროდისტებს, გია ბაღაშვილი კი მუსიკოსებთან მუშაობს. ერთდღიანი „იუმორინას“ კონცერტზე დასასწრები ბილეთები დიდი საკონცერტო დარბაზის სალაროებში 13 დეკემბრიდან იყიდება. მათი ფასი კი 10-დან 25 ლარამდეა – ბალკონი 10-15 ლარი ღირს, ხოლო პარტერი – 20-25 ლარი.




**ჯემალ ბაღაშვილი:**

– ამჟამად ჩვენს ერთგულ მაყურებელს მხოლოდ ერთ კონცერტს შევთავაზებთ და ისიც – წინასაახალწლოდ.

***– რატომ შეამცირეთ კონცერტები?***

– ეს ხალხი მხოლოდ საახალწლოდ არის დაკავებული. მათ კონცერტები და სხვადასხვა ღონისძიებები აქვთ. მამუკა ონაშვილი გასტროლებზეა, ვლად არამოვი ამერიკაშია, „ქუჩის მუსიკოსებს“ კონცერტები აქვთ, ამიტომ ერთადერთი დღე 27 დეკემბერი ამოვარჩიეთ, როცა ყველას სცალია და მზად არის, „იუმორინას“ ერთგული მაყურებლის წინაშე წარდგეს. ჩვენ ხომ არ შეგვიძლია ვიხალტუროთ და არასრულფასოვნად წარვდგეთ დიდ საკონცერტო დარბაზში. ჩვენი დევიზია, სრულყოფილი პროგრამა იყოს. ვინაიდან სხვა დღეებში აღარ გვცალია, ამიტომ შევიკრიბეთ 27 დეკემბერს.

***– საკმარისია ერთი დღე?***

– ვიცით, რომ არ არის საკმარისი, მაგრამ მეტი ფიზიკურად არ შეგვიძლია. იმით დავამშვიდებთ ჩვენს მაყურებელს, რომ დაფიქსირდება ტელეგადაღება. ჩვენ არ ჩავაგდებთ წელს – 2011 წელსაც ჩავატარებთ ტრადიციულ „იუმორინას“, ერთი დღით, მაგრამ არ გავაწბილებთ მაყურებელს, თან წინასაახალწლოდ გავამხიარულებთ ქართველ საზოგადოებას და განწყობასაც ავუმაღლებთ. როგორც წესად გვაქვს, გვექნება სრულიად ახალი ორსაათიანი პროგრამა, არა განახლებული, რაც შეცდომაა, არამედ სრულიად ახალი პროგრამა.

***– რა ელოდება დიდ საკონცერტო დარბაზში მოსულ მაყურებელს?***

– წელს კონცერტზე რამდენიმე სიურპრიზიც იქნება, მასში მონაწილეობას, ძირითადად, ცნობილი ადამიანები მიიღებენ, მაგრამ, უპირველესად ყოვლისა, ის არის მნიშვნელოვანი, რომ ახალი სახეებიც გვეყოლება. გვაქვს ახალი რუბრიკა „კოლორიტი იუმორინაში“. ეს არის თელავის და არა მარტო თელავის კოლორიტი, გეგე სულხანიშვილი, რომელიც პირველად გამოდის სცენაზე. მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზიიდან, ფილმებიდან იცნობს მაყურებელი, სცენაზე პირველად გამოგვყავს ჩვენ. საოცარი ადამიანია, ნახავთ, მაყურებელი როგორ დადებითად მიიღებს. გეგე სულხანიშვილის სასცენო დებიუტი სწორედ ჩვენთან შედგება. ის მებაღე-მევენახეა. მას მეექვსე ცოლი ჰყავს და ხალისიანი იუმორი აქვს. გეგე სულხანიშვილი თავისი ცხოვრებიდან იუმორისტულ ნომრებს გაიხსენებს.

***– ადვილად დაიყოლიეთ?***

– ჩვენი მეგობარია და, რადგან ძველი მეგობრები ვართ, ადვილად დავიყოლიეთ. მას ბატონი გივი ბერიკაშვილი წარადგენს და ისე გამოვა მაყურებლის წინაშე.

***– მუსიკალური იუმორი ისევ გაქვთ?***

– რა თქმა უნდა. „ქუჩის მუსიკოსებს“ სრულიად ახალი პროგრამა აქვთ. „ქუჩის მუსიკოსებთან“ ერთად გამოვა დავით როსტომაშვილის შვილი. მისი დებიუტიც ამ კონცერტზე შედგება. სრულიად ახალი ნომრები აქვს პაროდიის თეატრს, მათ სპეციალური საახალწლო პროგრამა მოამზადეს. დავით როსტომაშვილს ამჯერად საქართველოს ყველა რეგიონის იუმორი აქვს გაერთიანებული. სრულიად ახალი მონოლოგი აქვს ბიძინა მახარაძეს. ასე რომ, ტრადიციულად წელსაც განახლებული საახალწლო პროგრამა გვაქვს, რომელზეც ერთი წლის განმავლობაში ვმუშაობდით. „იუმორინას“ ტრადიციულად მსახიობი გივი ბერიკაშვილი წაიყვანს. აღსანიშნავია, რომ კონცერტში ჩემი იუბილარი ივერიელებიც მიიღებენ მონაწილეობას.

***– ბევრ მომღერალს უნდა თქვენს კონცერტებში მონაწილეობა. მათ როგორ არჩევთ?***

– მათ საკმაოდ რთული გამოცდა უნდა ჩააბარონ, რომ ჩვენთან მოხვდნენ. მე და გია ბაღაშვილი მაქსიმალურად ვცდილობთ, სცენაზე მხოლოდ ღირსეული გამოვიყვანოთ. ჩვენს კონცერტებში მონაწილეობა მართლაც ბევრს უნდა, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია, სცენა რამდენიმე მომღერალს ერთად დავუთმოთ, იმიტომ რომ „იუმორინა“ არ არის მხოლოდ მომღერლების კონცერტი, ეს არის იუმორით, მუსიკით გაჯერებული საღამოები, ამიტომ გვინდა, არასოდეს გადავამეტოთ და ჩვენს ერთგულ მსმენელს შევთავაზოთ მხოლოდ საუკეთესო და ღირებული შემსრულებლები.

***– რაშია „იუმორინას“ წარმატების საიდუმლო?***

– ჩვენ დაარსებიდან 10 წლის იუბილე უკვე ვიზეიმეთ, რაც უპრეცედენტო ფაქტია. ასეთი რამ არ არსებობს. აი, მეთერთმეტე წელიც ჩავამთავრეთ და მეთორმეტე წელსაც ვეგებებით. ეს წელს გვაქვს სეკვესტრირებული „იუმორინა“, თორემ მომავალ წელს აუცილებლად რამდენიმე კონცერტს ჩავატარებთ. ჩვენი მაყურებელი მიჩვეულია, რომ ყოველთვის ხარისხიან და ღირებულ კონცერტებს ვთავაზობთ. ცალკე საუბრის თემაა დარბაზის ხარჯები. ყველამ იცის, რომ საშინლად გაძვირდა დარბაზის ქირა. ახლა ყველაფერი ფინანსებთან არის დაკავშირებული, ჩვენ კი ყოველთვის ჩვენით ვცდილობთ, თავი გავართვათ პრობლემებს. ძალიან რთული ვითარებაა, მკვეთრად გაიზარდა კონცერტის ჩატარების ღირებულება. ცნობილია, რომ ჩვენ არავინ გვაფინანსებს. საკონცერტო დარბაზებში თავისუფალი კონკურენცია აღარ არის, ან უნდა გყავდეს სპონსორი, ან მერიამ უნდა ჩაგირიცხოს თანხა. თუ შერჩევითობის პრინციპი წავიდა, ეს უკვე მიუღებელია. მერიასთან იყო მოლაპარაკებების მცდელობა, მაგრამ ისინი უკვე სხვა კონცერტებზე არიან გადართული და ჩვენ ვერ მოვთხოვთ დახმარებას, მით უმეტეს, რომ ეს ნებაყოფლობითია.

***– „იუმორინაში“ დებიუტანტი წელსაც გეყოლებათ?***

– თქვენ აქტიურად ადევნებთ თვალყურს „იუმორინას“ 11-წლიან მოღვაწეობას და იცით, რომ ამ საკონცერტო სერიამ არაერთი ნიჭიერი მომღერალი აღმოაჩინა, რომელიც პირველად სწორედ ჩვენ გამოვიყვანეთ ფართო საზოგადოების წინაშე და შემდეგ არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოში გახდნენ ცნობილი, ნინო სურგულაძით დაწყებული, გია ონიანით დამთავრებული. ჩვენ გვინდა, მათ ყველანაირად შევუწყოთ ხელი, რომ ფართო საზოგადოების წინაშე წარდგნენ და თავი ღირსეულად წარმოაჩინონ. კარგად მოგეხსენებათ, რა ღირს ახლა ტელევიზიით გამოჩენა ან კლიპის გადაღება, ამიტომ ჩვენ მათ ნიჭს უფასოდ ვუკეთებთ რეკლამას და მთელ საქართველოს ვამცნობთ, რომ აი, ასეთი ნიჭიერი მომღერლებიც გვყავს.

***– თქვენ გყავთ იუმორისტთა გუნდი. მათი შემცვლელების პოვნა თუ დაგჭირდათ, როგორ ფიქრობთ, დღეს იუმორისტების დეფიციტია?***

– არა მგონია, იუმორისტების დეფიციტი იყოს. ქართველები ნიჭიერი ხალხი ვართ, მაგრამ, ჩვენ იმდენად კარგი გუნდი გვყავს, რომ შემცვლელებზე ჯერ არ ვფიქრობ. პაროდიის თეატრის ფენომენი არ არსებობს, ის მხოლოდ ერთია და ისიც შოუბიზნეს ცენტრ „ლომისთან“ არსებობს. ამ თეატრში საოცრად ნიჭიერი ადამიანები არიან გაერთიანებული, რომლებიც უკვე წლებია სრულიად ახალ პროგრამას სთავაზობენ მაყურებელს.

***– თქვენ ბევრს ხუმრობთ როგორც ხელოვანებზე, ასევე პოლიტიკოსებზე. ვინმე თუ განაწყენებულა თქვენს ხუმრობაზე?***

– არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, ჩვენამდე ხმები არ მოსულა, მაგრამ ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, ადამიანს პიროვნულად არ დავცინოთ და მისი ნაკლი არ წარმოვაჩინოთ. ჩვენ გვინდა, ზოგადად მივუთითოთ ადამიანებს ჩვენი ტკივილისა და პრობლემის თაობაზე სატირასა და იუმორში. ჩვენ ვცდილობთ, ხალხის ტკივილი გადმოვცეთ ჩვენს პროგრამაში, თუმცა, ეს არ არის კონცერტი, სადაც მარტო შემიღიტინე-გამაცინეს პრინციპი მოქმედებს. ჩვენ გვინდა, კონცერტზე მოსული საზოგადოება სხვა მხრივაც დავაფიქროთ და ჩვენი კონცერტიდან რომ გავლენ, რაღაც საფიქრალი გაჰყვეთ.

***– სცენარის ავტორი ისევ თქვენ ხართ?***

– რა თქმა უნდა. „იუმორინას“ ახალი პროგრამა მთლიანად მე დავწერე. რეჟისორიც თავად ვარ. მე რეჟისორობა გავუწიე ასევე ჩვენი საამაყო ივერიელის თემურ წიკლაურის სოლოკონცერტს, რომელიც 4 დეკემბერს დიდ საკონცერტო დარბაზში ჩატარდა. მგონია, რომ მაყურებელი კმაყოფილი და ნასიამოვნები წავიდა. რაც შეეხება მუსიკალურ მხარეს, ამ საკითხს, ტრადიციულად, „იუმორინაში“ ჩემი შვილი – გია ბაღაშვილი აგვარებს. ის „ქუჩის მუსიკოსებთან“ ერთად განუწყვეტლივ რეპეტიციობს, რადგან სწორედ გიას ინიციატივით არის შექმნილი ეს ჯგუფი და ის მათი ხელმძღვანელია.

***– თქვენს კონცერტებზე მაყურებელი რეგიონებიდანაც ჩამოდიოდა. ერთდღიან კონცერტზე ამას მოახერხებენ?***

– რა ვიცი, მოახერხებენ თუ არა, მაგრამ, ის კი ნამდვილად ფაქტია, რომ ჩვენს კონცერტებზე მაყურებელი ავტობუსებით ჩამოდიოდა რეგიონებიდან. ვიცით, რომ ძალიან ვუყვარვართ და გვაფასებენ. იყო მოთხოვნები, რომ ჩვენც ჩავსულიყავით რეგიონებში, მაგრამ ეს შეუძლებელია. ჩვენ ძალიან დიდი გუნდი ვართ, რეგიონებში ჩვენი სიარული არარენტაბელურია. აქ კი მსახიობებს არა აქვთ იმხელა ანაზღაურება, რომ რეგიონებში ტყუილად ვატარო. მათთვის შემოსავალი მხოლოდდამხოლოდ კონცერტებია. ჩვენ იმიტომაც ვახდენთ ყოველი „იუმორინას“ ჩაწერას, რომ რეგიონების მაყურებელს ვუჩვენოთ და ყველა იმ ადამიანმა გვიყუროს, ვისაც უფულობის, ფიზიკური მდგომარეობის თუ უდროობის გამო თბილისში ჩამოსვლა და ჩვენს კონცერტებზე დასწრება არ შეუძლია.

***– თქვენ აკეთებდით გადაცემას სტუმრად „იუმორინასთან“. რა ბედი ეწია ამ გადაცემას, საბოლოოდ დაიხურა თუ დროებით?***

– ამ გადაცემას ჰქონდა 6-თვიანი კონტრაქტი „იმედთან“. ამ კონტრაქტს ვადა გაუვიდა და ჩვენც მუშაობა შევაჩერეთ. თუკი ისევ მოისურვებენ, გავაკეთოთ „სტუმრად იუმორინასთან“ და დაგვიძახებენ, ჩვენ მზად ვართ, ისევ ვიმუშაოთ. ამ გადაცემის ჩაწერაზეც საოცრად დიდი იყო დასწრების მსურველთა რიცხვი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი კონცერტები მაყურებელს მოსწონს და ელოდება.

***– ერთდღიან „იუმორინაში“ ივერიელებს ჩართავთ?***

– რა თქმა უნდა – იუბილარებს თემურ წიკლაურს, ვახტანგ ტატიშვილს, ნუგზარ კვაშალს. 2011 წელს ჩვენ ოთხნი ვართ იუბილარები. მე და ვახო 70 წლის გავხდით, ნუგზარი – 60-ის, თემური კი – 65-ის. ყველას მრგვალი თარიღი გვაქვს, ამიტომ გადავწყვიტეთ, იუბილეები ასე ერთობლივად და ისევ სცენაზე დგომით აღგვენიშნა. გარდა იმისა, რომ ასაკობრივად დავმრგვალდით, ვიზუალურადაც დავმრგვალდით, თუმცა, ეს არ გვაშინებს. ჩვენ მთელი ცხოვრება ერთად მოვდივართ, ამიტომ უერთმანეთოდ არ შეგვიძლია. ახლა გადავწყვიტეთ, ჩვენი იუბილეები ასე აღვნიშნოთ და ისევ და ისევ კონცერტებში ვართ ჩართული.

***– გიყვართ იუბილეები?***

– გვიყვარს, რატომაც არა. ჩვენ რამდენიმე წარმატებული პროექტი შევქმენით, რომლებმაც დროს ნამდვილად გაუძლო. 10 წელი არსებობდა „მღერიან და ხუმრობენ ქართული ესტრადისა და კინოს ვარსკვლავები“, რომელმაც ნამდვილად დიდი სიამოვნება მიანიჭა მაყურებელს. „იუმორინა“ უკვე ამდენი წელია არსებობს. ჩვენ, საბედნიეროდ, შეგვწევს ძალა, რომ მაყურებელს ხარისხიანი კონცერტები შევთავაზოთ.

***– მიუხედავად იმისა, რომ ივერიელები ასაკითაც დამრგვალდით და ვიზუალურადაც, „ივერია“ კონცერტებისთვის მზად არის?***

– რა თქმა უნდა. მიუხედავად იმისა, რომ ბუთხუზი აღარ გვყავს, მშვენიერ ფორმაშია მანანა თოდაძე, მშვენიერ ფორმაშია თემურ წიკლაური და მან დეკემბერში გამართულ სოლოკონცერტზე ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა, მშვენიერ ფორმაში არიან ნუგზარ კვაშალი, ვახტანგ ტატიშვილი. თუკი ამის სურვილი იქნება, ისევ შევიკრიბებით და ჩვენს სათქმელს ვიტყვით. მართალია, ისეთი უწყვეტი ტემპებით აღარ შეგვიძლია კონცერტების ჩატარება, მაგრამ მაინც მზად ვართ, ჩვენი ხალხის სამსახურში ვიდგეთ.

***– ბატონო ჯემალ, თქვენი სცენარები ყოველთვის დღევანდელობაზეა. ადვილად წერთ სცენარებს?***

– ჩვენ გვინდა, ისეთი თემები წამოვწიოთ, რომლებიც აქტუალურია და ზოგჯერ – მტკივნეულიც. გვინდა, სათქმელი სიცილსა და იუმორში ვთქვათ, თუმცა, არავის დაცინვას არ ვაპირებთ. ნამდვილად არის ჩვენს ქვეყანაში საკითხები, რომლებსაც შველა სჭირდება. თუმცა, ღმერთმა გვითხრა, გაანძრიე ხელი და გეშველებაო. მე კი დავამატებდი, ცოტა ტვინიც რომ გავანძრიოთ ქართველებმა, ნამდვილად არ იქნება ურიგო.

***– აქტუალურ თემებს როგორ ირჩევთ?***

– დღევანდელი მდგომარეობა მაძლევს საშუალებას, დავწერო ის, რაც ჩემს ხალხს სტკივა და აწუხებს და სცენარში ეს ყველაფერი ისე გადმოვცე, რომ არავინ გავალიზიანო. ვინმეს კბენა და ვინმესკენ თითის გაშვერა ჩვენი საქმე არ არის. ჩვენ ვიცით, რა როგორ უნდა გავაკეთოთ და ამის დასტურია ამდენწლიანი ანშლაგები ჩვენს კონცერტებზე.

***– ბატონო ჯემალ, რატომ არ ბეზრდებით მაყურებელს?***

– ხომ გითხარით, ჩვენი მთავარი საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ გვაქვს ყოველთვის ახალი პროგრამა და გვყავს საინტერესო, ნიჭიერი ხალხი, რომლებიც თავიანთ ჟანრში მაქსიმალურად მუშაობენ. სიახლე და ნიჭიერება კი ჩვენს მაყურებელს განსაკუთრებულად უყვარს, თან ვარჩევთ ისეთ თემებს სცენარისთვის, რომლებიც იმ დროს აქტუალურია და მაყურებელი ჩვენს საღამოებზე არ მოიწყენს.

***– როგორ გგონიათ, კიდევ რამდენ ხანს გაძლებს „იუმორინა“?***

– სანამ მაყურებელს მისი ნახვა ენდომება, მანამდე „იუმორინა“ იარსებებს, ჩვენ კი მზად ვართ, ჩვენი ხალხის სამსახურში ბოლომდე დავიხარჯოთ.

***– რა ღირს ბილეთები „იუმორინაზე“?***

– ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, ყველა ფენის ადამიანის მდგომარეობა გავითვალისწინოთ და არ დავადოთ ბილეთს ისეთი ფასი, რომ მისი ყიდვა გაჭირდეს. „იუმორინაზე“ დასასწრები ბილეთბის ფასი 10-დან 25 ლარამდეა.

***– მომავალ წელს უფრო ბევრ კონცერტს ჩაატარებთ?***

– რა თქმა უნდა. უფრო მობილიზებულნი ვიქნებით და ჩვენს ერთგულ მაყურებელს კიდევ მეტ კონცერტს შევთავაზებთ.

# „ლედ ზეპელინი“ — ბრილიანტის ალბომთა სამეულში

**„ლედ ზეპელინი“ — ინგლისური როკ ჯგუფი, დაარსდა 1968 წლის სექტემბერში. ჯგუფის წევრები იყვნენ ჯიმი პეიჯი, რობერტ პლანტი, ჯონ ბონემი და ჯონ პოლ ჯონსი. „ლედ ზეპელინი“ „დიფ ფარფლსა“ და „ბლექ საბათთან“ ერთად ითვლება მძიმე როკის ერთ-ერთ პიონერად და დიდი წვლილი მიუძღვის მუსიკის ამ ჟანრის განვითარებაში.**




1980 წელს „ლედ ზეპელინი“ დაიშალა ჯონ ბონემის სიკვდილის გამო, თუმცა ის კვლავ რჩება ერთ-ერთ საუკეთესო და ლეგენდარულ ჯგუფად როკის სამყაროში. ეს განაპირობა ჯგუფის კომერციულმა წარმატებამ, მიღწევებმა და მისმა გავლენამ სხვა შემსრულებლებზე. დღევანდელი დღისთვის გაყიდულია „ლედ ზეპელინის“ 300 მილიონზე მეტი ალბომი მთელ მსოფლიოში, მათ შორის აშშ-ში – 109.5 მილიონი. „ლედ ზეპელინი“ ერთადერთი ჯგუფია, რომლის ყველა ალბომი აშშ-ის საუკეთესო მუსიკალურ ათეულში მოხვდა.

## „ლედ ზეპელინი“ — პირველი ალბომი

ჯგუფის სადებიუტო ალბომი გამოიცა 1969 წლის 12 იანვარს, მათი პირველი ტურის დასრულების შემდეგ. მასში ერთმანეთს კარგად ერწყმის ბლუზი, ფოლკლორული მოტივები და აღმოსავლური ჰანგები. დისკი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მსუბუქი მეტალის ჩამოყალიბებისათვის. მიუხედავად ამისა, პლანტი ამტკიცებდა, რომ ჯგუფი არ უნდა განიხილონ მსუბუქი მეტალის შემსრულებლად, რადგანაც მათი მუსიკის მესამედი აკუსტიკური იყო.

ალბომის ჩაწერას დასჭირდა სტუდიური დროის 36 საათი. ალბომის პროდიუსირებას 1.750 გირვანქა სტერლინგი დასჭირდა (ყდის შექმნასთან ერთად). 1975 წლისათვის ალბომის გაყიდული ასლების რაოდენობა 7.000.000-ს გასცდა.

## „ლედ ზეპელინი“ II

არსებობის პირველი წელიწადის განმავლობაში, ლედ ზეპელინმა აშშ-სა და ბრიტანეთში 4-4 ტური გამართა, მაგრამ პარალელურად გამონახა მეორე ალბომის ჩაწერის დრო. ალბომი ჩრდილოამერიკულ სტუდიებში ჩაიწერა და გამოსვლისთანავე უფრო დიდი წარმატება ხვდა წილად, ვიდრე პირველს. ორივე ქვეყნის რეიტინგებში მან მიაღწია პირველ ადგილს. აქ ჯგუფმა განავრცო პირველ ალბომზე გამოტანილი იდეები და შექმნა ჩანაწერი, რომელიც კრიტიკოსებმა უფრო პოზიტიურად მიიღეს, ხოლო ჯგუფმა მოყვარულების ახალი ტალღა შეიძინა. მიიჩნევენ, რომ ეს ალბომი იქცა 70-იანების მძიმე როკის მთავარ მოვლენად.



ალბომის გამოსვლის შემდეგ ამერიკაში კიდევ რამდენიმე ტური მოეწყო. ჯგუფი უფრო უკრავდა კლუბებში, ვიდრე დიდ დარბაზებსა და სტადიონებზე. კონცერტი სამ საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა და მიმდინარეობისას იმპროვიზაციით სრულდებოდა ჯგუფის იმ დროისათვის ცნობილი სიმღერები.

## „ლედ ზეპელინი“ III

მესამე ალბომის დასაწერად პეიჯი და პლანტი განმარტოვდნენ უელსში მდებარე ერთ-ერთი კოტეჯში, ბრონ-ი-ავრში. ხალხური და კელტური მუსიკის გავლენის გამო, ალბომმა ჯგუფი განვითარების კიდევ ერთ ეტაპზე გადაიყვანა.

ალბომის აკუსტიკურმა ჟღერადობამ ერთმანეთისგან განსხვავებული შეფასებები გამოიწვია. უამრავი მოყვარული გაკვირვებული იყო, რომ „ლედ ზეპელინმა“ პრინციპულად უარი თქვა პირველი ორი ალბომის ნახევრად ელექტრონულ ჟღერადობაზე. დროთა განმავლობაში მსმენელებმა უფრო დადებითად მიიღეს ეს დისკი.

ალბომის უკანასკნელი სიმღერაა „ჰათს ოფ თუ ჰარპერ“, რომელიც ეძღვნება იმ დროის კიდევ ერთ პოპულარულ მუსიკოსს, როი ჰარპერს. იგი ჯგუფის წევრებისათვის ერთ-ერთი საყვარელი მუსიკოსი იყო და მათ აკუსტიკური მუსიკისადმი დიდი ინტერესი გაუჩინა.

„ლედ ზეპელინის“ არსებობის პირველი წლები დაჩრდილა 1971-1975 წლებში მიღწეულმა წარმატებამ. ამ პერიოდშივე გამოიცა მათი საუკეთესო ალბომები. ჯგუფი არა მხოლოდ მუსიკით, არამედ სცენის მიღმა მიმდინარე შეშლილი ცხოვრებით იყო ცნობილი. „ლედ ზეპელინი“ იმ პერიოდში საკუთარი თვითმფრინავით მოგზაურობდა. ჯგუფის წევრები ქირაობდნენ ერთდროულად სასტუმროს რამდენიმე ნომერს, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „კონტინენტალ ჰაიატი“, ლოს ანჯელესში. ბევრი ჟურნალისტი თვალს ადევნებდა მათ ცხოვრებას, შემდეგ კი სტატიებს წერდა ჯგუფის მიერ მოწყობილ დებოშებზე. ბენდი ცნობილი იყო იმით, რომ ამტვრევდა სასტუმროში განლაგებულ ავეჯს და ყრიდა ტელევიზორებს ფანჯრებიდან. უფრო მეტიც – ერთ-ერთი ასეთი ორგიის დროს ჯონ ბონემი მოტოციკლით დარბოდა დაქირავებულ სართულზე.

## მეოთხე ალბომი

„ლედ ზეპელინის“ მეოთხე ალბომი 1971 წლის 8 ნოემბერს გამოიცა. ყდაზე ჯგუფის ან ალბომის სახელწოდება არც კი იყო ნახსენები, მაგრამ გამოსახული იყო ოთხი უცნაური სიმბოლო. ჯგუფმა ასეთი ნაბიჯი გადადგა მაშინ, როდესაც პრესაში გაჩნდა მოსაზრებები, თითქოს „ლედ ზეპელინის“ იმიჯი გაზვიადებული და მეტისმეტად ხმაურიანია. პასუხად, გამოიცა ალბომი, რომლის ყდაზეც არც იყო ნახსენები ჯგუფი და ეს იმის დასამტკიცებლად, რომ ალბომი გაიყიდება ყოველგვარი ზედმეტი რეკლამის გარეშე. ალბომს ხშირად უწოდებენ ოთხ სიმბოლოს და მეოთხე ალბომს.

„ლედ ზეპელინის“ შემდეგი ალბომი 1973 წელს გამოვიდა. მასში უფრო მეტი ექსპერიმენტი განხორციელდა, ხანგრძლივი სიმღერებითა და სინთეზატორის/მელოტრონის ორკესტრირების გამოყენებით.

ალბომის მკვეთრი ნარინჯისფერი ყდა შექმნილია ჰიპნოზისტის მიერ. მასზე გამოსახულია შიშველი ბავშვები, რომლებიც მიცოცავენ ბაზალტის ქვებზე. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვები ზურგის მხრიდან არიან ნაჩვენები, ალბომის გამოსვლისას ამ გამოსახულებამ კრიტიკა გამოიწვია. სხვადასხვა ქვეყნებში ალბომი აიკრძალა.

ალბომი უმალ მოხვდა რეიტინგების სათავეში, რასაც მოჰყვა „ლედ ზეპელინის“ 1973 წლის ჩრდილოამერიკული ტური. მაყურებლის დასწრების მხრივ მან ყველა რეკორდი მოხსნა. ტამპას სტადიონზე (ფლორიდა) მათ დაუკრეს 56.800 მოყვარულის წინაშე და ამით „ბითლზის“ 1965 წლის კონცერტის რეკორდი მოხსნეს. სამივე კონცერტი „მედისონ სკვერ გარდენში“ გადაღებული იქნა ფილმისათვის, მაგრამ მოგვიანებით მხოლოდ ერთი გამოიცა.

1974 წელს ჯგუფმა შეისვენა სესიებისგან და ტურისგან და საკუთარი ხმისჩამწერი სტუდია დააარსა.

1975 წლის 24 თებერვალს გამოვიდა „ლედ ზეპელინის“ პირველი ორმაგი ალბომი. აქ არის თხუთმეტი სიმღერა, რომელთა ნაწილიც (8 სიმღერა) ჩაიწერა ჰიდლი გრენჯში 1974 წელს. დანარჩენი სიმღერები ჩაიწერა წინა წლებში, მაგრამ არ იყო შეტანილი არც ერთ ალბომში.

ჟურნალ „როლინგ სტოუნზის“ რეცენზიაში ალბომს მაღალი შეფასება მიეცა და აღინიშნა, რომ ჯგუფს ცოტა ეკლდა მსოფლიოს საუკეთესო როკ-ჯგუფებამდე, როგორებიც არიან „როლინგ სტოუნზი“ და „ვო“. ალბომი, მიუხედავად ბევრი კრიტიკისა, წარმატებული გამოდგა.

1976 წლისათვის „ლედ ზეპელინი“ მსოფლიო მასშტაბით უფრო პოპულარული და ცნობილი იყო, გაყიდა უფრო მეტი ალბომი, ვიდრე სხვა ჯგუფებმა, მათ შორის, „როლინგ სტოუნზმაც“. მათი კონცერტები უკვე შეიცავდა თეატრალურ ელემენტებსა და განათების ახალ საშუალებებს. მიუხედავად დიდი წარმატებისა, ჯგუფის წევრების ცხოვრებაში ადგილი ჰქონდა უარყოფით მოვლენებს – 1977 წელს გარდაიცვალა რობერტ პლანტის შვილი, ჯიმი პეიჯი კი ჰეროინს ეტანებოდა, ხოლო 1980 წელს ჯონ ბონემის დაღუპვამ ყველაფერს წერტილი დაუსვა.

ერლს კორტის ტრიუმფალური კონცერტების შემდეგ ადგილი ჰქონდა დაუგეგმავ პაუზას. 1975 წლის აგვისტოში რობერტ პლანტი და მისი მეუღლე მორინი მოხვდნენ ავტოავარიაში. რობერტმა მოიტეხა მუხლი, ხოლო მორინი სერიოზულად დაზიანდა და სისხლის გადასხმების შედეგად მოახერხდა მისი გადარჩენა. ამ პერიოდში პლანტს არ შეეძლო ჯგუფთან მუშაობა და აგვისტო-სექტემბერში ნიუ ჯერსიში ისვენებდა. შემდეგ კი ჯგუფი შეიკრიბა მალიბუში და დაიწყო შემდეგი ალბომის მუსიკალური მასალის შექმნა.

1976 წლის მარტში გამოვიდა ახალი ალბომი, რომელშიც აღინიშნა „ლედ ზეპელინის“ სტილის მცირე ცვლილება. აქ იყო უფრო მეტი იმპროვიზაცია გიტარაზე. მათ უარი თქვეს აკუსტიკურ ბალადებზე, რამაც მოყვარულების მხრიდან უკმაყოფილება გამოიწვია.

კრიტიკის მიუხედავად, ჯიმი პეიჯი ალბომს თავის საყვარელ ალბომად თვლიდა – მისი აზრით, ეს ალბომი ყველაზე მეტად „ლედ ზეპელინურია“.

რობერტ პლანტის ტრავმამ ჯგუფს 1976 წელს სცენაზე დაბრუნებაში ხელი შეუშალა.

1977 წელს „ლედ ზეპელინმა“ აშშ-ში ტური დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსურ პრობლემებს ადგილი არ ჰქონია, სცენის მიღმა ბევრ პრობლემას ჰქონდა ადგილი. ცუდი ამინდის გამო ტამპას სტადიონის კონცერტი საკმაოდ ხანმოკლე გამოდგა. განცხადება კონცერტის შეწყვეტაზე შეშლილმა მსმენელებმა უარყოფითად მიიღეს და სტადიონზე აურზაური დაიწყო, რის შედეგადაც დააპატიმრეს რამდენიმე ადამიანი, ხოლო დიდი ნაწილი მსმენელებისა დაზიანდა პოლიციასთან შეტაკებისას.

ოკლენდში ჩატარებული კონცერტი აშშ-ში ჯგუფის უკანასკნელი გამოსვლა იყო. ცნობილი გახდა, რომ პლანტის ხუთი წლის შვილი კერაკი კუჭის ვირუსით დაიღუპა. ტურის დარჩენილი კონცერტები მოიხსნა გრაფიკიდან.

1978 წლის დეკემბერში ჯგუფი კვლავ დაბრუნდა სტუდიაში. შედეგად გამოიცა ალბომი, რომელშიც კვლავ იყო ექსპერიმენტები ელექტრონულ მუსიკასთან. კრიტიკოსებმა კვლავაც დაიწუნეს დისკი, თუმცა ძველმა მოყვარულებმა დადებითად შეაფასეს. ალბომი გამოსვლიდან უკვე მეორე კვირას მოხვდა აშშ-ისა და ბრიტანეთის რეიტინგების 1-ლ ადგილზე.

1979 წლის აგვისტოში, კოპენჰაგენში გამართული ორი შოუს შემდეგ, „ლედ ზეპელინი“ პირველი სტუმრის სახით გამოდიოდა ნებუორტის 1979 წლის ფესტივალზე. ამ ფესტივალზე მაყურებლის რაოდენობა 120.000 ადამიანს აღწევდა. ჯგუფი სრული სახით დაუბრუნდა მსმენელს. მიუხედავად ამისა, პლანტს ჯერ არ შეეძლო მოგზაურობა. უფრო მეტიც, მას სურდა „ლედ ზეპელინის“ დატოვება, მაგრამ პიტერ გრანტის თხოვნით დარჩა. მცირემასშტაბიანი, ფორმალური ტური მოეწყო 1980 წელს. გერმანიის კონცერტის მსვლელობისას, მესამე სიმღერის შესრულებისას ბონემი გადმოვარდა სცენიდან და მოხვდა ჰოსპიტალში. პრესაში გაჩნდა ვარაუდი, თითქოს ბონემი ზედმეტ ალკოჰოლსა და ნარკოტიკებს ეტანებოდა, მაგრამ ჯგუფის წევრები ამტკიცებდნენ, თითქოს იმ დღეს მან ზედმეტი საჭმელი მიირთვა.

1980 წლის 24 სექტემბერს „ლედ ზეპელინის“ ტექნიკურმა ასისტენტმა რექს კინგმა ბონემი სტუდიაში წაიყვანა, სადაც ჯგუფი რეპეტიციებს გადიოდა. „ლედ ზეპელინს“ 3-წლიანი პაუზის შემდეგ ამერიკული ტურნე უნდა დაეწყო. მგზავრობისას ბონემმა კინგს სთხოვა გაჩერება. რესტორანში შესულმა ბონემმა დალია თექვსმეტი 400 მილილიტრიანი ჭიქა არაყი და დააყოლა ხორცის დიდი ნაჭერი. ამ ყველაფრის შემდეგ მან კვლავაც განაგრძო საუზმის მირთმევა. სტუდიაში მისული ბონემი კვლავ სვამდა. გვიან საღამოს ყველამ გადაინაცვლა პეიჯის სახლში, უინდძორში. შუაღამისას ბონემს ჩაეძინა. იგი ასწიეს და გადაიტანეს საწოლში. მეორე დილით კი „ლედ ზეპელინის“ ტურ მენეჯერმა ბენჯი ლეფევრმა და ჯონ პოლ ჯონსმა მკვდარი იპოვეს. ბონემი 32 წლის ასაკში დაიღუპა.

სიკვდილის მიზეზად დასახელდა ნარწყევის შედეგად შექმნილი ასფიქსია. სხეულის გაკვეთის შედეგად ნარკოტიკული ნივთიერებები ბონემის სხეულში არ აღმოჩნდა. დაღუპვის მთავარი მიზეზი იყო ალკოჰოლიზმი, რომელიც მუსიკოსს ჯგუფის დაარსების დღიდან მოჰყვებოდა. 1980 წლის 10 ოქტომბერს მის სხეულს ჩაუტარდა კრემაცია.

გავრცელდა ჭორები, თითქოს მის მაგივრად ჯგუფს შეუერთდებიან კოუზი პაუელი, კერმინ ეპისი, ბერიმორ ბარლოუ, საიმონ კირკი ან ბევ ბევანი, მაგრამ დარჩენილმა სამმა წევრმა ოფიციალურად განაცხადა ჯგუფის დაშლის შესახებ. 1980 წლის 4 დეკემბერს მათ გამოსცეს ოფიციალური პრესრელიზი, სადაც ითქვა, რომ ბონემის გარეშე ჯგუფი არ იარსებებს.

– გვსურს, ყველამ იცოდეს, რომ ჩვენი საყვარელი მეგობრის დაკარგვამ და ჩვენსა და მენეჯერს შორის არსებულმა უწყვეტმა ჰარმონიამ მიგვაღებინა გადაწყვეტილება, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ამ ყველაფრის ისე გაგრძელება, როგორც ადრე იყო, – ასეთი გახლდათ ჯგუფის წევრების აზრი.

## შემდგომი წლები

1982 წელს ჯგუფის დარჩენილმა წევრებმა კრებულის სახით გამოსცეს „ლედ ზეპელინის“ სხვადასხვა სესიიდან დარჩენილი ჩანაწერები.

1985 წლის 13 ივლისს პეიჯი, პლანტი და ჯონსი გამოვიდნენ საქველმოქმედო კონცერტზე. დასარტყამ ინსტრუმენტებზე დროებით უკრავდნენ ტონი ტომპსონი და ფილ კოლინზი. კოლინზმა აგრეთვე დაუკრა პლანტის პირველ ორ სოლო-ალბომზე. პეიჯის თქმით, გამოსვლა საკმაოდ ქაოტური იყო.

ჯგუფის სამი წევრის კიდევ ერთ გაერთიანებას ადგილი ჰქონდა 1988 წლის მაისში. ეს იყო კონცერტი, რომელიც მიეძღვნა კომპანია „ატლანტიკ რეკორდსის“ არსებობის 40 წელიწადს. ამ კონცერტზე დასარტყამებზე უკრავდა ჯეისონ ბონემი, ჯონ ბონემის შვილი. ჩანაწერი შეფასდა, როგორც სუსტი, მით უმეტეს, რომ ჯიმი პეიჯი საკმაოდ იმ დღეს ცუდად უკრავდა.

1995 წლის 12 იანვარს „ლედ ზეპელინი“ შეყვანილი იქნა აშშ როკ-ენ-როლის დიდების დარბაზში. ისინი წარადგინეს ჯგუფ „აეროსმიტის“ მუსიკოსებმა, სტივ ტაილერმა და ჯო პერიმ. ცერემონიას ასევე ესწრებოდნენ ჯეისონ და ზო ბონემები. ჯონ პოლ ჯონსმა ცივად იხუმრა – მადლობა ჩემს მეგობრებს, რომლებსაც ჩემი ტელეფონი გაახსენდათ. მოგვიანებით ჯგუფმა, ტაილერთან და პერისთან, აგრეთვე ჯეისონ ბონემთან, ნილ იანგთან და მაიკლ ლისთან ერთად დაუკრა „ლედ ზეპელინის“ რამდენიმე სიმღერა.

1997 წლის 11 ნოემბერს გამოიცა „ლედ ზეპელინის“ ალბომი, რომელშიც შეტანილია ჯგუფის თითქმის ყველა ჩანაწერი. ალბომის ინიციატორი კომპანია ბი-ბისი იყო.

1999 წლის 29 ნოემბერს გამოცხადდა, რომ „ლედ ზეპელინი“ მესამე ჯგუფია მუსიკის ისტორიაში, რომლის ალბომებსაც მიენიჭა ბრილიანტის დისკების სტატუსი.

2002 წლის ოქტომბერში ბრიტანულმა პრესამ გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს პლანტი და ჯონ პოლ ჯონსი შერიგდნენ და გეგმავენ ტურს. მოგვიანებით პლანტმა და პეიჯმა ეს ინფორმაცია უარყვეს.

2005 წელს „ლედ ზეპელინმა“ მიიღო გრემის სპეციალური ჯილდო.

2006 წლის ნოემბერში „ლედ ზეპელინი“ შეყვანილი იქნა ბრიტანეთის მუსიკის დიდების დარბაზში.

2007 წლის 12 სექტემბერს ჯგუფის პრომოუტერმა ჰარვი გოლდსმიტმა გამოაქვეყნა ოფიციალური პრეს რელიზი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „ლედ ზეპელინის“ დარჩენილი სამი წევრი, ჯეისონ ბონემთან ერთად გამოვა აჰმეტ ერტეგუნისადმი მიძღვნილ საქველმოქმედო კონცერტზე. ბილეთები ამ კონცერტზე გათამაშდა სპეციალური ლატარიის მეშვეობით. მთელი შემოსავალი გადაირიცხა აჰმეტის სახელობის ფონდში. ვებ გვერდი, რომელზეც თამაშდებოდა ბილეთები, გადაიტვირთა ერთდროულად მრავალი ათასი მომხმარებლის ვიზიტის გამო და გაითიშა. 20.000 ბილეთზე გამოჩნდა მილიონობით მსურველი.

2007 წლის 1 ნოემბერს ცნობილი გახდა, რომ ჯიმი პეიჯმა მოიტეხა მარცხენა ხელის შუა თითი და გაერთიანება გადაიდო 10 დეკემბრამდე.

10 დეკემბერს ჯგუფი გამოვიდა მთელი რიგი ცნობილი სიმღერების შესრულებით. ტელეეთერში ნაჩვენები იქნა მხოლოდ სიმღერის „ბლექ დოგ“ ნაწყვეტი.

მუსიკალურმა კრიტიკოსებმა ერთხმად აღიარეს, რომ მათ შეუძლიათ ისეთი დონეზე დაკვრა, რომ ლეგენდების სტატუსი შეინარჩუნონ და კვლავაც აქვთ მათი ხილვისა და მოსმენის სურვილი.

მიუხედავად იმისა, რომ პლანტმა არ დაადასტურა, რომ მსოფლიო ტური ნამდვილად მოეწყობა, მან აღნიშნა, რომ ერთობლივი კონცერტები დრო და დრო არც ისე ცუდი იქნებოდა. თუმცა, აქამდე არ გამოჩენილან.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ალექს ფერგიუსონი: „ორი წელია, პოლ სქოულზის მსგავს ფეხბურთელს ვეძებ“



**მანჩესტერ იუნაიტედის მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი თამამად შეგვიძლია მივიჩნიოთ მსოფლიოს ყველაზე უხვტიტულიან მწვრთნელად. ლეგენდარულმა სპეციალისტმა კარიერის მანძილზე 47 ჯილდო მოიგო.**

სერ ალექსთან ინტერვიუ იტალიურ გაზეთ „კორიერო დელო სპორტში“ გამოქვეყნდა.

***– სერ ალექს, გვითხარით, ფეხბურთის ლეგენდები როგორ ხდებიან?***

– უბრალოდ, საჭირო კლუბში მოვხვდი – „მანჩესტერ იუნაიტედი“ არსებობის ისტორიაში მსოფლიო ფეხბურთში მაჩანჩალა არასოდეს ყოფილა. როდესაც კლუბში მივედი, ჩემი მიზანი იყო, მისთვის ის წარმატება მომეტანა, რომელიც მეტ ბასბის პერიოდის შემდეგ დაიკარგა. ბუნებრივია, ამას გარკვეული დრო დასჭირდა. თავდაპირველად ცვლილებებისთვის მზად არ ვიყავი. ყველაფერი ნულიდან უნდა დამეწყო, რადგან ყოფილ მწვრთნელს ჩემთვის კარგი მემკვიდრეობა არ დაუტოვებია. ფეხბურთი ისე, როგორც ყველა ქარხანა, წარმატებაზეა დამოკიდებული. როდესაც მწვრთნელი კლუბში მიდის, ფიქრობს, რომ გუნდი უფრო მაღალ დონეზე ათამაშოს. მეც იგივეს ვფიქრობდი და ჩემი იდეების შეცვლა არ შემეძლო. ამიტომ, ზუსტად ისე დავიწყე მუშაობა, როგორც „აბერდინში“ ვაკეთებდი.

***– იტალიურ ფეხბურთზე რა აზრის ხართ? წლეულს სერია ა უფრო გვიან დაიწყო, ვიდრე იგეგმებოდა, რადგან ქვეყანაში გაფიცვები იყო. ამ მცირე დროშიც ორი მწვრთნელის გათავისუფლება უკვე მოასწრეს.***

– ისტორია, მათ შორის ფეხბურთიც, პერიოდულობით ვითარდება. გასულ საუკუნეში იყო „რეალის“, „ბენფიკას“, „აიაქსის“, „ბაიერნის“ ეპოქა. ყველას კარგად ემახსოვრება „მილანის“ ოქროს ხანა და იტალიური ფეხბურთის დიდება. შემდეგ წინა ადგილებზე ესპანურმა გუნდებმა წამოიწიეს – ამჟამად, „ბარსელონასა“ და „რეალს“ მსოფლიოში საუკეთესო შემადგენლობები ჰყავთ. ინგლისური ფეხბურთიც აღმავლობის გზაზეა. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ჩემპიონთა ლიგის ფინალში სამჯერ ითამაშა. დღესდღეობით, იტალიურ ფეხბურთს კრიზისის პერიოდი უდგას, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდება.

***– პეპ გვარდიოლას მსგავსი მწვრთნელები წარმატებით სარგებლობენ. შეიქმნა აზრი, რომ შედეგის მოტანა სწორედ ახალგაზრდა სპეციალისტებს შეუძლიათ. შეიძლება ამ ვარიანტმა იტალიაში იმუშაოს?***

– ამ ვარიანტს ყველგან ვერ გამოიყენებ. უნდა გვახსოვდეს, რომ გვარდიოლამ ფეხბურთელობისას გამოცდილება ისეთი სპეციალისტებისგან მიიღო, როგორებიც კრუიფი და ვან გაალია. მათგან ძალიან ბევრი ისწავლა, თუმცა, გვარდიოლას თავისიც არ უნდა დავუკარგოთ – მაგალითად, აქტიური პრესინგი.

***– „ბარსელონას“ ფეხბურთის ისტორიაში უძლიერეს გუნდად მიიჩნევთ?***

– დღევანდელი „ბარსელონა“ ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი კლუბის სახელით შევა, ისევე, როგორც ბარეზის, ანჩელოტისა და დონადონის „მილანი“. ფეხბურთში მოკლე მეხსიერება აქვთ – ახლა ყველა ისე საუბრობს „ბარსელონაზე“, როგორც თავის დროზე „მილანზე“. თითოეულ გუნდს თავისი დიდების წუთები აქვს – რაც „მილანს“ გუშინ ჰქონდა, „ბარსელონას“ დღეს აქვს. ყველა კლუბს ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა უნდა გადავუხადოთ. არ ვფიქრობ, რომ აუცილებელია უძლიერესებიდან ყველაზე ძლიერი ავირჩიოთ. უბრალოდ, უნდა გვახსოვდეს, რომ თავის დროზე გარკვეული გუნდები განსაკუთრებულები იყვნენ.

***– ბოლო 25 წლის განმავლობაში ფეხბურთი ძალიან შეიცვალა, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედი“ მაინც ყოველთვის ლიდერად რჩებოდა, დევიდ ბექჰემისა და კრიშტიანუ რონალდუს გაყიდვის მიუხედავად. როგორ ახერხებთ მუდამ კონკურენტუნარიანი გუნდის შენარჩუნებას?***

– რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ამას საკმაოდ მარტივად ვახერხებ, რადგან მომავალს ყოველთვის თვითრწმენით ვუყურებ. ეჭვი არ მეპარება, თუ ვინ არის და ვინ იქნება „მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარი მწვრთნელი. ვარ დღეს, ვიქნები ხვალ და ზეგ. შემიძლია, გათვლა მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაზე გავაკეთო. ჩემი სამუშაოს ნაწილი ისიც არის, რომ ყურადღებით ვაკონტროლო ახალგაზრდების პროგრესი და გამოცდილი ფეხბურთელების ასაკში შესვლა. მატჩების შედეგები არასოდეს ცდება – თუ ვინმე მოედანზე ყოფნის ღირსი არაა, ეს მაშინვე ჩანს. თუ მოთამაშის ასაკი კრიტიკულს უახლოვდება, ეს იმ წამსვე ხდება თვალშისაცემი. ერთია, ძნელია იმ ფეხბურთელებთან განშორება, ვისთანაც დროთა განმავლობაში ახლო ურთიერთობა გვიყალიბდება. თითოეულმა ჩემმა შეგირდმა განვლილ წლებში ძალიან ბევრი რამ მომცა. თუმცა, გარკვეულ მომენტში ვიწყებ კლუბის აკადემიაში ან სხვა გუნდებში პერსპექტიული ახალგაზრდების ძიებას, რომლებიც წასულებს სრულფასოვნად შეცვლიან ან შესაძლოა, უფრო უკეთესებიც გამოდგნენ. უკვე ორი წელია, პოლ სქოულზის მსგავს ფეხბურთელს ვეძებთ, მაგრამ ეს ჯერჯერობით შეუსრულებელი ამოცანაა.

***– კარიერის დასრულების შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედში“ მთავარი მწვრთნელის პოსტს ვის გადასცემდით?***

– ამ კითხვას ხშირად მისვამენ. ბევრი იმ მწვრთნელთაგანი, ვინც წარსულში ამ თანამდებობაზე პრეტენზიას აცხადებდა, ფეხბურთში აღარ მუშაობს. ვიმედოვნებ, რომ ვიპოვი ადამიანს, რომელსაც ამის პოტენციალი აქვს. ჯერჯერობით კი ეს საკითხი ღიაა. ერთს ვიტყვი – უახლოეს ხანში პენსიაზე გასვლას არ ვაპირებ.

***– ყველაზე მეტად რომელი იტალიელი ფეხბურთელი მოგწონთ, რომელსაც „მანჩესტერში“ მიიწვევდით?***

– ერთხელ ჩეზარე მალდინის მივმართე წინადადებით პაოლოს თაობაზე, მაგრამ მან ისე შემომხედა, როგორც გიჟს და მივხვდი, რომ ეს უარს ნიშნავდა. გარდა ამისა, ძალიან კარგი დამოკიდებულება მქონდა ჯანფრანკო ძოლას მიმართ.

***– უკვე მრავალი წელია, გვერდით რაიან გიგზი გყავთ. რა არის ამის მიზეზი?***

– ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ წარმატებისა და დიდების მიუხედავად, რაიანი და სქოულზი უბრალო და თავმდაბალ ბიჭებად დარჩნენ.

***– გსურთ, რომ ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადაზე დიდი ბრიტანეთის ნაკრებთან ერთად გაიმარჯვოთ?***

– ვფიქრობ, რომ ეს არარეალურია და საერთოდ, დიდი ბრიტანეთის ნაკრების სათავეში ვერასოდეს მიხილავთ, ვინაიდან შოტლანდიელები ამას ეწინააღმდეგებიან. ჩემს სამუშაო ადგილზე ბედნიერი ვარ და როდესაც ოლიმპიადა დაიწყება, მაშინაც „მანჩესტერზე“ ვიფიქრებ.

***– რას ფიქრობთ ჟოზე მოურინიოს ქცევებზე?***

– მის ამბიციაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, რადგან ახალგაზრდობაში თავადაც ასე ვიქცეოდი – მასსავით აქტიურად ვჟესტიკულირებდი, თამაშის მსვლელობისას მოედანზე შექმნილ სიტუაციაზე ემოციურად ვრეაგირებდი. მოურინიო ემოციური ხასიათით განსხვავდება სხვა მწვრთნელებისგან, რომლებიც უბრალოდ სხედან და რაღაცას ინიშნავენ. ჟოზესავით მეც შემიძლია დავიმახსოვრო ის, რაც მჭირდება. როდესაც დავინახე, „პორტუში“ მუშაობისას როგორ დარბოდა მოურინიო „ოლდ ტრაფორდზე“ აქეთ-იქით, საკუთარ თავს ვკითხე – ნუთუ, მეც ასეთი ვიყავი? საერთოდ, გულშემატკივრებს ემოციები მოსწონთ.

***– „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ წასვლა არასდროს გიფიქრიათ? სხვა კლუბების წარმომადგენლებს თქვენთვის სამუშაო თუ შეუთავაზებიათ, ან თუ იცოდნენ, რომ ამის გაკეთებას აზრი არ ჰქონდა?***

– მინდა გითხრათ, რომ საკმაოდ ბევრი შეთავაზება მქონდა, მაგრამ არანაირი პირობით არ წავიდოდი. რაც მჭირდება, „მანჩესტერში“ყველაფერი მაქვს.

***– დამწყებ მწვრთნელს რას ურჩევდით?***

– საქმე ის არის, რომ ყველაფერი, რაც ვარჯიშზე ხდება, თამაშის დროსაც უნდა განმეორდეს. კულტურა, რომელსაც საფუძველი ვარჯიშის დროს ეყრება, მატჩების დროს უნდა აისახოს. თუ ვარჯიშები არაპროდუქტიულია, ეს ყველაფერი მატჩების დროს იოლად შეიმჩნევა. ახალგაზრდა მწვრთნელმა საფუძველი მთელი კვირის განმავლობაში ვარჯიშზე უნდა ჩაყაროს და ფეხბურთელებს ყოველთვის მაღალი მოთხოვნები წაუყენოს.

# ანდრეი კირილენკო: „კარიერის განმავლობაში საკმაოდ დიდი თანხა დავაგროვე“

**ზაზა ფაჩულიასგან განსხვავებით ნბა-ში თამაშს არ ჩქარობს რუსეთის საკალათბურთო ნაკრების ლიდერი ანდრეი კირილენკო, რომელიც ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გამოცხადებული ლოკაუტის შედეგად სამშობლოში დაბრუნდა და მოსკოვის ცსკა-ს ღირსების დაცვას შეუდგა.**



ნბა-ში ლოკაუტი დასრულდა, თუმცა კირილენკო ოკეანისგაღმა გადაბარგებას არ ჩქარობს და კვლავინდებურად ევროპაში აგრძელებს თამაშს.

***– დატვირთული გრაფიკის გამო, ევროპისაგან განსხვავებით ამერიკაში უფრო მეტს თამაშობენ, ვიდრე ვარჯიშობენ. თქვენთვის რომელი უფრო მისაღებია?***

– ახალგაზრდულ გუნდებში დღეში 4-ჯერ ვვარჯიშობდი. ჯერი სლოუნთან კი იშვიათად და ცოტას. აქედან გამომდინარე, რამდენიმე ვარიანტს ვარ მიჩვეული. ცსკა-ს საკმაოდ კარგი შემადგენლობა ჰყავს. ტაქტიკური თამაშის გაუმჯობესება ფიზიკურ მომზადებასთან შედარებით უფრო მეტად გვჭირდება. აქედან გამომდინარე ლოგიკურია, რომ მრავალფეროვანი და საინტერესო ვარჯიშები გვაქვს და არა ძალიან მძიმე.

***– ევროლიგაში დაუმარცხებელი მხოლოდ ცსკა და „ბარსელონაა“. ამ ორი კლუბისა და მოქმედი ჩემპიონის, „პანათინაიკოსის“ გარდა, ტურნირზე კარგად თამაში კიდევ რომელ გუნდს შეუძლია და თუ გრჩებათ დრო კონკურენტებისათვის თვალყურის მისადევნებლად?***

– პირადად, თელ-ავივის „მაკაბი“ მომწონს. აშკარად ეტყობა დევიდ ბლატის ხელი და გამუდმებით მიმართავს საფირმო ტრიუკებს. „მაკაბის“ ყურება იმ შემთხვევაშიც მსიამოვნებს, თუ აგებენ, რადგან საინტერესო კალათბურთს თამაშობს. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ჩავარდნა აქვს, „რეალიც“ საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება. „სიენა“ მშვენიერი კლუბი იყო, თუმცა ორი ლიტველი რიმანტას კაუკენასისა და კშიშტოფ ლავრინოვიჩის ტრავმამ მნიშვნელოვნად დაწია უკან. „ბამბერგიც“ საინტერესოდ გამოიყურება. გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავს, თუმცა ფავორიტებს ღირსეულად ეთამაშება და ევროლიგის 16 საუკეთესო კლუბში მოსახვედრად იბრძვის.

***– რეიტინგის მიხედვით, მოხსნებითა და დაფარებებით ევროლიგის ლიდერი ხართ. ელოდით ამას?***

– სასიამოვნოა, როცა რაიმე მონაცემით ლიდერობ ან ინდივიდუალურ პრიზს იღებ, თუმცა პირად წარმატებას ყოველგვარი აზრი ეკარგება, თუ ამით გუნდს ვერ ეხმარები. ჩვენ შემთხვევაში ყველაფერი კარგადაა. ცსკა დაუმარცხებელია და მიხარია, რომ ეს ჩემი დამსახურებაცაა. რთულია, მაგრამ იმედია „პანათინაიკოსსაც“ დავამარცხებთ (ცსკა–მ მოიგო 91:75). საერთოდ, ევროპაში პირად მონაცემებს გაცილებით ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე ნბა-ში. შესაძლოა, მეოთხედფინალში რამდენიმე გადამწყვეტი ქულა გააკეთო და გუნდის მოგებაში წვლილი შეიტანო. ასე რომ, რეიტინგები მოთამაშეების როლს და მთლიან სურათს ვერ ასახავენ.

***– ეგზოტიკური ქვეყნებიდან სად გითამაშიათ ან უბრალოდ ყოფილხართ?***

– რთული შეკითხვაა. ჩინეთის გარდა ეგზოტიკური ქვეყნებიდან არსად ვყოფილვარ.

***– მოსკოვში სოლტ-ლეიკ-სიტისგან განსხვავებული ცხოვრების წესია. მიეჩვიეთ საცობებს, ხმაურსა და აურზაურს?***

– მოსკოვში ყოველ წელიწადს ჩამოვდივარ და ერთი თვის განმავლობაში ვრჩები. ასე რომ, გასაშინაურებელი ბევრი არაფერი იყო. რა თქმა უნდა, სხვაობა დიდია. სოლტ-ლეიკ-სიტიში სპორტ-დარბაზთან ძალიან ახლოს ვცხოვრობდი. ბავშვებს კი სკოლამდე მისასვლელად 40 წამი სჭირდებოდათ. ამ მხრივ, მოსკოვში ცხოვრება გაცილებით რთულია. თუმცა, არ შემიძლია ვთქვა, რომ რამით უკმაყოფილო ვარ. უბრალოდ, სახლიდან უფრო ადრე გავდივარ და გადასაადგილებლად უფრო მოკლე გზას ვეძებ. მინდა ვთქვა, რომ ნბა-ში თუ დავბრუნდი სათამაშოდ, ეს ფულის გულისთვის არ მოხდება. კარიერის განმავლობაში საკმაოდ დიდი თანხა დავაგროვე. ასე რომ, გადამწყვეტი ფაქტორი გუნდის ამბიციას ენიჭება.

# ზაზა ფაჩულია: „2011 წელი ჩემს კარიერაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული იყო“

დასაწყისი მე-24 გვერდზე

სრული დატვირთვით მიდის. ასეც უნდა იყოს, ჩვენ ხომ სერიოზული მატჩებისთვის ვემზადებით.

***– რამდენად მომზადებულები ჩამოხვედით შეკრებაზე?***

– ჩვენთვისაც საინტერესო იყო, ვინ როგორ ფორმაში მოვიდოდა, რადგან ნბა-ში ლოკაუტი დიდხანს გაგრძელდა. საბოლოოდ, მწვრთნელს უკმაყოფილების საბაბი არ უნდა ჰქონდეს – ყველა მოთამაშე მეტ-ნაკლებად კარგ კონდიციებშია, რადგან ზოგი კლუბში ვთამაშობდით, ზოგი ინდივიდუალურად ემზადებოდა.

***– შემადგენლობაში რამდენიმე ახალი სახეა. რას უნდა ელოდეს გულშემატკივარი „ჰოუქსისგან“?***

– ჩვენი მთავარი ამოცანაა რეგულარულ ჩემპიონატს სათანადო კონდიციებში შევხვდეთ. მანამდე, ერთმანეთის გაცნობაც უნდა მოვასწროთ და შეთამაშებაც. ვფიქრობ, ამ მხრივ პრობლემები არ გვექნება და „ატლანტა“ წლეულსაც ერთ-ერთი გამორჩეული გუნდი იქნება კონფერენციაში.

***– ნოემბერსა და დეკემბერში თურქეთში თამაშობდით.***

– რადგან ნბა-ში ლოკაუტი გამოცხადდა, მოედანზე დაბრუნება ევროპაში გადავწყვიტე. მქონდა რამდენიმე წინადადება, თუმცა ყველას თურქული ვარიანტი ვამჯობინე, რადგან ამ ქვეყანას კარგად ვიცნობ – ამერიკაში გადმოსვლამდე ექვსი წლის განმავლობაში სწორედ სტამბულში ვთამაშობდი და უამრავი გულშემატკივარი და მეგობარი შევიძინე.

***– „გალათასარაისთან“ ერთად ევროლიგაზე იასპარეზეთ.***

– ეს კლუბი ევროლიგის პარალელურად თურქეთის ჩემპიონატში გამოდიოდა და დიდი გამოცდილება მივიღე. „გალათასარაი“ მდიდარი ტრადიციების გუნდია, შემადგენლობაც კარგი ჰყავს და გულშემატკივარიც. დიდი სიამოვნება იყო გადაჭედილ დარბაზში თამაში. წამოსვლის წინ ქომაგები თბილად დამემშვიდობნენ.

***– ლოკაუტის დასრულებამ გული ხომ არ დაგწყვიტათ?***

– არა, რადგან ამერიკაში დაბრუნებასაც მოუთმენლად ველოდი. ატლანტა ჩემი სახლია და კონტრაქტის მიხედვით, „ჰოუქსში“ თამაშს კიდევ ორი წელი ვაპირებ. აქ თავს შესანიშნავად ვგრძნობ.

***– „გალათასარაის“ რამდენიმე მატჩი გამოტოვეთ. ამის მიზეზი რა იყო?***

– ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებში თამაშისას ფეხის ტრავმა მივიღე, რომელიც თურქეთში გადასვლამდე მოვიშუშე, თუმცა გამიმიზეზდა და დასვენება აუცილებელი იყო. მწყობრში რომ ჩავდექი, „გალათასარაის“ მაისურით რამდენიმე კარგი მატჩი ჩავატარე. ახლა მწყობრში ვარ და სრული დატვირთვით ვვარჯიშობ.

***– ბოლოს, ნაკრებზე ვთქვათ. რას ნიშნავდა საქართველოს ნაკრებისთვის ევროპის ჩემპიონატზე თამაში?***

– ქვეყნის ისტორიაში პირველად საკალათბურთო გუნდი ევრობასკეტზე მოხვდა, რაც დიდი წარმატება იყო როგორც გულშემატკივრისთვის, ასევე კალათბურთელებისთვის. ვამაყობ ჩემი გუნდით და მის მიერ ნაჩვენები შედეგით – ბევრისთვის მოულოდნელად, პირველი ჯგუფური ეტაპის ბარიერი გადავლახეთ და ტოპ-12-ში მოვხვდით. სწორედ ამიტომ, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ 2011 წელი ჩემს კარიერაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული იყო.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# უიქ ენდის ცენტრალური მატჩი მანჩესტერშია

## ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 17.12 | ვულვზი-სტოკი | 2.6 | 3.2 | 2.75 |
| 17.12 | ნიუკასლი-სუონსი | 1.85 | 3.3 | 4.5 |
| 17.12 | ევერტონი-ნორვიჩი | 1.67 | 3.4 | 6.0 |
| 17.12 | ფულემი-ბოლტონი | 1.67 | 3.4 | 6.0 |
| 17.12 | ბლექბერნი-ვესტ ბრომვიჩი | 2.4 | 3.2 | 3.0 |
| 17.12 | უიგანი-ჩელსი | 8.0 | 4.5 | 1.4 |
| 18.12 | ქპრ-მანჩესტერი | 7.0 | 4.0 | 1.5 |
| 18.12 | ასტონ ვილა-ლივერპული | 3.8 | 3.3 | 2.0 |
| 18.12 | ტოტენჰემი-სანდერლენდი | 1.4 | 4.2 | 9.0 |
| 18.12 | სიტი-არსენალი | 1.73 | 3.5 | 5.0 |

### ვულვზი-სტოკი

**ვულვზი:** ტრავმ-დევიდ ედვარდსი (?), ჯოდი გრადოკი

**სტოკი:** ტრავმ-ენდი უილკინსონი, მამადუ სიდიბე

### ნიუკასლი-სუონსი

**ნიუკასლი:** ტრავმ-მაიკ უილიამსონი, სტივენ ტეილორი, ფაბრიციო კოლოჩინი, სილვიან მარვო; დისკვ-დან გუსლინგი

**სუონსი:** ტრავმ-ანგელ რანგელი, ალან ტატე

### ევერტონი-ნორვიჩი

**ევერტონი:** ტრავმ-ლეო ოსმანი, ჯეკ როდველი, როისტონ დრენტე, ვიქტორ ანიშებე

**ნორვიჩი:** ტრავმ-დანიელ აიალა, ჯეიმს ვაუგანი, ელიოტ ვორდი

### ფულემი-ბოლტონი

**ფულემი:** ტრავმ-მაიკლ შვარცერი (?), დანი მერფი, სტივ სიდველი, ზდენეკ გრიგერა

**ბოლტონი:** ტრავმ-ივან კლასნიჩი, ნაიჯელ რეო კოკერი, ჯო რილი, რიკარდო გარდნერი, შონ დევისი; დისკვ-დევიდ ვიტერი

### ბლექბერნი-ვესტ ბრომვიჩი

**ბლექბერნი:** ტრავმ-მარტინ ოლსონი, მიჩელ სალგადო, გაელ ჟივე, დევიდ ჰოილეტი, რუბენ როჩინა, რაიან ნელსენი, ვინსე გრელა

**ვესტ ბრომვიჩი:** ტრავმ-ზოლტან გერა

### უიგანი-ჩელსი

**უიგანი:** ტრავმ-ანტონინ ალკაზარი, კრის კირკლანდი

**ჩელსი:** ტრავმ-მაიკლ ესიენი

### ქპრ-მანჩესტერი

**ქპრ:** ტრავმ-ანტონ ფერდინანდი, ადელ ტააბარტი, პედი კენი, კირონ დაიერი

**მანჩესტერი:** ტრავმ-დარენ ფლეტჩერი, ნემანია ვიდიჩი, ხავიერ ერნანდესი, დიმიტარ ბერბატოვი (?), ფაბიო, ანდერსონი, მაიკლ ოუენი, ტომ კლევერლი

### ასტონ ვილა-ლივერპული

**ასტონ ვილა:** ტრავმ-ფაბიენ დელფი (?), შეი გივენი, ერიკ ლიხაი; დისკვ-გაბრიელ აგბონლაჰორი

**ლივერპული:** ტრავმ-ლუკას ლეივა, სტივენ ჯერარდი; დისკვ-ჯეი სპრინგი

### ტოტენჰემი-სანდერლენდი

**ტოტენჰემი:** ტრავმ-რომან პავლუჩენკო (?), ლედლი კინგი, ტომ ჰუდელსტოუნი, მაიკლ დაუსონი; დისკვ-იუნის ქაბული

**სანდერლენდი:** ტრავმ-ნიკლას ბენდტნერი, კრეიგ გორდონი, ფრეიზერ კემბელი

### სიტი-არსენალი

**სიტი:** ტრავმ-მიკა რიჩარდი, ალექსანდრ კორალოვი; დისკვ-გაელ კლიში

**არსენალი:** ტრავმ-ლუკაშ ფაბიანსკი, ანდრე სანტოსი, აბუ დიაბი, კარლ იენკინსონი, კირონ გიბსი, ბაქარი სანია, ჯეკ უილშირი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 15 | 12 | 2 | 1 | 49 | – | 15 | 38 |
| 2.მანჩესტერი | 15 | 11 | 3 | 1 | 35 | – | 14 | 36 |
| 3.ჩელსი | 15 | 10 | 1 | 4 | 33 | – | 18 | 31 |
| 4.ტოტენჰემი | 14 | 10 | 1 | 3 | 30 | – | 18 | 31 |
| 5.არსენალი | 15 | 9 | 2 | 4 | 31 | – | 23 | 29 |
| 6.ლივერპული | 15 | 7 | 5 | 3 | 18 | – | 13 | 26 |
| 7.ნიუკასლი | 15 | 7 | 5 | 3 | 21 | – | 19 | 26 |
| 8.სტოკი | 15 | 6 | 3 | 6 | 16 | – | 24 | 21 |
| 9.ას.ვილა | 15 | 4 | 7 | 4 | 18 | – | 19 | 19 |
| 10.ნორვიჩი | 15 | 5 | 4 | 6 | 24 | – | 28 | 19 |
| 11.სუონსი | 15 | 4 | 5 | 6 | 16 | – | 20 | 17 |
| 12.ევერტონი | 14 | 5 | 1 | 8 | 15 | – | 18 | 16 |
| 13.ქპრ | 15 | 4 | 4 | 7 | 15 | – | 26 | 16 |
| 14.ფულემი | 15 | 3 | 6 | 6 | 16 | – | 18 | 15 |
| 15.ვ.ბრომვიჩი | 15 | 4 | 3 | 8 | 14 | – | 23 | 15 |
| 16.სანდერლენდ | 15 | 3 | 5 | 7 | 18 | – | 18 | 14 |
| 17.ვულვზი | 15 | 4 | 2 | 9 | 16 | – | 28 | 14 |
| 18.უიგანი | 15 | 3 | 3 | 9 | 14 | – | 29 | 12 |
| 19.ბლექბერნი | 15 | 2 | 4 | 9 | 22 | – | 34 | 10 |
| 20.ბოლტონი | 15 | 3 | 0 | 12 | 20 | – | 36 | 9 |

## ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 17.12 | ხიხონი-ესპანიოლი | 2.25 | 3.25 | 3.2 |
| 17.12 | მალიორკა-ხეტაფე | 2.15 | 3.25 | 3.4 |
| 17.12 | სევილია-რეალი | 7.5 | 4.2 | 1.45 |
| 18.12 | ატლეტიკო-ბეტისი | 1.53 | 3.8 | 6.8 |
| 18.12 | გრანადა-ლევანტე | 2.5 | 3.25 | 2.8 |
| 18.12 | ოსასუნა-ვილიარეალი | 2.15 | 3.25 | 3.4 |
| 18.12 | რასინგი-სოსიედადი | 2.15 | 3.25 | 3.4 |
| 18.12 | ვალენსია-მალაგა | 1.73 | 3.6 | 4.75 |

### ხიხონი-ესპანიოლი

**ხიხონი:** ტრავმ-ნაჩო კასესი (?), გასტონ სანგოუ, ალბერტო ლორა

**ესპანიოლი:** ტრავმ-ვალტერ პანდიანი (?), ხავი ლოპესი (?), ხავი მარკესი, ხუან ალბინი; დისკვ-ხუან ფორლინი

### მალიორკა-ხეტაფე

**მალიორკა:** ტრავმ-ნუნესი, კევინ ლაკრუსი

**ხეტაფე:** ტრავმ-პედრო ლეონი, ოსკარ უსტარი; დისკვ-მიჩელი, ვალერა, დიეგო კასტრო

### სევილია-რეალი

**სევილია:** ტრავმ-დიეგო პეროტი

**რეალი:** ტრავმ-რიკარდო კარვალიუ

### ატლეტიკო-ბეტისი

**ატლეტიკო:** ტრავმ-სილვიო, დიეგო კოსტა

**ბეტისი:** ტრავმ-ეზეკიელი, მარიო, ხავიერ ჩიჩა, ვადილო

### გრანადა-ლევანტე

**გრანადა:** ტრავმ-პაპე დიაკატე (?), ინიგო ლოპესი, ჰასან იებდა, კარლოს მარტინსი, მაინცი

**ლევანტე:** ტრავმ-ფრანსისკო ფარინოსი, ასიერ დელ ორნო

### ოსასუნა-ვილიარეალი

**ოსასუნა:** ტრავმ-კიკე სოლა, მარკ ბერტანი, რუბენი

**ვილიარეალი:** ტრავმ-ანგელ ლოპესი (?), ხოსე კატალა, ჯუზეპე როსი

### რასინგი-სოსიედადი

**რასინგი:** ტრავმ-ფრანსისი, ხაირო სამპიერო

**სოსიედადი:** ტრავმ-ილარამენდი, მარკელ ბერგარა; დისკვ-გორკა ელუსტონდო

### ვალენსია-მალაგა

**ვალენსია:** ტრავმ-სერხიო კანალესი, ჰედვიგ მადურო; დისკვ-ტინო კოსტა

**მალაგა:** ტრავმ-ელისეუ (?), ენცო მარესკა (?), ჟულიო ბაპტისტა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 15 | 12 | 1 | 2 | 50 | – | 13 | 37 |
| 2.ბარსელონა | 16 | 11 | 4 | 1 | 50 | – | 8 | 37 |
| 3.ვალენსია | 15 | 9 | 3 | 3 | 24 | – | 16 | 30 |
| 4.ლევანტე | 15 | 9 | 2 | 4 | 24 | – | 17 | 29 |
| 5.მალაგა | 15 | 7 | 3 | 5 | 20 | – | 20 | 24 |
| 6.სევილია | 15 | 6 | 6 | 3 | 16 | – | 11 | 24 |
| 7.ოსასუნა | 15 | 5 | 7 | 3 | 19 | – | 27 | 22 |
| 8.ესპანიოლი | 15 | 6 | 2 | 7 | 15 | – | 19 | 20 |
| 9.ბილბაო | 15 | 4 | 7 | 4 | 21 | – | 18 | 19 |
| 10.ატლეტიკო | 15 | 5 | 4 | 6 | 23 | – | 25 | 19 |
| 11.მალიორკა | 15 | 4 | 6 | 5 | 14 | – | 20 | 18 |
| 12.რაიო | 16 | 4 | 4 | 8 | 17 | – | 25 | 16 |
| 13.ბეტისი | 15 | 5 | 1 | 9 | 15 | – | 22 | 16 |
| 14.ხეტაფე | 15 | 4 | 4 | 7 | 15 | – | 22 | 16 |
| 15.სოსიედადი | 15 | 4 | 4 | 7 | 16 | – | 23 | 16 |
| 16.გრანადა | 15 | 4 | 4 | 7 | 8 | – | 15 | 16 |
| 17.ხიხონი | 15 | 4 | 3 | 8 | 15 | – | 25 | 15 |
| 18.ვილიარეალი | 15 | 3 | 6 | 6 | 12 | – | 21 | 15 |
| 19.რასინგი | 15 | 2 | 7 | 6 | 11 | – | 21 | 13 |
| 20.სარაგოსა | 15 | 2 | 4 | 9 | 12 | – | 29 | 10 |

## იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 17.12 | კიევო-კალიარი | 2.15 | 3.1 | 3.6 |
| 17.12 | მილანი-სიენა | 1.3 | 5.0 | 11.0 |
| 17.12 | ფიორენტინა-ატალანტა | 1.95 | 3.25 | 4.2 |
| 18.12 | ჩეზენა-ინტერი | 4.6 | 3.25 | 1.85 |
| 18.12 | პარმა-ლეჩე | 1.67 | 3.5 | 5.5 |
| 18.12 | იუვენტუსი-ნოვარა | 1.25 | 5.5 | 12.0 |
| 18.12 | კატანია-პალერმო | 2.2 | 3.1 | 3.5 |
| 18.12 | ჯენოა-ბოლონია | 1.8 | 3.3 | 4.8 |
| 18.12 | ლაციო-უდინეზე | 2.2 | 3.1 | 3.5 |
| 18.12 | ნაპოლი-რომა | 1.91 | 3.25 | 4.3 |

### კიევო-კალიარი

**კიევო:** ტრავმ-ლუკა რიგონი

**კალიარი:** ტრავმ-დანიელე კონტი, დავიდე ასტორი, მუსტაფა ელ კაბირი; ანდრეა კოსუ

### მილანი-სიენა

**მილანი:** ტრავმ-მარიო იეპესი, ჯანლუკა ძამბროტა, ფილიპო ინძაგი (?), ანტონიო ნოჩერინო (?), კრისტიან აბიატი (?), ალესანდრო ნესტა, ანტონიო კასანო, ჯუზეპე გატუზო, მეტიუ ფლამინი

**სიენა:** ტრავმ-მარსელო ლარონდო (?), კრისტიან დელ გროსო, ნიკოლა ბელმონტე, სიმონე ვერგასოლა

### ფიორენტინა-ატალანტა

**ფიორენტინა:** ტრავმ-სტევან იოვეტიჩი (?), ნიკოლა გულანი (?), რიკარდო მონტოლივო, მატია კასანი, პერ კლოდრუპი

**ატალანტა:** ტრავმ-მატეი ბრიგი (?), სიმონე ტირიბოკი, დანიელე კაპელი, კრისტიან დონი

### ჩეზენა-ინტერი

**ჩეზენა:** ტრავმ-მარკო პაროლო, ვინჩენცო რენელა, მარტინიო, ჯანლიკა კომოტო (?), იორგ მარტინსენი, ჯუზეპე კოლუჩი; დისკვ-მარკო როსი

**ინტერი:** ტრავმ-ანდრეა რანოკია (?), კრისტიან კივუ (?), დეიან სტანკოვიჩი (?), ჯონატანი (?), ვესლი სნეიდერი (?)

### პარმა-ლეჩე

**პარმა:** ტრავმ-სებასტიან ჯოვინკო (?), ფერნანდო მარკესი (?), ერნან კრესპო (?), მანუელ ბლაზი, გონსალო ბრანდაო, ხაიმე ვალდესი

**ლეჩე:** ტრავმ-ნენად ტომოვიჩი (?), ანდრეა ესპოზიტო (?), ჯამელ მესბა (?), ანდრეა ბერტოლაჩი, მორის კაროზიერი

### იუვენტუსი-ნოვარა

**იუვენტუსი:** ტრავმ-მირკო ვუჩინიჩი; დისკვ-არტურო ვიდალი, ლეონარდო ბონუჩი

**ნოვარა:** ტრავმ-კარლაბერტო ლუდი (?), ალექს პინარდი, მასიმო პაჩი, ანდრეა ლისუზო

### კატანია-პალერმო

**კატანია:** ტრავმ-მარკო ბიაჯიანტი, მარიან იზკო (?), დავიდ სუაზო; დისკვ-ნიკოლას სპოლი

**პალერმო:** ტრავმ-ალექსანდროს ცორვასი, ეროს პისანო, ერან ზაჰავი, აბელ ერნანდესი; დისკვ-ეზეკიელ მუნიოსი

### ჯენოა-ბოლონია

**ჯენოა:** ტრავმ-რიკარდო პალასიო, ვალტერ ბირსა, უირაი კუჩკა, ლუკა ანტონელი, ჩეზარე ბოვო

**ბოლონია:** ტრავმ-ლუიჯი ვიტალე (?), ნიკო პულზეტი (?), მაიკლ ანტონსონი; დისკვ-დოეგო პერესი

### ლაციო-უდინეზე

**ლაციო:** ტრავმ-მარიუს სტანკევიჩუსი (?), ფედერიკო მარჩეტი, აბდულაი კონკო (?), ლუჩიანო ძაური, კრისტიან ბროკი, გულიელმო სტენდარდო (?), ფრანჩესკო მათუსალემი (?), ანდრე დიასი, სტეფანო მაური

**უდინეზე:** ტრავმ-მაურისიო დომიცი, ბარეტო, ანდრეა კოდა

### ნაპოლი-რომა

**ნაპოლი:** ტრავმ-მარკო დონადელი, მიგელ ბრიტოსი

**რომა:** ტრავმ-მარკო კასეტი (?), ფერნანდო გაგო (?), სიმონ კიაერი, ნიკოლას ბურდისო, დავიდ პიზარო, ფაბიო ბორინი; დისკვ-მირალემ პიანიჩი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 14 | 8 | 6 | 0 | 25 | – | 11 | 30 |
| 2.უდინეზე | 14 | 9 | 3 | 2 | 18 | – | 7 | 30 |
| 3.მილანი | 14 | 8 | 4 | 2 | 31 | – | 16 | 28 |
| 4.ლაციო | 14 | 8 | 4 | 2 | 22 | – | 11 | 28 |
| 5.ნაპოლი | 14 | 5 | 6 | 3 | 22 | – | 14 | 21 |
| 6.პალერმო | 14 | 6 | 2 | 6 | 16 | – | 16 | 20 |
| 7.ინტერი | 14 | 6 | 2 | 6 | 17 | – | 18 | 20 |
| 8.ჯენოა | 14 | 5 | 3 | 6 | 16 | – | 17 | 18 |
| 9.კალიარი | 14 | 4 | 6 | 4 | 12 | – | 13 | 18 |
| 10.რომა | 14 | 5 | 3 | 6 | 16 | – | 18 | 18 |
| 11.კატანია | 14 | 4 | 6 | 4 | 15 | – | 20 | 18 |
| 12.პარმა | 14 | 5 | 2 | 7 | 15 | – | 20 | 17 |
| 13.ატალანტა | 14 | 5 | 7 | 2 | 17 | – | 16 | 16 |
| 14.ფიორენტინა | 14 | 4 | 4 | 6 | 13 | – | 13 | 16 |
| 15.კიევო | 14 | 4 | 4 | 6 | 11 | – | 18 | 16 |
| 16.ბოლონია | 14 | 4 | 3 | 7 | 13 | – | 20 | 15 |
| 17.სიენა | 14 | 3 | 5 | 6 | 14 | – | 14 | 14 |
| 18.ჩეზენა | 14 | 3 | 3 | 8 | 7 | – | 15 | 12 |
| 19.ნოვარა | 14 | 2 | 5 | 7 | 15 | – | 25 | 11 |
| 20.ლეჩე | 14 | 2 | 2 | 10 | 13 | – | 26 | 8 |

## გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 17.12 | ლევერკუზენი-ნიურნბერგი | 1.53 | 3.8 | 6.5 |
| 17.12 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 2.62 | 3.3 | 2.62 |
| 17.12 | ჰამბურგი-აუგსბურგი | 1.6 | 3.4 | 7.0 |
| 17.12 | ფრაიბურგი-დორტმუნდი | 7.0 | 3.4 | 1.6 |
| 17.12 | ჰოფენჰაიმი-ჰერტა | 2.0 | 3.4 | 3.75 |
| 17.12 | შალკე-ვერდერი | 2.0 | 3.4 | 3.75 |
| 18.12 | კაიზერი-ჰანოვერი | 2.3 | 3.2 | 3.2 |
| 18.12 | გლადბახი-მაინცი | 1.91 | 3.3 | 4.2 |

### ლევერკუზენი-ნიურნბერგი

**ლევერკუზენი:** ტრავმ-რენატო აუგუსტო, ომერ ტოპრაკი, ტრანკილიო ბარნეტა, რენე ადლერი

**ნიურნბერგი:** ტრავმ-იური ჯუდტი, მაიკ ფრანცი, პატრიკ რაკოვსკი

### ვოლფსბურგი-შტუტგარტი

**ვოლფსბურგი:** ტრავმ-ტომას ჰიტშპერგერი, ალექსანდერ ჰლები, პატრიკ ჰელმესი, რობინ კროჩე

**შტუტგარტი:** ტრავმ-ჰალიდ ბულაჰრუზი, სტეფანო კელოცი

### ჰამბურგი-აუგსბურგი

**ჰამბურგი:** ტრავმ-მარკუს ბერგი, რომეო კასტელენი

**აუგსბურგი:** ტრავმ-იონას დელ როეკი, სებასტიან ლანგკაპი, ნანდო რაფაელი, სიმონ ჯენთში, უვე მორლე, მარსელ ნდიენგი

### ფრაიბურგი-დორტმუნდი

**ფრაიბურგი:** ტრავმ-ოლივერ ბარტი, მენსურ მუდჯა

**დორტმუნდი:** ტრავმ-მარიო გიოტცე, მორიტ ლეიტნერი, სვენ ბენდერი, ნევენ სუბოტიჩი, დამიენ ლე ტალეკი, ფლორიან კრინგი

### ჰოფენჰაიმი-ჰერტა

**ჰოფენჰაიმი:** ტრავმ-ჩინედი ობასი, ანდრეას იბერტსბერგერი

**ჰერტა:** ტრავმ-ანდრე მიატოვიჩი, მაიკ ფრანცი

### შალკე-ვერდერი

**შალკე:** ტრავმ-იან მორავეკი, ჯეფერსონ ფარფანი, პეერ კლუგე, ლევან ყენია, ტიმ ჰოოგლანდი

**ვერდერი:** ტრავმ-მეჰმეტ ეკიჩი, პრედრაგ სტევანოვიჩი, ფელიქს კროოსი, მიკაელ სილვესტრი, ტიმ ბოროვსკი

### კაიზერი-ჰანოვერი

**კაიზერი:** ტრავმ-იან შიმუნეკი

**ჰანოვერი:** ტრავმ-ჰენინგ ჰაუერი, ლეონ ანდრეასენი

### გლადბახი-მაინცი

**გლადბახი:** ტრავმ-ჯოშუა კინგი, ელიას კაჩუნგა

**მაინცი:** ტრავმ-ანდრეას ივანშიჩი, ნიკოლკე ნოვესკი, მარსელ რიისე, ადამ ზალაი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 16 | 11 | 1 | 4 | 40 | – | 10 | 34 |
| 2.დორტმუნდი | 16 | 9 | 4 | 3 | 31 | – | 11 | 31 |
| 3.შალკე | 16 | 10 | 1 | 5 | 33 | – | 22 | 31 |
| 4.გლადბახი | 16 | 9 | 3 | 4 | 24 | – | 11 | 30 |
| 5.ვერდერი | 16 | 9 | 2 | 5 | 30 | – | 26 | 29 |
| 6.ლევერკუზ. | 16 | 7 | 5 | 4 | 22 | – | 19 | 26 |
| 7.შტუტგარტი | 16 | 6 | 4 | 6 | 23 | – | 19 | 22 |
| 8.ჰანოვერი | 16 | 5 | 7 | 4 | 19 | – | 23 | 22 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 16 | 6 | 3 | 7 | 18 | – | 18 | 21 |
| 10.კიოლნი | 16 | 6 | 3 | 7 | 27 | – | 32 | 21 |
| 11.ჰერტა | 16 | 4 | 7 | 5 | 23 | – | 25 | 19 |
| 12.მაინცი | 16 | 4 | 6 | 6 | 22 | – | 28 | 18 |
| 13.ჰამბურგი | 16 | 4 | 6 | 6 | 20 | – | 26 | 18 |
| 14.ვოლფსბურგი | 16 | 5 | 2 | 9 | 22 | – | 34 | 17 |
| 15.კაიზერი | 16 | 3 | 6 | 7 | 12 | – | 20 | 15 |
| 16.ნიურნბერგი | 16 | 4 | 3 | 9 | 14 | – | 28 | 15 |
| 17.აუგსბურგი | 16 | 3 | 5 | 8 | 14 | – | 27 | 14 |
| 18.ფრაიბურგი | 16 | 3 | 4 | 9 | 20 | – | 35 | 13 |

## საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 17.12 | ნიცა-ვალანსიენი | 2.3 | 2.9 | 3.5 |
| 17.12 | დიჟონი-სენტ ეტიენი | 3.0 | 3.0 | 2.5 |
| 17.12 | მარსელი-ლორიენი | 1.57 | 3.5 | 7.0 |
| 17.12 | მონპელიე-ტულუზა | 1.91 | 3.2 | 4.5 |
| 17.12 | კაენი-ნანსი | 2.05 | 3.0 | 4.0 |
| 17.12 | ბრესტი-ოსერი | 2.1 | 2.9 | 4.0 |
| 17.12 | ლიონი-ევიანი | 1.44 | 3.8 | 9.0 |
| 18.12 | აიაჩო-რენი | 5.0 | 3.5 | 1.73 |
| 18.12 | ბორდო-სოშო | 1.6 | 3.4 | 7.0 |
| 18.12 | პსჟ-ლილი | 2.25 | 3.1 | 3.4 |

### ნიცა-ვალანსიენი

**ნიცა:** ტრავმ-დრისა დიაკიტე, ხავიერ პენტეკოტე, ემერსე ფაე

**ვალანსიენი:** ტრავმ-კარლოს სანჩესი, მეტიუ დოსევი, გრეგორი პუიოლი

### დიჟონი-სენტ ეტიენი

**დიჟონი:** ტრავმ-დაისუკე მაცუი

**სენტ ეტიენი:** ტრავმ-იდრის საადი, აბდულაე კულიბალი, ლოიკ პერინი

### მარსელი-ლორიენი

**მარსელი:** ტრავმ-პიერ ანდრე ჟინიაკი, ჯერემი მორელი

**ლორიენი:** ტრავმ-გრეგორი ბურილონი, ჯერემი ალიადიერი

### მონპელიე-ტულუზა

**მონპელიე:** ტრავმ-სულეიმან კამარა, ბანგალი კოიტა, ნენად ძოძიჩი

**ტულუზა:** ტრავმ-ემანუელ რივიერე, ჟან დანიელ აკპა-აკპრო, იოან პელე

### კაენი-ნანსი

**კაენი:** ტრავმ-გრეგორი ლეკა, ბრანკო ლაზარევიჩი

**ნანსი:** ტრავმ-მასადიო ჰაიდარა, დისტელ ძოლა

### ბრესტი-ოსერი

**ბრესტი:** ტრავმ-იოან მარტიალი, ლარსენ ტურე, დალიო გუიდილეიე, რიჩარდ სუმა

**ოსერი:** ტრავმ-ედუარდი სისე, ადამ კულიბალი, ამადეუ სიდიბე

### ლიონი-ევიანი

**ლიონი:** ტრავმ-მიშელ ბასტოსი, რემი ვერკუტი, იონ მენსა, ჯერემი პიდი

**ევიანი:** ტრავმ-ბერტლანდ ლაკუა, სედრიკ მონგონგუ, ჯონატან მენსა

### აიაჩო-რენი

**აიაჩო:** ტრავმ-ენდი დელო, ქარიმ ელ ჰანი

**რენი:** ტრავმ-რაზაკ ბაქარი, კადერ მანგანე, ონეიკაჩი აპაჩი

### ბორდო-სოშო

**ბორდო:** ტრავმ-მეტიუ ჩალმე, ვუიდან სავიჩი, ანდრე პოკო, ფლორიან მარანგე, აბდუ ტრაორე

**სოშო:** ტრავმ-კარლაო, სტივენ მოუიოკოლო

### პსჟ-ლილი

**პსჟ:** ტრავმ-კლემენტ ჩანტონე, ბლაზიე მატუიდი, ჰორაუ

**ლილი:** ტრავმ-არავინ

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონპელი | 17 | 11 | 3 | 3 | 36 | – | 18 | 36 |
| 2.პსჟ | 17 | 11 | 3 | 3 | 30 | – | 17 | 36 |
| 3.ლილი | 17 | 9 | 7 | 1 | 29 | – | 15 | 34 |
| 4.ლიონი | 17 | 10 | 2 | 5 | 29 | – | 19 | 32 |
| 5.რენი | 17 | 8 | 5 | 4 | 28 | – | 22 | 29 |
| 6.ტულუზა | 17 | 8 | 5 | 4 | 19 | – | 16 | 29 |
| 7.სტ.ეტიენი | 17 | 7 | 6 | 4 | 21 | – | 19 | 27 |
| 8.მარსელი | 17 | 6 | 7 | 4 | 22 | – | 16 | 25 |
| 9.ლორიენი | 17 | 6 | 5 | 6 | 17 | – | 19 | 23 |
| 10.ბორდო | 17 | 4 | 8 | 5 | 19 | – | 21 | 20 |
| 11.ევიანი | 17 | 4 | 7 | 6 | 22 | – | 25 | 19 |
| 12.კაენი | 17 | 5 | 4 | 8 | 23 | – | 27 | 19 |
| 13.ოსერი | 17 | 4 | 6 | 7 | 24 | – | 27 | 18 |
| 14.სოშო | 17 | 4 | 6 | 7 | 21 | – | 31 | 18 |
| 15.დიჟონი | 17 | 5 | 3 | 9 | 17 | – | 31 | 18 |
| 16.ბრესტი | 17 | 2 | 11 | 4 | 18 | – | 19 | 17 |
| 17.ვალანსიენი | 17 | 4 | 5 | 8 | 17 | – | 19 | 17 |
| 18.ნანსი | 17 | 3 | 6 | 8 | 14 | – | 22 | 15 |
| 19.ნიცა | 17 | 3 | 5 | 9 | 15 | – | 19 | 14 |
| 20.აიაჩო | 17 | 1 | 6 | 10 | 17 | – | 36 | 9 |

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

# დავით კეზერაშვილი ოპერის მეგობართა საბჭოს ხელმძღვანელია

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მეგობართა საბჭოს ამიერიდან დავით კეზერაშვილი უხელმძღვანელებს. როგორც თეატრში განმარტავენ, მის ცხოვრებაში განვითარების სულ სხვა ეტაპი იწყება.



– 160 წლის მანძილზე ჩამოყალიბებული უმდიდრესი ტრადიციების მქონე თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი საქართველოს კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი უმთავრესი კერაა. ინტენსიური შემოქმედებითი ცხოვრებისა და წარმატებული რეფორმების მეშვეობით დღეს იგი საზოგადოების ყურადღების ცენტრშია მოქცეული. საოპერო ხელოვნება ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებულია ხელოვნების სხვა დარგებს შორის, ამიტომ მას შემოქმედებითი ჩანაფიქრების რეალიზაციაში, სახელმწიფოსთან ერთად, საქართველოში მოღვაწე არაერთი ავტორიტეტული ორგანიზაცია ეხმარება. და აი, მსოფლიოს ცნობილი საოპერო თეატრების მსგავსად, ფუძნდება „თბილისის ოპერის მეგობართა საბჭო“. ამ საბჭოს დამფუძნებლად და მხარდამჭერად მოგვევლინა ბიზნესმენი, ბატონი დავით კეზერაშვილი, – განაცხადა ოპერის თეატრის წარმომადგენელმა ზურაბ ოიკაშვილმა.

საბჭოს წევრობა საპატიო მისიაა და, შესაბამისად, ასეთი პრივილეგია მხოლოდ რჩეულთა ხვედრი იქნება. საბჭოს წევრებს კი მიეცემათ უნიკალური საშუალება, თავიანთი წვლილი შეიტანონ თბილისის ოპერის თეატრის განვითარებაში, რაც ხელს შეუწყობს ქართული კულტურის განვითარებას და ჩვენი ქვეყნის ღირსეულ დამკვიდრებას საერთაშორისო თანამეგობრობაში.

– „თბილისის ოპერის მეგობართა საბჭოში“ აკუმულირებული თანხები მოხმარდება საგანმანათლებლო პროექტებს, მუსიკოსებისა და დასის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ახალგაზრდა ნიჭიერი მუსიკოსების საზღვარგარეთ სტაჟირებას, სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსზე გამგზავრებას, საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობას, სხვადასხვა ქვეყნების საოპერო თეატრებთან ურთიერთობების დამყარებას, მუსიკალური საკრავების ტექნიკურ მომსახურებას. მოგეხსენებათ, თბილისის ოპერის თეატრს უდიდესი წვლილი შეაქვს დედაქალაქის განვითარებაში და, შესაბამისად, ევროპული თეატრების მსგავსად, „თბილისის ოპერის თეატრის მეგობართა საბჭოს“ საპატიო თავმჯდომარეობა ეთხოვა ქალაქ თბილისის მერს, ბატონ გიგი უგულავას, – აღნიშნავს ზურა ოიკაშვილი.

„თბილისის ოპერის მეგობართა საბჭოს“ დაფუძნების ცერემონიალი 19 დეკემბერს „თბილისი მარიოტში“ გაიმართება.

# „ქენდის“ პრიზი საქართველოში ჩამოუტანეს

საბავშვო ევროვიზიის კონკურსზე გამარჯვებულ ჯგუფ „ქენდის“ პრიზი თბილისში ჩამოუტანეს და საზეიმო ვითარებაში გადასცეს. სპეციალურად ამ დღისთვის თბილისს ქანდაკების ავტორი არმან დავთიანი და ევროვიზიის წამყვანი ავეტ ბარსაგიანი ესტუმრნენ, რომლებმაც პრიზი ჯგუფის წევრებს პირადად გადასცეს.




საბავშვო ევროვიზიის კონკურსზე წარმატებულ ქართულ ჯგუფ „ქენდის“ გამარჯვება საქართველოს პრეზიდენტმაც მიულოცა. მიხეილ სააკაშვილმა ბავშვები პრეზიდენტის რეზიდენციაში მიიღო. პრეზიდენტმა ამ გამარჯვების პოლიტიკურ მნიშვნელობაზეც გაამახვილა ყურადღება. ისაუბრა იმ ქვეყნების საქართველოსთან ურთიერთობაზეც, რომლებმაც კონკურსში ქართულ ჯგუფს ყველაზე მაღალი ქულები დაუწერეს. ბავშვებმა პრეზიდენტს საჩუქრად საკუთარი დისკი გადასცეს, მიხეილ სააკაშვილისგან კი აიპადები, მუსიკალური ინსტრუმენტი „იამაჰა“ და ლონდონში ინგლისური ენის კურსებზე წასასვლელი საგზური მიიღეს.

რიგით მეცხრე საბავშვო ევროფესტივალის გამარჯვებული საქართველოს წარმომადგენელი ჯგუფი „ქენდი“ გახდა. ჯგუფმა კონკურსზე გიგა კუხიანიძის სიმღერა „ქენდი მიუზიქ“ შეასრულა. 2011 წლის საბავშვო ევროვიზიის სიმღერის კონკურსში 13 ქვეყანა მონაწილეობდა. გრანდიოზული სანახაობა ერევანში კარენ დემირჩიანის სახელობის სპორტულ-საკონცერტო კომპლექსში 3 დეკემბერს ჩატარდა და მას სომხეთის მაუწყებელმა უმასპინძლა. საბავშვო ევროვიზიის გამარჯვებული კომპეტენტურმა ჟიურიმ და ევროპელმა მაყურებელმა ხმის მიცემის შედეგად, ერთობლივად გამოავლინეს. საქართველო საბავშვო ევროფესტივალის ფინალისტი მეორედ გახდა. 2008 წელს კვიპროსზე ლიმასოლში ჯგუფმა „ბზიკებმა“ გამარჯვება მოიპოვა. საქართველო საბავშვო ევროვიზიის კონკურსში წელს მეხუთედ მონაწილეობდა. 4 წლის წინ მარიამ რომელაშვილმა როტერდამში მეოთხე ადგილი დაიკავა, სამი წლის წინ კვიპროსზე საქართველოს წარგზავნილმა ჯგუფმა „ბზიკებმა“ გამარჯვება მოიპოვა, 2009 წელს კიევში ჯგუფმა „პრინცესებმა“ მეექვსე ადგილი დაიკავა, ხოლო გასულ წელს მინსკში მარიამ კახელიშვილმა სიმღერით „მარი-დარი“ მეოთხე ადგილი დაიმსახურა. 2012 წლის საბავშვო ევროფესტივალს ჰოლანდია უმასპინძლებს.

# თამთა ცხვიტავა – „ბრავო რექორდსის“ აღმოჩენა

„ბრავო რექორდსმა“ ხმაურიანი დაფუძნების შემდეგ თავისი პირველი პროექტის პრეზენტაცია გამართა. მათი აღმოჩენა გახდა მომღერალი თამთა ცხვიტავა, რომელმაც თავისი პირველი ალბომი ჩაწერა და სპეციალურად ჟურნალისტებისთვისაც იმღერა. მასმედიის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე მომღერალმა და „ბრავო რექორდსის“ წარმომადგენლებმა თამთას სამომავლო გეგმებზე, კონცერტსა და ალბომზე ისაუბრეს. მომღერლის ალბომის ოფიციალური პრეზენტაცია კი 23 დეკემბერს სამეფო უბნის თეატრში გაიმართება.

– ჩემთვის ძალიან დიდი ბედნიერებაა, რომ „ბრავო რექორდსმა“ ასეთი ყურადღება გამოიჩინა ჩემ მიმართ. ეს ჩემი პირველი სოლოკონცერტია, ცოცხალი შესრულებით, ცოცხალი ბენდით, ამიტომაც ვნერვიულობ. ჩემთვის ეს ალბომი საკმაოდ ღირებულია, მრავალფეროვანია, ბევრი რამ არის ახალი. ჩემი ძველი რეპერტუარი სრულიად ახლებურად არის გაკეთებული, – განაცხადა მომღერალმა.

ახალ ალბომს „დასაწყისი“ ჰქვია. მიუხედავად იმისა, რომ მისი ჩაწერები დასრულდა, მას „ბრავო რექორდსი“ იანვარში გამოუშვებს. კრებულში შესულია სპეციალურად თამთასთვის დაწერილი ქართული სიმღერები და უცხოური კომპოზიციები. ალბომის წარდგინება სოლო კონცერტის სახით მოხდება. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი მუსიკოსებიც. კონცერტზე შესრულდება ალბომში შესული 12 სიმღერა, „ბრავობენდისა“ და „ბრავოს“ სიმფონიური ორკესტრის თანხლებით.



– „ბრავო რექორდსის“ გუნდი დარწმუნებულია თამთას სადებიუტო ალბომის წარმატებაში და იმედს გამოთქვამს, რომ თამთას სიმღერები პოპულარული გახდება. ის არის სრულიად თვითმყოფადი და ყველასგან განსხვავებული მომღერალი, ვინც კი დღეს არის ქართულ პოპმუსიკაში. მისი ხმის ტემბრი, ხმის მართვის ტექნიკა, პიროვნული მომხიბვლელობა, ყველაფერი იქნება მიმზიდველი ქართველი მსმენელისთვის. ჩემი აზრით, დღეს ქართველი მსმენელი და მაყურებელი ელოდებოდა რაღაც ახალს და ეს ახალი ჩვენ აღმოვაჩინეთ, – განაცხადა პროექტის პრეზენტაციაზე „ბრავო რექორდსის“ ხელმძღვანელმა ზაზა შენგელიამ.

# პატრიარქმა ახალი საგალობელი დაწერა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ახალი ნაწარმოები შექმნა. „აგნუს დეი“ – ასე ეწოდება საგალობელს, რომელიც პირველად პატრიარქის აღსაყდრებიდან 34 წლისადმი მიძღვნილ გალა-კონცერტზე აჟღერდება. ეს თარიღი 25 დეკემბერს აღინიშნება.



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი 25 დეკემბერს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში ატარებს გალა-კონცერტს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართული საშემსრულებლო ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლები – ლიანა ისაკაძე, ვახტანგ კახიძე, ირინე რატიანი, თამარ ბერაია, ზვიად ბოლქვაძე, ასევე თბილისის სიმფონიური ორკესტრი, თბილისის ოპერის გუნდი, სამების ტაძრის მგალობელთა გუნდი, ვაჟთა გუნდი „მძლევარი“. საღამოში მონაწილე მუსიკოსების მიერ ასევე შესრულდება ქართული და მსოფლიო კლასიკური მუსიკის საუკეთესო ნიმუშები – ბელინის ოპერა „ნორმადან“ ნორმას არია, ბეთჰოვენის საფორტეპინო კონცერტის ფინალი, ჩაიკოვსკის სავიოლინო კონცერტის ფინალი.

კონცერტზე აჟღერდება უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის მუსიკალური ნაწარმოებები – „კირიე ლეისონ“, „ავე მარია“, „სანკტუს“, ხოლო დასასრულს შედგება მისი ახალი ქმნილების „აგნუს დეის“ პრემიერა.

# სოფო ნიჟარაძე ხულიო იგლესიასთან ერთად იმღერებს

ახალი 2012 წლის დადგომას ბათუმში მსოფლიოში ცნობილი ესპანელი მომღერალი ხულიო იგლესიასი მოგვილოცავს. ეს არის პირველი შემთხვევა, როცა მომღერალი ტრადიციას დაარღვევს და ახალ წელს სხვა ქვეყანაში შეხვდება. ის ბათუმს ოჯახთან ერთად ესტუმრება. როგორც გახმაურდა, მომღერლის მენეჯმენტი უკვე არჩევს ქართველ მომღერლებს, რომლებიც ხულიო იგლესიასთან ერთად ახალი წლის ღამეს ბათუმში ჯადოსნურ მოედანზე იმღერებენ.



ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ სიიდან გახდა ცნობილი, სოფო ნიჟარაძეა. უკვე გადაწყვეტილია, რომ ქართველი მომღერალი ცნობილ ვარსკვლავთან იმღერებს. ბოლო პერიოდში სოფოს ხვდა წილად პატივი, ემღერა ანდრეა ბოჩელისთან და კრის დე ბურგთან ერთად.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ცნობით, ბათუმში საახალწლოდ დაგეგმილი ღონისძიებების გეგმა უკვე შედგენილია. 31 დეკემბერს იგეგმება გრანდიოზული საახალწლო კონცერტი ხულიო იგლესიასისა და სხვა მუსიკოსების მონაწილეობით. კონცერტი „ისთერნ პრომოუშენის“ ორგანიზებით ჩატარდება და მასზე დასწრება თავისუფალი იქნება.

პირველ იანვარს ადგილობრივი შემსრულებლების მონაწილეობით საახალწლო კონცერტები გაიმართება ქალაქის სხვადასხვა ადგილას. კონცერტებში მონაწილეობას მიიღებენ აჭარაში არსებული საბავშო სტუდიები. ორ იანვარს ევროპის მოედანზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყობა სახალხო ზეიმი და კულინარიის დღე. მასში რეგიონის მუნიციპალიტეტები, რესტორნები და კაფეები იქნებიან ჩართული.

რა დაუჯდება ხულიო იგლესიასის კონცერტი საქართველოს, ამას ხელისუფლება საიდუმლოდ ინახავს.

# ეკა მამალაძემ ალბომი ჩაწერა

მომღერალმა ეკა მამალაძემ ახალი ალბომი ჩაწერა, რომელსაც „სიყვარულზე მიამბე“ ჰქვია და მასში მხოლოდ ქართველი კომპოზიტორის რუსუდან (მაცაცო) სეფისკვერაძის სიმღერებია შესული. ალბომისთვის მომღერალმა 13 სიმღერა ჩაწერა. ჯერჯერობით დისკის პიარისთვის არც მისი რეკლამირება იგეგმება და არც სპეციალური კონცერტის მოწყობა.



მომღერალს მიაჩნია, რომ მან თავისი საქმე გააკეთა და სიმღერები ჩაწერა. ახალი დისკის პრეზენტაციასა და რეკლამირებას ფინანსები უნდა. ალბომი გაყიდვაში ჯერ არ ჩაუშვიათ, თუმცა, მისი რეალიზება უახლოეს მომავალში იგეგმება.

ეკა მამალაძე ახლახან დაბრუნდა გასტროლებიდან, რომელიც შუა აზიის ქვეყნებში ჰქონდა დაგეგმილი დედასთან, ნანი ბრეგვაძესთან, ბუბა კიკაბიძესთან და ანსამბლ „ერისიონთან“ ერთად.

# ბაღაშვილებში მატებაა

მუსიკოს გია ბაღაშვილს მეორე გოგონა შეეძინა. პატარა ორი კვირის წინ გაჩნდა და მას ბედნიერმა მშობლებმა ელისაბედი (ლიზიკო) დაარქვეს.



გია ბაღაშვილმა და თამუნა ტაბატაძემ ორი წლის წინ იქორწინეს. მათ უკვე ჰყავთ წლინახევრის გოგონა, რომელსაც ნინო ჰქვია. როგორც გია ამბობს, ის გაჩერებას არ აპირებს და იმდენი შვილის ყოლის სურვილი აქვს, რამდენსაც ღმერთი მისცემს.

პირველ ქალიშვილს გია ბაღაშვილმა დედის სახელი დაარქვა, ხოლო მეორე შვილს – მამის დედის სახელი. როგორც მუსიკოსი ამბობს, პატარა სულაც არ არის პრეტენზიული, ღამითაც მშვიდად სძინავს და მშობლებს არანაირად არ აწუხებს. რაც მთავარია, პირველი ქალიშვილი პატარა დაიკოზე არ ეჭვიანობს. ბედნიერი ბაბუა ჯემალ ბაღაშვილი კი იმედოვნებს, რომ მისი შვილი მანამდე არ გაჩერდება, სანამ ბიჭის მშობელი არ გახდება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

**თავისუფალი პრესის მხარდამჭერის ორგანიზაცია**

[illegible]

# ეკონომიკაში „დიდი დეპრესიის“ დაბრუნებას პროგნოზირებენ

ერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელი ქრისტინ ლაგარდი ეკონომიკაში „დიდი დეპრესიის“ დაბრუნებას პროგნოზირებს. ამის შესახებ რადიოსადგური „ეხო მასკვი“ იუწყება.

— მსოფლიო ეკონომიკა გასული საუკუნის 30-იანი წლებისათვის დამახასიათებელ ტენდენციებს ავლენს, — განაცხადა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელმა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში გამოსვლისას.

მისივე თქმით, რისკებისგან, რომელიც ეკონომიკური კრიზისის გაღრმავებას უკავშირდება, მსოფლიოს არც ერთი ეკონომიკა დაცული არ არის.

ლეგარდის აზრით, ყველა ქვეყანა, სახელმწიფო და პოლიტიკური მოწყობის, ან რელიგიური განსხვავებულობის მიუხედავად, უნდა გაერთიანდნენ ეკონომიკურ კრიზისთან ბრძოლაში.

ამასთან, დღეს ერთ-ერთმა წამყვანმა რეიტინგულმა სააგენტომ „ფიჩმა“ საკრედიტო რეიტინგები აშშ-ის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის და შვეიცარიის 6 ბანკს შეუმცირა.

ცნობისთვის, დიდი დეპრესია იყო მასობრივი გლობალური ეკონომიკური ვარდნა, რომელიც გრძელდებოდა 1929 წლიდან დაახლოებით 10 წლის განმავლობაში. მან გამოიწვია უამრავი ბანკის გაკოტრება, რეკორდული უმუშევრობა, ისევე, როგორც მთლიანი ეროვნული პროდუქტის, ინდუსტრიული წარმოების, აქციათა ბაზარზე ფასთა და ასევე პრაქტიკულად ეკონომიკის ზრდის ყველა პარამეტრის მკვეთრი ვარდნა. ვარდნის პიკი მიღწეულ იქნა უკვე 1933 წელს, თუმცა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგღა იქნა შესაძლებელი ისეთი ინდიკატორების, როგორიცაა ინდუსტრიული წარმოება, საწარმოო აქციათა ფასებისა და გლობალური ერთობლივი შიდა პროდუქტის 1929 წლის დონემდე აყვანა.




სახელწოდება „დიდი დეპრესია“ ამ მოვლენისთვის დარქმეულ იქნა იმ მიზეზის გამო, რომ ეს იყო ინდუსტრიული ქვეყნების ისტორიაში ყველაზე მასშტაბური ვარდნა წარმოებასა და პროდუქტიულობაში, და რომ მისი ეფექტი საგრძნობლად მტკივნეული იყო მთელ ინდუსტრიულ მსოფლიოსა და მათი სავაჭრო პარტნიორებისთვის განვითარებად ქვეყნებში.

ტერმინი „დიდი დეპრესია“ მიუთითებს არა მხოლოდ ეკონომიკურ მოვლენაზე, ის ასევე განსაზღვრავს ერთ მთლიან კულტურულ პერიოდს, რომელსაც მარტივად „დეპრესიას“ უწოდებენ და პოლიტიკურ გამოძახილს ამ ეკონომიკური მოვლენებისადმი.

ეკონომისტები, ისტორიკოსები და პოლიტიკური მეცნიერები დიდი დეპრესიის მიზეზთა მრავალ თეორიას ასახელებენ. ამგვარად ის ეკონომიკური ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე მეტად შესწავლილ მოვლენად რჩება დღემდე. საერთო მოსაზრებით დიდი დეპრესიის მიზეზი ძირითადად მთავრობის მიერ მონეტარული პოლიტიკის არასწორი მართვა გახდა.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

- მუხრან-თელეთში 275 კვ.მ. საცხოვრებელი სახლის თეთრი კარკასი, მონტერეის გადახურვით, საკუთარი წყლით, ბუნებრივი აირით, 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, რკინის კარით და ჟალუზებით, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრებით, თბილისიდან 20 კმ-ში, თელეთის ახალ ბაზართან 5 კმ-ში. შესაძლებელია განვადება. ფასი 30000 დოლარი. თანხის გადახდა შესაძლებელია 15 თვეში, ყოველ თვეში 2000 დოლარს გადაიხდით. ტელ.: 790-55-58-62; 577-42-41-22. გიორგი.
- გთავაზობთ გარჩეული მზესუმზირის გულებს საუკეთესო გოზინაყის დასამზადებლად. ტელ.: 599-61-55-58.

## განცხადებები

- სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. დაგვიკავშირდნენ მხოლოდ მკურნალობის ახლავე დაწყების მსურველები. მომავლისათვის მკურნალობის მსურველები დაგვიკავშირდით მხოლოდ მომავალში. მიღება წინასწარი ჩაწერით. მისამართი: ქ.თბილისი, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. ტელ: 551-254-535 ბ-ნი ლევანი.
- წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.
- ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.
- ქირავდება ოროთახიანი ბინა ყველანაირი ავეჯითა და საოჯახო ტექნიკით (ტელეფონი, ტელევიზორი, მაცივარი, წყლის ბაკი, გაზის გამათბობელი) ვაჟა-ფშაველას II კვარტალში. ტელ:599-103-183;222-08-75.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

## სამგლოვიარო განცხადებები

### რობინზონ ცინცაძის სევდიანი გახსენება

რობინზონ, 18 დეკემბერი უშენოდ მოდის. დღე შენი გარდაცვალებისა. ტკივილით, ცრემლითა და გამოუთქმელი მწუხარებით გაილია წელიწადი, რაც ზეციურ სამყაროში გადასახლდი და დაგვიტოვე მოუშუშებელი ტკივილი.

რობინზონ, შენ იყავი ერთგული, უღალატო, ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებელი.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს და მარადიული სასუფეველი ჰქონდეს შენს სპეტაკ სულს.

*შენი ოჯახი და ახლობლები*

## კროსვორდი ბ




**შვეულად**: 1. სტაჟიორი ადვოკატი ბრიტანეთში: 2. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში: 3. კარაქის შესადღვები ხის ჭურჭელი; 4. საუკეთესო ნომერი სასტუმროში; 5. უმცროს მეთაურთა წოდება არმიაში; 6. ალპინისტთა მეგზური, გამყოლი ჰიმალაებში; 7. პოლონეთის პირველი პრეზიდენტი; 9. გაზაფხულის ყვავილი; 13. შოტლანდიელ მამაკაცთა კაბა; 17. მოხალული ფქვილის გულიანი ნამცხვარი; 18. მანძილის საზომი ძველებური ფრანგული ერთეული.

**თარაზულად**: 1. ისლამის ერთ-ერთი მიმდინარეობა; 3. ფქვილის რაოდენობის საზომი საერთაშორისო ერთეული; 8. ქერცლფრთიანათა ოჯახის მწერი; 10. ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ბრაზილიელი ფეხბურთელი; 11. ქართველი კინორეჟისორი; 12. გამჭვირვალე მქრქალი ფაიფური; 14. მხატვრის, მოქანდაკის სახელოსნო; 15. რაიონული ცენტრი ქვემო ქართლში; 16. დაბალი, გრძელი ტანის მქონე მონადირე ძაღლის ჯიში; 19. სოფელი ხევსურეთში; 20. ქართველი პოლიტიკოსი ქალი; 21. მექანიკური მუსიკალური საკრავი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. „ფუკუსიმა“; 2. გულჩორა; 3. უნაბი; 4. ტუგრიკი; 5. კოპტები; 10. მოძახილი; 11. „ხარისთვალა“; 12. ესკადრა; 15. კლეპსიდრა; 16. სპაზმი; 17. ქორწილი; 20. სარკე.

**თარაზულად**: 6. წუღრუღაშენი; 7. ჰუდზონი; 8. ბაიდენი; 9. მიზერი; 13. კინო; 14. ნამუსი; 18. მარმელადი; 19. ფობია; 21. მარსი; 22. ტირანა; 23. სირაჯხანა; 24. სპარსეთი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ტაიკონავტი; 2. ჭორომი; 3. „როლექსი“; 4. დვალი; 5. რაფინადი; 6. გენია; 7. რივიერა; 9. გრაცია; 13. ატოლი; 17. „გოია“; 18. ერი.

**თარაზულად**: 1. ტყაპუჭი; 3. „რაპიდი“; 8. ბაგერი; 10. კოლხეთი; 11. „ტოკაი“; 12. ტირანია; 14. რაბინი; 15. პრისტლი; 16. დოგმა; 19. „შალახო“; 20. პინჩერი; 21. ბაზარი.

# ობამამ ერაყში ომი დაასრულა

პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ერაყში აშშ-ს სამხედრო კამპანიის საბოლოოდ დასრულება გამოაცხადა. შესაბამისი სიმბოლური განცხადება თეთრი სახლის მეთაურმა, ქვეყნის უმსხვილეს სამხედრო ბაზა ფორტ-ბრეგზე (ჩრდილოეთ კაროლინა) ამერიკელი სამხედროების წინაშე გამოსვლისას გააკეთა.


ბარაკ ობამა

ობამა ჯარისკაცებს შემდეგი სიტყვებით მიესალმა – „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სახლში“ და გამოაცხადა, რომ როგორც დაპირებული იყო, ამერიკული ჯარები ერაყს უახლოეს დღეებში, 31 დეკემბრამდე დატოვებენ. ისინი გაივლიან იმავე გზას, რითაც ამ ქვეყანაში 2003 წლის გაზაფხულზე შევიდნენ.

ამასთან, პრეზიდენტი პათოსურ სულისკვეთებას და გამარჯვების ხსენებას გაურბოდა, ამით ცდილობდა, თავისი წინამორბედის ჯორჯ ბუშის მაგალითს არ გაყოლოდა – რომელმაც ოპერაციის დაწყებიდან უკვე რამდენიმე კვირაში განაცხადა, რომ „მისია შესრულებულია“, – აღნიშნავს ბრიტანული „დეილი ტელეგრაფი“.

როგორც „ბი-ბი-სი“ აღნიშნავს, ცხრა წლის განმავლობაში ერაყი მილიონ-ნახევარზე მერტმა ამერიკელმა ჯარისკაცმა გამოიარა, მათგან 4484 მოკლულია, კიდევ 30 ათასი დაჭრილია, რის გამოც აშშ-ს მოქალაქეები ეჭვობენ, რომ კონფლიქტი ერაყში სიამაყის გრძნობას იმსახურებდეს.

პრეზიდენტმა ობამამ ადრე ერაყში შეჭრას „სისულელე“ უწოდა, ხოლო ფორტ-ბრეგში ჯარისკაცებთან გამოსვლისას ასეთი შეფასებისგან თავი შეიკავა. მან აღიარა, რომ ომისშემდგომი ერაყი „იდეალურ ადგილს არ წარმოადგენს“, თუმცა, მისივე თქმით, ამერიკული ჯარები „ქვეყანას თავაწეულები ტოვებენ“.

– ჩვენ ვტოვებთ დამოუკიდებელ, სტაბილურ და საკუთარ თავში დარწმუნებულ ქვეყანას, ხალხის მიერ არჩეული მთავრობის წარმომადგენლებით, – ამბობს ობამა და ამ ყოველივეს „უდიდეს მიღწევას“ უწოდებს.

– ამით დასრულდება თითქმის ათი წლის განმავლობაში, აშშ-ის მიერ ერაყში წარმოებული ომი, – აღნიშნა თეთრი სახლის მეთაურმა.

ობამას თქმითვე, ამის შემდეგ, ამერიკული ჯარის ავღანეთიდან გამოყვანის პირველი ეტაპიც დაიწყება.

პრეზიდენტი საკუთარ მოქალაქეებს დაჰპირდა, რომ მიმდინარე წლის დეკემბრის ბოლომდე, ანუ საშობაო დღესასწაულამდე, ყველა ამერიკელი ჯარისკაცი საკუთარ სახლში იქნება.

თეთრი სახლის პირველმა პირმა ისიც აღნიშნა, რომ ამერიკული მხარე ერაყის დახმარებას განაგრძობს. ორ ქვეყანას შორის კი, პარტნიორობის ახალი ფაზა დაიწყება.

თუმცა, გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ ინფორმაციით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ერაყმა, ვერ მოახერხეს შეთანხმების მიღწევა, რომლის მიხედვითაც ერაყში რამდენიმე ათასი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე უნდა დარჩენილიყო. მათ ადგილობრივ ძალებთან ერთად, სწავლებებში და სპეცოპერაციებში უნდა მიეღოთ მონაწილეობა.

ამ დროისათვის, ერაყში ამერიკელთა რაოდენობა დაახლოებით 40 ათასი ჯარისკაცია.

ამ ეტაპზე, შეთანხმება მხოლოდ იმასთან დაკავშირებით არის მიღწეული, რომ 2012 წელს, ერაყში დაახლოებით 150 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე დარჩება. ისინი ბაღდადში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს შენობას დაიცავენ და პასუხს დიპლომატების, მათი ოჯახის წევრების და საელჩოს თანამშრომლების უსაფრთხოებაზე აგებენ.

შეთანხმება, ამერიკული ჯარების ერაყიდან გამოყვანის შესახებ, 2008 წლის დეკემბერში შედგა. „ბი-ბი-სი“-ის ინფორმაციით, იმ დროისათვის, ერაყში ამერიკელ ჯარისკაცთა რაოდენობა 165 ათასს აღწევდა.

როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ჯარები ერაყში 2003 წელს შეიყვანა. მაშინ დიქტატორ სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობა მოხერხდა. ოფიციალური მონაცემებით, მთელი ერაყის ომის განმავლობაში, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, დაიღუპა 4 ათას სამხედრო მოსამსახურეზე მეტი და დაახლოებით ათასამდე სამოქალაქო სპეციალისტი.

რაც შეეხება ომის მთლიან დანაკარგებს, ამერიკული მედია სხვადასხვა ციფრს ასახელებს და ის 100-დან 300 ათას ადამიანამდე მერყეობს.

ერაყში ქართველი სამხედრო მოსამსახურეებიც დაიღუპნენ, რომელნიც კოალიციის შემადგენლობაში მონაწილეობდნენ სამშვიდობო ოპერაციაში.

მთლიანად, ამ ოპერაციაში მონაწილეობა, სხვადასხვა დროს, 49 ქვეყანამ მიიღო. მათ შორის, ყველაზე დიდი კონტიგენტი ჰყავდა დიდ ბრიტანეთს (45 ათასი სამხედრო მოსამსახურე), იტალიას (დაახლოებით, 3,2 ათასი), პოლონეთს (2,5 ათასი), საქართველოს (დაახლოებით 2 ათასი) და ავსტრალიას (ასევე, დაახლოებით 2 ათასი).

2009 წლის აგვისტოდან, ერაყის ტერიტორიაზე მხოლოდ ამერიკული სამხედრო შენაერთები დარჩა.

ამერიკული ჯარების გაყვანას ერაყელების უმეტესობა მიესალმება. ერაყელი აჯანყებულების ყოფილ ბასტიონ, ქალაქ ელ-ფალუჯაში ობამას გამოსვლის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ასეულობით ადამიანმა აშშ-ს და ისრაელის დროშები დაწვა.

– ვამაყობთ, რომ ერაყიდან ოკუპანტები განვდევნეთ, – ამბობს ადგილობრივი ისლამური პარტიის ლიდერი, ხალიდ ალ-ალვა.

აქციის კიდევ ერთმა მონაწილემ, 22 წლის სტუდენტმა იასერ ალ-ასადიმ ჟურნალისტებს განუცხადა: „რომ გვცოდნოდა, ამერიკელები გააკეთებდნენ იმას, რაც გააკეთეს, ჩვენ სადამის (ჰუსეინი) რეჟიმს დავიცავდით“.

# აშშ კადაფის მკვლელობის „პუტინისეულ“ ვერსიას კატეგორიულად უარყოფს

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა და პენტაგონმა კატეგორიულად უარყვეს ლიბიის ყოფილი დიქტატორის, მუამარ კადაფის დაღუპვის ვერსია, რომელიც რუსეთის პრემიერმა ვლადიმირ პუტინმა გააჟღერა.

როგორც „ინტერფაქსი“ აღნიშნავს, პირველი უარყოფა პენტაგონის წარმომადგენელმა ჯონ კირბიმ გააკეთა.

– სიბრმავეა იმის შესახებ მტკიცება, რომ ამერიკული სპეცდანაყოფები პოლკოვნიკ კადაფის ლიკვიდაციაში მონაწილეობდნენ, სიმართლეს არ შეესაბამება, – განაცხადა მან.



კირბი ასევე ამტკიცებს, რომ კადაფის რეჟიმის წინააღმდეგ ოპერაციისას აშშ-ს ლიბიაში სახმელეთო ჯარები არ გაუგზავნია.

– ჩვენი მონაწილეობა ჰაერიდან და ზღვიდან მხარდაჭერით შემოიფარგლებოდა, – განაცხადა კირბიმ.

ამის კვალდაკვალ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ვიქტორია ნულანდმა განაცხადა: „ჩვენ ამას კატეგორიულად უარვყოფთ“.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის პრემიერი პუტინი აკრიტიკებს „ისეთ დემოკრატიას, რომლის დროსაც მთელს მსოფლიოს უჩვენებენ, როგორ კლავენ კადაფის“.

როგორც პუტინმა პირდაპირ ტელეეთერში განაცხადა, „ლიბიის რევოლუციის ექს-ლიდერი მუამარ კადაფი უცხოურმა უპილოტო თვითმფრინავებმა გაანადგურეს, ამერიკულის ჩათვლით“.

– მთელს მსოფლიოს უჩვენეს, როგორ კლავდნენ მას. ეს რა, დემოკრატიაა?! და ვინ გააკეთა ეს? – უპილოტო თვითმფრინავებმა, მათ შორის – ამერიკულმაც, რომლებმაც დარტყმა განახორციელეს მის კოლონაზე, შემდეგ კი სპეცრაზმის დახმარებით, რომელიც მაშინ იმ ტერიტორიაზე არ უნდა ყოფილიყო, ადგილზე ე.წ. ოპოზიციონერები და ბოევიკები მიათრიეს. ის სასამართლოსა და გამოძიების გარეშე გაანადგურეს, – განაცხადა პუტინმა.

თავის მხრივ, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მთავარი პროკურორის ლუის მორენო-ოკამპოს განაცხადებით, „ლიბიის ყოფილი ლიდერის მუამარ კადაფის მკვლელობის გამოძიებისას სამხედრო დანაშაულის ნიშნები იკვეთება“.

– ლიბიის ყოფილი ლიდერის მუამარ კადაფის მკვლელობის გამოძიებისას სამხედრო დანაშაულის ნიშნები იკვეთება. ამაზე ვიდეოჩანაწერები და თვითმხილველთა ჩვენებები მეტყველებს.

ლიბიის ახალი ხელისუფლება დამპირდა, რომ მუამარ კადაფის და მისი ვაჟის მუთასიმის სიკვდილის გარემოებებს გამოიძიებს, – განაცხადა ლუის მორენო-ოკამპომ.

შეგახსენებთ, რომ პოლკოვნიკი კადაფი მშობლიურ ქალაქ სირტში 20 ოქტომბერს მოკლეს.

# საერთაშორისო ტერორისტ კარლოს შაკალს სამუდამო პატიმრობა მეორედ შეუფარდეს

ფრანგულმა სასამართლომ პარასკევს საერთაშორისო ტერორისტ ილიჩ რამირეს სანჩესს მორიგი განაჩენი გამოუტანა. მას უფრო კარლოსისა და შაკალის მეტსახელებით იცნობენ.

მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ტერორისტი, რომელიც ამ დროისთვის უკვე იხდის სამუდამო პატიმრობას, 1982 და 1983 წლებში ოთხი ტერაქტის ორგანიზებაში დამნაშავედაა ცნობილი, რომლის შედეგადაც 11 ადამიანი დაიღუპა.

ამის გამო კარლოს შაკალს მეორე სამუდამო პატიმრობა და დამატებით 18 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, – იტყობინება სააგენტო „აფრ“.

ამავდროულად, სამუდამო პატიმრობა დაუსწრებლად მიიღო კარლოსის ორმა თანამოაზრემ – გერმანელმა იოჰანეს ვაინრიხმა, რომელიც ოდესღაც შაკალის მარჯვენა ხელად ითვლებოდა და ახლა გერმანიის ციხეში სხვა დანაშაულისთვის ზის; ასევე პალესტინელმა ალი კამალ ალ-ასსავიმ, რომელიც დღემდე გაქცევაში იმყოფება.

გაამართლეს ამ საქმეში გასული კიდევ ერთი ბრალდებული, გერმანელი კრისტა ფრელიხი, რომელიც ერთ-ერთი ტერაქტის ორგანიზებაში იყო ეჭვმიტანილი, – იტყობინება „იტარ ტასი“.

შაკალის საქმეზე პროცესი ექვსი კვირა გრძელდებოდა. მსაჯულთა სპეციალურმა სასამართლომ საბოლოო ვერდიქტი ხანგრძლივი დებატების შემდეგ მიიღო. თავად ტერორისტი, რომელსაც უკვე 62 წელი შეუსრულდა, განაჩენით უკმაყოფილო დარჩა. მან განაცხადა, რომ ამჯერად განხილულ დანაშაულებთან არაფერი აკავშირებს, ხოლო მთელი პროცესი ხაზგასმით პროპაგანდისტულ ხასიათს ატარებს.



თუმცა, ნოემბრის დასაწყისში, მეორე სასამართლო პროცესის დაწყების წინ, ვენესუელურ გამოცემა „ელ ნაციონალთან“ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ განახორციელა ასზე მეტი ტერაქტი, რომლის მსხვერპლიც 1,5-დან 2 ათასამდე ადამიანი გახდა, – აღნიშნავს „რია ნოვოსტი“.

ბოლო სიტყვით გამოსვლისას კარლოსმა „მუამარ კადაფის ანდერძი“ წაიკითხა, რომელიც ისტორიაში უდიდეს რევოლუციონერად წარმოაჩინა. უახლოს მომავალში ის განაჩენის სასამართლო წესით გასაჩივრებას აპირებს.

კარლოსმა პირველი სამუდამო პატიმრობა 1997 წელს მიიღო, 1975 წელს პარიზში სამი ადამიანის, მათ შორის ორი პოლიციელის მკვლელობისთვის, რომლებიც მის დაკავებას ცდილობდნენ. ამ დანაშაულის შემდეგ შაკალი ლიბანში გაიქცა, სადაც ისლამი მიიღო და ტერორისტული მოღვაწეობა გააგრძელა.

სანჩესის ყველაზე გახმაურებულ დანაშაულად 1975 წლის დეკემბერში ვენაში, „ოპეკის“ შტაბ-ბინაში მძევლების, მათ შორის 11 მინისტრის აყვანა რჩება.

შემდეგ შაკალმა ალჟირში პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო. 1990-იანების დასაწყისში ის სუდანში დაფუძნდა.

1994 წელს, ამერიკულ-ფრანგული ერთობლივი ოპერაციისას, ხართუმში დააპატიმრეს და საფრანგეთში მისი ექსტრადიცია მოახდინეს.

აღსანიშნავია, რომ ამას საფრანგეთის მთავრობის სუდანის ხელისუფლებასთან ხანგრძლივი მოლაპარაკებები უსწრებდა წინ. პროცესს ხელი შეუწყო მსოფლიო ბანკის და სავალუტო ფონდის მომგებიანმა კრედიტებმა, ასევე შაკალის სახლში ორგიის ვიდეოჩანაწერმა, რომლის ნახვის შემდეგაც მორწმუნე სუდანელმა შეიხმა კარლოსს „ხულიგანი“ უწოდა, რომლისთვისაც მის ქვეყანაში ადგილი არ არის. ამის შემდეგ ისინი ტერორისტის ფრანგებისთვის გადაცემას დათანხმდნენ.

1997 წლიდან შაკალი სამუდამო პატიმრობას პარიზულ ციხე „სანტეში“ იხდის.

ილიჩ რამირეს სანჩესი 1949 წელს ვენესუელაში დაიბადა. თავიდანვე უკიდურესად მემარცხენე შეხედულებების მიმდევარი იყო. 1970-იანი წლებიდან ის მსოფლიო რევოლუციისთვის შეიარაღებული ბრძოლის გზას დაადგა. თანამშრომლობდა ისეთ ორგანიზაციებთან, როგორებიცაა „პალესტინის გათავისუფლების სახალხო ფრონტი“, იტალიური „წითელი ბრიგადები“, იაპონური „წითელი არმია“.

# იულია ტიმოშენკო მობილურზე გადაიღეს: „ლაზარეთში წევს და ილანძღება“

ინტერნეტში გავრცელდა ვიდეოჩანაწერი კიევის საგამოძიებო იზოლატორის ლაზარეთიდან, სადაც უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, იულია ტიმოშენკო იმყოფება.



თუკი მას დავუჯერებთ, ბევრ პატიმარს მისი უნდა შურდეს: პალატაში კარგი რემონტია, თხევადკრისტალურ ტელევიზორი, მაცივარი და ახალი ავეჯი დგას.

თუმცა, ტიმოშენკოს მომხრეები ხაზს უსვამენ, რომ სულ ცოტა ხნის წინ ის საშინელ საკანში ცხოვრობდა, რომელიც ავადმყოფობისას საჩვენებლად გაარემონტეს, – იუწყება „ნიუსრუ.უა“.

მობილური ტელეფონით გაკეთებულ ვიდეოჩანაწერზე ჩანს, რომ ტიმოშენკო ავადმყოფის საწოლზე წევს. ჯანმრთელობის პრობლემების მიუხედავად, რასაც ექსპრემიერი უჩივის, როგორც ჩანს, მას მორალური ძალები დარჩენილი აქვს: აქტიური ჟესტიკულაციით ის 206-ე პალატაში მისულ ადამიანებთან ჩხუბობს.

როგორც ტიმოშენკოს ადვოკატი აცხადებს, პალატაში ვიდეო უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელმა გადაიღო. ადვოკატის თქმით, ტიმოშენკო კატეგორიული წინააღმდეგი იყო გადაღების, რაც ჩანს კიდეც ჩანაწერზე.

– დარწმუნებული ვარ, რომ სამხრეებიანი მხეცის, უსაფრთხოების სამსახურის პოლკოვნიკის სახელს უკრაინელი ხალხი გაიგებს, რადგან ასეთ მხეცებს ქვეყანა აუცილებლად უნდა იცნობდეს; მან კანონი დაარღვია, – განაცხადა ადვოკატმა სერგეი ვლასენკომ.

ამ ვიდეომ განხილვების მთელი ტალღა გამოიწვია.

– ეს საკანი მეტრაჟითა და ალჭურვილობით საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებს. ეს იმ სამუშაოს დასაწყისია, რომელიც არა მხოლოდ საგამოძიებო იზოლატორში, არამედ უკრაინის შესაბამისი დაწესებულებების უმეტესობაში ჩატარდება, – ნათქვამია პენიტენციური სამსახურის განცხადებაში.

ასევე ხაზგასმულია, რომ ტიმოშენკო, მკურნალობის დასრულების შემდეგ, შესაძლოა, ამავე საკანში დააბრუნონ.

შეგახსენებთ, რომ ამ დღეებში კიევის სააპელაციო სასამართლოსთან, სადაც იულია ტიმოშენკოს აპელაცია განიხილება, ჩხუბი მოხდა. შენობასთან ყოფილი პრემიერის ათასობით მხარდამჭერი შეიკრიბა.

ტიმოშენკოს მომხრეებმა და იმ დეპუტატებმა, რომლებიც პროცესზე არ შეუშვეს, სამართალდამცავთა დერეფნის გარღვევა და სასამართლო შენობაში შეჭრა სცადეს, რასაც ჩხუბი მოჰყვა. ინციდენტის შემდეგ შენობასთან სამართალდამცავთა დამატებითი ქვედანაყოფების მობილიზება მოხდა. მედიის ინფორმაციით, ხმაურით დაიწყო აპელაციის განხილვაც. პროცესის დაწყებისთანავე ტიმოშენკოს ადვოკატმა მოსამართლე არაობიექტურობასა და მიკერძოებულობაში დაადანაშაულა და აცილება მისცა. თავად ბრალდებული პროცესს არ ესწრება და საპატიმროში რჩება.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# რის გამო დაამახსოვრდება მსოფლიოს სილვიო ბერლუსკონი



**ყველაფერს აქვს დასასრული და იტალიაში სილვიო ბერლუსკონის მმართველობის ეპოქაც უკვე გუშინდელი დღეა. იტალიის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა მსოფლიო პოლიტიკაში „უცენზურო და არაეთიკური" ადამიანის სახელი დაიმკვიდრა. 75 წლის ეპატაჟური პოლიტიკოსი უამრავ ადამიანს დაამახსოვრდება.**

გარდა უცენზურო გამონათქვამებისა, ბერლუსკონი ხშირად პროტოკოლსაც არღვევდა, რის გამოც ის „მასმედიის საყვარელ პოლიტპერსონადაც" შერაცხეს.

გთავაზობთ მის ყველაზე ცნობილ „გამოხტომებს":

– თქვენ ისეთი კარგი ხართ, მოვითხოვ მიიღოთ ჩემი მოწვევა „ბუნგო ბუნგოზე". დიახ, თქვენც საკმარისად მიმზიდველი ხართ, თქვენც უნდა მობრძანდეთ, – განუცხადა სილვიომ ოფიციალურ შეხვედრაზე დიპლომატ ქალბატონებს.

როცა ბარაკ ობამამ აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა, ბერლუსკონიმ მას საჯარო გამოსვლისას „გარუჯული ბიჭი" უწოდა.

– მე შესვენების გარეშე ვმუშაობ და ზოგჯერ, როდესაც ლამაზ გოგონას დავინახავ, ვფიქრობ, რომ უკეთესია მოგწონდეს ქალი, ვიდრე იყო გეი, – ეს დისკრიმინაციული განცხადება მას სერიოზულ პოლიტიკურ სკანდალად დაუჯდა.

გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელთან ოფიციალური შეხვედრისას სილვიო ბერლუსკონიმ უხეშად დაარღვია პროტოკოლი. სანამ მერკელს მიუახლოვდებოდა, ბერლუსკონის მობილური აწკრიალდა. იმის მაგივრად, რომ კოლეგას მისალმებოდა, იტალიის პრემიერმა ტელეფონზე საუბარი გააბა და საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო ფრაუ ანგელა.

ხოლო ესპანეთის პრემიერ-მინისტრთან შეხვედრისას მან საკონფერენციო დარბაზი ისე სწრაფად დატოვა, აუდიტორიაც სახტად დარჩა და ესპანეთის პრემიერიც.

დონ სილვიო ბევრჯერ იდგა თანამდებობიდან გადადგომის წინაშე. ერთ-ერთი ბოლო პოლიტიკური კრიზისისას პოსტი ქალებმა შეუნარჩუნეს.

მაშინ ბერლუსკონის ბედი ორმა ქალმა გადაწყვიტა. პარლამენტში კენჭი უყარეს პრემიერ-მინისტრის უნდობლობის ვოტუმს. 311 დეპუტატმა უნდობლობას დაუჭირა მხარი, 314 – ბერლუსკონის. სასწორის პინა ბერლუსკონის სასარგებლოდ ორი დეპუტატი ქალის ხმამ გადასწონა.

ამის შემდეგ დარბაზში გაწევ-გამოწევა ატყდა. ალიაქოთი იყო პარლამენტის კედლებს გარეთაც. ათასობით დემონსტრანტი, რომლებიც ბერლუსკონის გადაყენებას ელოდა, იმედგაცრუების შემდეგ ძალადობაზე გადავიდა.

პარლამენტის გარშემო გზები ბლოკირებული იყო და 1500 სამართალდამცავი იცავდა სილვიოს უსაფრთხოებას.

პრემიერმა განცხადა, რომ მისი გადადგომის შემდეგ ქვეყანას ქაოსი მოიცავდა.

სილვიო ბერლუსკონის სკანდალური „ვიკილიქსიც" მკაცრად მოექცა. იტალიის ყოფილ პრემიერს აშშ-ს ელჩი რომში „დაუდევარ, პატივმოყვარე და არაეფექტურ ევროპელ ლიდერად" მიიჩნევს.



„ვიკილიქსის" მიერ გამოქვეყნებულ სხვა დოკუმენტში ნათქვამია იმ უკვე ცნობილი დეტალების შესახებ, რომ ბერლუსკონი „ძალიან გვიან იძინებს და ღამის წვეულებები უყვარს".

ნათქვამია ასევე ბერლუსკონის ძალიან ახლო ურთიერთობებზე რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინთან, რომლებიც თითქოს ვიღაც ორენოვანი შუამავლის მომსახურებით სარგებლობენ და ერთმანეთისთვის ძვირფას საჩუქრებს არ იშურებენ.

სახელმწიფო მდივანმა კლინტონმა მის ელჩებს ორივე ქვეყანაში მოსთხოვა მისთვის ინფორმაციის მიწოდება ამ ადამიანებს შორის ნებისმიერ კომერციულ გარიგებებსა და მეგობრულ ურთიერთობებზე.

თავად ბერლუსკონიმ ჩვეულ სტილში უარყო მედიაში გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიდან პირად სარგებელს იღებს.

– შემიძლია შვილები და შვილიშვილები დავიფიცო, რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის განხორციელების დროს არც ერთი დოლარი არ მიმიღია და ყოველთვის ჩემი ქვეყნის სასარგებლოდ ვმუშაობდი, – განაცხადა ბერლუსკონიმ და იქვე საკუთარი ოპონენტები გააკრიტიკა, რომლებიც, მისი აზრით, ქვეყნის საკეთილდღეოდ არაფერს აკეთებენ.

## ბერლუსკონ-პუტინის „ინტიმური კავშირი"

ასევე შეგახსენებთ პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებას, რომ იტალიისა და რუსეთის პრემიერ-მინისტრებს „თითქმის ინტიმური ურთიერთობა აკავშირებთ". ამის შესახებ პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონის განცხადების საპასუხოდ განაცხადა.

– სილვიო ბერლუსკონი გამოდიოდა სენატში და მოჰყავდა მაგალითები იმ სერიოზული დამსახურებების შესახებ, რომელიც აქვს კაცობრიობის და იტალიის წინაშე ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. ერთ-ერთ მაგალითად მოიყვანა თბილისში ყველაზე მაღალ ხეზე ჩამოხრჩობისგან ჩემი გადარჩენა.



ჩვენ მთლიანად ევროკავშირის მადლობელი ვართ. მადლობელი ვართ იმ როლის, რომლის თამაშიც ევროკავშირმა სცადა. როგორ გამოუვიდა, ეს სხვა საკითხია, რადგან ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულება შესრულებული არ არის და მას რუსეთი, როგორც გავიგე, აღარც ცნობს, – განაცხადა პრეზიდენტმა და დასძინა, რომ ბერლუსკონისგან მსგავსი რამ პირველად არ ესმის.

– ჩემს მეგობარ სილვიო ბერლუსკონის, ასევე მჭიდრო, ძალიან ახლობლური, თითქმის ინტიმური ურთიერთობა აკავშირებს ვლადიმერ პუტინთან და თუ მან ეს სასარგებლოდ გამოიყენა, ამას მივესალმები, – განაცხადა სააკაშვილმა.

იტალიის ექსპრემიერმა კი განაცხადა, რომ 2008 წლის აგვისტოში რუსები თბილისს თავს არ დაესხნენ, მისი და საფრანგეთის პრეზიდენტის დამსახურებაა.

იტალიური მედიასაშუალებების ინფორმაციით, სენატში სიტყვით გამოსვლისას ბერლუსკონიმ განაცხადა, რომ „მიხეილ სააკაშვილი რუსი ჯარისკაცების მიერ ყველაზე მაღალ ხეზე ჩამოხრჩობას დიპლომატიურმა ძალისხმევამ გადაარჩინა".

## და მაინც, ვინ არის სილვიო ბერლუსკონი

როგორი უცნაური მმართველი არ ახსოვს იტალიის მრავლისმნახველ მიწას. ყოვლისმპყრობელი კეისრები თუ სისხლისმსმელი დიქტატორები.

რომის გადამწველი ნერონი თუ იტალიის გაერთიანებაზე მეოცნებე გარიბალდი, მაგრამ ისეთი უცნაური და არასტანდარტული კაცი, როგორიც იტალიის ექსპრემიერმინისტრი და საფეხბურთო კლუბ „მილანის" მფლობელი – სილვიო ბერლუსკონია, ათასი უცნაურობის მხილველ იტალიელებსაც კი იშვიათად უნახავთ.

ვინ არის დონ სილვიო? პოლიტიკოსი თუ ბიზნესმენი? მაფიოზი თუ უბრალოდ ფეხბურთზე შეყვარებული ტიფოზი?

ეს კითხვები ყოველთვის იყო და იქნება ამ ფრიად უმართავი კაცის მიმართ, რომელიც ხან უეფას პრეზიდენტს ეფიცება ძმად, ხან ვლადიმერ პუტინთან ერთად დროს ატარებს და ხან კი, თეთრ სახლშია და ამერიკის პრეზიდენტს დემოკრატიის უალტერნატივობაზე ებაასება.

დონ სილვიო იტალიური საფეხბურთო ბიზნესის ბოსთა შორის ერთგვარ თეთრ ყვავად შეგვიძლია მოვნათლოთ. „იუვენტუსის" და „ინტერის" მეპატრონე სქელჯიბა კოლეგებისგან განსხვავებით, ბერლუსკონიმ საკუთარი პიროვნება თავად შექმნა.

ანიელების და მორატების ოჯახებში უდიდესი ქონება თაობებიდან თაობებს გადაეცემა, „ჩვენმა გმირმა" კი ნოლიდან დაიწყო, როცა თავისი სახელობის ფინანსური იმპერია დააარსა. ამიტომაც არის, რომ შთამომავლობითი მაგნატები ბერლუსკონის დღემდე ამრეზით უცქერიან.

„მილანის" მეპატრონემ იტალიურ ფეხბურთში კლუბის ხელმძღვანელობის სრულიად ახალი მიდგომა დანერგა. მისი კოლეგები საფეხბურთო კლუბებს, ტრადიციისამებრ, თავიანთი პრესტიჟის ასამაღლებლად ძვირფას სათამაშოებად აღიქვამდნენ, ბერლუსკონიმ კი მიზნად მენეჯმენტის ინგლისური და გერმანული პრინციპით, ფინანსური მოგების მიღებაზე გათვლით შექმნა გადაწყვიტა.

თანამედროვე ევროპის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი 1936 წელს უბრალო მუშის ოჯახში დაიბადა. საშუალო განათლება მონასტერთან არსებულ სკოლა-პანსიონში მიიღო, სადაც ხასიათის სიმტკიცე და მიზანსწრაფულობა ჩამოუყალიბდა, რაც ბიზნესში ძალიან გამოადგა.

შემდეგ სილვიომ იურიდიული განათლების მიღება გადაწყვიტა. თანაც, სხვადასხვაგვარ წვეულებაზე ფოტოგრაფად მუშაობდა.

ამგვარად, მცირედი კაპიტალი მოაგროვა და სწავლის დამთავრების შემდეგ საკუთარი საქმე წამოიწყო.

60-70-იანი წლების ზღურბლზე, იტალიაში საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ბუმი დაიწყო. დიდი ქალაქების გარეუბნებში ახალი კვარტალები ერთი მეორის მიყოლებით ჩნდებოდა და ახალგაზრდა ბერლუსკონის მარიფათმა გასაქანი ჰპოვა.

„მომავლის ქალაქის" – „მილანი 2"-ის მიკრორაიონის მშენებლობაში შეტანილი წვლილისათვის, ახალგაზრდა მეწარმის დამსახურება მთავრობამ „შრომის კავალრის" წოდების მინიჭებით აღნიშნა.

ბერლუსკონიმ ბაზარი შეისწავლა და მიხვდა, რომ სამშენებლო ბიზნესი ნაკლებად პერსპექტიული იყო. ამიტომ მან მთელი თავისი თანხის სწრაფად მზარდ სატელეკომუნიკაციო ბიზნესში ჩადება გადაწყვიტა.

მალე იგი 3 ფასიანი ტელეარხის თანამფლობელი გახდა, 1986 წელს კი კარიერაში უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადადგა – მძიმე ფინანსურ კრიზისში მყოფი საფეხბურთი კლუბი „მილანი" ბერლუსკონის კომპანია „ფინინვესტმა" შეიძინა.

ახალმა მეპატრონემ კლუბის ინფრასტრუქტურა რამდენიმე წელში თავის ჭკუაზე მოაწყო, უწინარესად კი, ბავშვთა და მოზარდთა გუნდების განვითარება დაიწყო.

ძირითადი შემადგენლობის დასაკომპლექტებლად, ბერლუსკონიმ იმ დროისათვის უზარმაზარი თანხა – 45 მილიონი დოლარი გამოჰყო. თუმცა, უნდა ითქვას, რომ თითოეული ცენტი ჭკვიანურად დახარჯა.

მაგალითად, ჰოლანდიელი სუპერფორვარდი მარკო ვან ბასტენი „მილანმა" სულ რაღაც მილიონ დოლარად გადაიბირა. ამას ხელი ბერლუსკონის ვილაზე ფეხბურთელთან გამართულმა საიდუმლო მოლაპარაკებამ შეუწყო, რის შემდეგაც ვან ბასტენმა ხელი კონტრაქტს მოაწერა და „აიაქსს" ისღა დარჩენოდა, საუკეთესო ფეხბურთელს მიზერულ თანხად შელეოდა.

მწვრთნელებთან დაკავშირებითაც ბერლუსკონიმ „ათიანში" მოარტყა. ჯერ არიგო საკი, შემდეგ კი ფაბიო კაპელო სწორედ ის სპეციალისტები აღმოჩნდნენ, რომლებიც კლუბს სჭირდებოდნენ.

შედეგად, „მილანი" ევროპის საუკეთესო გუნდთა შორის დაბრუნდა და ბოლო 21 წლის განმავლობაში 25 სხვადასხვა ტიტული მოიგო, კერძოდ: 7-ჯერ სკუდეტო (1988, 1992, 1993, 1994, 1996, 1999-სა და 2004 წლებში); 5-ჯერ ჩემპიონთა თასი (1989, 1990, 1994, 2003, 2007); 2-ჯერ საკონტინენტთაშორისო თასი (1989, 1990); 4-ჯერ ევროპის სუპერთასი (1989, 1990, 1995, 2003); ერთხელ იტალიის თასი (2003), 5-ჯერ იტალიის სუპერთასი (1989, 1992, 1993, 1994, 2004) და ერთხელ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი (2007).

სპორტულმა წარმატებებმა „როსო-ნერის" პოპულარობის საოცარი ზრდა განაპირობა, რომლისგან მიღებული დივიდენდებიც პრეზიდენტმა ოსტატურად გამოიყენა.

მთელ მსოფლიოში საოცრად იმატა „მილანის" ფან კლუბების რაოდენობამ, გაიზარდა კლუბის ოფიციალური ჟურნალის ტირაჟი, საკლუბო ატრიბუტიკის, აბონიმენტებისა და ბილეთების გაყიდვა.

გარდა ამისა, ბერლუსკონიმ საკუთარი ტელეარხის მეშვეობით, პირველმა იტალიაში, პრაქტიკაში დანერგა თავისი კლუბის მატჩების ფასიანი ჩვენება. ამდენად, მალე „მილანი" წამგებიანიდან სუპერმომგებიან ფინანსურ კორპორაციად იქცა.

ამიტომაც არის, რომ ვალებში ყელამდე ჩაფლულ იტალიურ კლუბებს შორი „როსო-ნერი" კეთილდღეობის ერთ-ერთ უიშვიათეს კუნძულად ითვლება. ეს მისი ბოსის დამსახურებაა, რომელმაც მომავლის განჭვრეტა შეძლო.

ბიზნესში წარმატების მიღწევის შემდეგ, 90-იანი წლების დასაწისში ბერლუსკონიმ პოლიტიკაში ძალების მოსინჯვა გადაწყვიტა.

მან გენიალური სვლა გააკეთა და ფანკლუბების ქსელი – „წინ, მილან!" – პოლიტიკურ ორგანიზაციად აქცია. ამ მოძრაობამ 1994 წელს საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა და ბერლუსკონი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გახდა. მეორედ მან ეს პოსტი 2001 წელს დაიკავა.

ბერლუსკონის არაკეთილმოსურნეები არასოდეს აკლდა. მისი განსაკუთრებით მძაფრი მოწინააღმდეგეები მემარცხენე ძალები გახლავთ. თავად დონ სილვიოს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ხელისუფლებაში მარქსის მიმდევართა მოსვლას არ დაუშვებდა.

ქვეყანაში, სადაც სუფთა ბიზნესი თითქმის არ არსებობს, მრავალმილიარდიანი ქონების მეპატრონესთან შეკითხვები ყოველთვის იარსებებს. მით უმეტეს, თუ ეს კაპიტალი ერთი თაობის მიერ არის მოგროვებული.

კორუფციაში დადანაშაულებას ვერც ბერლუსკონი გადაურჩა – ოპოზიციის ინიციატივით, ბერლუსკონის მიერ 1991 წელს აქციების კანონიერად შეძენასთან დაკავშირებით, 2000 წელს სასამართლო პროცესი დაიწყო, რომელიც მხოლოდ 3 წლის წინათ დასრულდა.

სასამართლომ ბერლუსკონი გაამართლა და მას ყველა ბრალდება მოუხსნა. თავად ბრალდებული მთელი 4 წლის განმავლობაში სასამართლოზე მხოლოდ ერთხელ გამოცხადდა. ბოლოს და ბოლოს მას 8-წლიანი პატიმრობით, როგორც პროკურორი ითხოვდა, ვერავინ შეაშინებდა.

ბერლუსკონი დღესაც იტალიაში უდავოდ ყველაზე პოპულარული კაცია. მერე რა, რომ მას ერთი წლის წინათ, ერთ-ერთმა რადიკალურად განწყობილმა იტალიელმა მძიმე საგანი ესროლა და კინაღამ სიცოცხლე მოუსწრაფა. მერე რა, რომ ევროპული ქვეყნების ლიდერები ამ კაცზე უფრო და უფრო ხშირად ამბობდნენ აუგს.

ბერლუსკონიმ იტალიის პარლამენტშიც ჯერ უმრავლესობა დაკარგა, ყოველივეს შიდაპოლიტიკური და ევროკავშირთან ურთიერთობების კრიზისი და სილვიოს თანამდებობიდან წასვლა მოჰყვა.

მაგრამ ბერლუსკონი ის კაცი არ არის, რომელიც ასე ადვილად უყურებს ცხოვრებას. შესაძლოა, ის ცუდი კაცია, უფრო მეტიც – ძალიან ცუდი კაცი! მაგრამ ის ხომ ბერლუსკონია... განა ეს ცოტას ნიშნავს?!

და ბოლოს, ბერლუსკონი დღემდე იტალიის ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანად რჩება; იგი ფლობს სამ იტალიური ტელეარხს, იტალიის უდიდეს საგამომცემლო სახლს, ასევე, როგორც აღვნიშნეთ, 1986 წლიდან არის საფეხბურთო კლუბ „მილანის" მფლობელი და პრეზიდენტი. ჟურნალ „ფორბსის" ინფორმაციით, 2011 წელს მისი აქტივები 6 მილიარდ დოლარად არის შეფასებული.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

## ორშაბათი 19 დეკემბერი

07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.45 ვ. სანაიას რეპორტაჟი 13.50 10 პლუს 10 15.00 ჩვენი ფერმა 15.30 ჩვენი სამართალი 17.00 დოკ. ფილმი "სამყარო" 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. "მეორე შანსი" 21.00 სერ. "ნიკიტა" 22.00 აუდიტორია 23.00 საფეხბურთო მიმოხილვა 00.00 ღამის საუბრები 00.45 საფარი 01.15 მოამბე 01.35 მხ. ფილმი "სუპერმენი" (მ. ბრანდო) 03.35 მხ. ფილმი "არჩევნები" (18) (მ. ბროდერიკი)

